140
1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0868—5177

# ნაკადული

10
1990



# პიროვნების სრულყოფილების გზით...

გვესაუბრება პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინსტიტუტის რექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გია მურღულია.

გია მურღულია

**— ორი თუ სამი წლის წინ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა მასალა, რომელშიც მოცემული იყო თქვენს მიერ თბილისის 23-ე სკოლაში ჩატარებული გამოკითხვის ანალიზი. ამ ანალიზში პირდაპირ და დაუფარავად იყო გაცხადებული მოსწავლეთა გულისტკივილი, მათი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება სკოლისადმი, სკოლაში გატარებული ათი წლისადმი, კომკავშირისადმი. მახსოვს, მაშინ ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა...**

— დიახ, ასე იყო. მაშინ, მოგეხსენებათ, რაიმეზე, კერძოდ, სკოლაზე და, მითუმეტეს, კომკავშირზე აუგის თქმა არ შეიძლებოდა. „დიდი უკონფლიქტობისა“ და საყოველთაო ბედნიერების ქვეყანაში, სადაც „ყველაფერი საუკეთესო“ ბავშვებს ეკუთვნოდათ, სკოლას ნაკლი არ შეიძლებოდა ჰქონოდა — განსაკუთრებით არსებითი. მახსოვს, მაშინ მეც და გაზეთის რედაქტორიც პუბლიკაციისათვის დიდად გულზე არ დავეხატეთ ზოგიერთ „მესვეურს“.

**— და ეს მოხდა მაშინ, როცა ყველამ — დიდმაც და პატარამაც — კარგა ხანია იცოდა, რომ ჩვენს სკოლას უკეთური რამ სენი შეეჩვია, რომელმაც ლამის მთლიანად გააცამტვერა ოდესღაც არსებული კეთილი ტრადიციები და სანაცვლოდ უზნეობას მოუცალა გზა.**

— ჭეშმარიტად, უბრალოდ, ბავშვების პასუხებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ეს, თორემ ისედაც ცნობილი იყო არა მარტო კონკრეტულად სკოლის, არამედ მთლიანად განათლების სისტემის უვარგისობა. ქვეყნად მრავალფეროვნება სუფევს და ბუნებრივია, არ შეიძლება უნიტარულ სისტემას, მეტადრე, საყოველთაო განათლების სისტემას რაიმე სასიკეთო მოჰქონდეს. საჭიროა თუ არა საყოველთაო განათლება? მან ბევრ დადებითთან ერთად უარყოფითიც ძალზე ბევრი მოიტანა. საყოველთაობა, განურჩევლობა მიუღებლად მიმაჩნია. სწავლების დროს აუცილებელია ბავშვის, პიროვნების ინტერესების გათვალისწინება. სკოლა სახელმწიფოს მინიატურული მოდელია და რაკიღა ჩვენში ყოველთვის სახელმწიფოს ინტერესები უპირატესობდა, ცხადია, სკოლაშიც სრული განურჩევლობა დამკვიდრდა.

**— იქნებ მოსწავლე-მასწავლებლის კონფლიქტი აქედანაც მომდინარეობს?**

— უეჭველად. მაგრამ ამ კონფლიქტის მთავარ და უპირველეს მიზეზად მე მაინც ის მიმაჩნია, რომ ჩვენი საზოგადოება ვერ მიმხვდარა, მასწავლებლობა რომ ნიჭია. არ შეიძლება, ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, 100 000 მასწავლებელი იყოს. გამოდის, რომ ჩვენში ლამის ყოველი 50-ე მასწავლებელია. მასწავლებლობა მარტო საგნის გადაცემის კულტურა კი არაა, არამედ აღზრდაც.

**— იმ სასიკეთო ცვლილებებს შორის, რომლებიც უკვე განხორციელდა საქართველოს სკოლებში, მათი დეპოლიტიზაციაა. ეს რომ გარდაუვალად მოხდებოდა, თუნდაც იმ თქვენი გამოკითხვის პასუხებშიც ჩანდა.**

— სკოლის დეპოლიტიზაცია უთუოდ პროგრესული ნაბიჯია. მტკიცედ მწამს, რომ არ უნდა არსებობდეს მოზარდის გონებაზე არანაირი დიქტატი, თვით პატრიოტულიც კი.

**— ჩვენი მოზარდი თაობა ეროვნული მოძრაობის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს თავს და ეს უთუოდ ასეა. ამიტომაც აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, თუ როგორ ესმით ჩვენს ყმაწვილებს ამ მოძრაობის მიზანი, როგორ ესახებათ მისი მისაღწევი გზები, საკუთარი ადგილი დამოუკიდებელ საქართველოში.**

— ბელინსკის აქვს ერთი ასეთი საინტერესო გამონათქვამი — ადამიანს გონება იმისათვის აქვს, რომ გონივრულად იცხოვროს და არა იმისათვის, რომ უყუროს, თუ რა უგუნურად ცხოვრობსო. დიახ, გონება გონივრული ცხოვრებისათვის უნდა გამოვიყენოთ. თითოეული ჩვენგანის ძალისხმევა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ ჩვენს ქვეყანას რაღაც ეშველოს. მე, პირადად, ჩვენი გადარჩენის ერთ კანონზომიერებას ვხედავ: უნდა ვიქცეთ თანამოაზრეთა ერად. დიდებული სიტყვაა — ერთსულოვნება. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ არის ასეთი ადგილი: „ესე ოთხნი შეანაწევრნა სარწმუნოებამან და საღმრთომან სიყუარულმან შეამტკიცნა ერთ—ზრახვად შეკრულნი, ვითარცა სული ერთი ოთხთა გუამთა შინა დამტკიცებული“. და ქართველობა თავის

რამდენიმე მილიონიან სხეულში ერთ სულად უნდა იქცეს! მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ ყველამ ერთ თარგზე იაზროვნოს, უბრალოდ, ყველამ პროფესიულად, სწორად და დროულად უნდა აკეთოს თავისი საქმე, ხაზს ვუსვამ — თავისი საქმე, იმიტომ, რომ დღეს უმრავლესობა სწორედ თავისი საქმის არკეთებაზე ყვირის. ვფიქრობ, რომ დღეს ძალიან აქტუალური გახდა საბასეული იგავი „სოფლის მაშენებელნი...“ ვშიშობ, სიტყვებმა არ შეგვჭამონ ისე, როგორც ერთ დროს ცხვარმა „შეჭამა“ ინგლისი. ახლა ჩვენ სიტყვების საუფლოში ვცხოვრობთ და რეალურობის შეგრძნება გვღალატობს...

**— ეტყობა, ქართული ხასიათის ზოგი ოდინდელი ნიშან-თვისებაც გვიშლის ხელს.**

— ქართველ კაცს ერთი ასეთი თვისებაც ახასიათებს — ძალიან უნდა, გამორჩეული იყოს, შეიძლება, სხვა ერსაც აქვს იგი, მაგრამ, ბუნებრივია, ჩვენ ჩვენი დარდი გვაქვს. თავისთავად ეს კარგი თვისებაა, ის რომ არა, შეიძლება საქართველო აღარც არსებულიყო, ბევრი ხალხი აღგვილა პირისაგან მიწისა, ჩვენ კი, მიუხედავად ყველაფრისა, ვარსებობთ და ერთ-ერთი მიზეზი ალბათ არის ლტოლვა გამორჩეულობისაკენ, რაც საქართველოში ყოველთვის ბადებდა დიდ ინდივიდებს. ეს იყო და არის ჩვენი ბედნიერებაც და უბედურებაც. უბედურება იმიტომ, რომ ხანდახან ვერ ვგრძნობთ, რომ ერთის გამორჩეულობა მეორისას არ უშლის, პირიქით, ისინი ავსებენ ერთმანეთს, ჩვენ კი ამას ხანდახან დაპირისპირებად აღვიქვამთ ხოლმე. აქ რუსთაველის სიტყვები მახსენდება: „ღმერთმან ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს!“ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ლტოლვა გამორჩეულობისაკენ, მაგრამ აუცილებლად უნდა დავძლიოთ დაპირისპირებულობის შეგრძნება.

**— დაწყებული დიდი საქმის კეთილად დაგვირგვინება, საქართველოს მომავალი ჩვენივე ხელშია — ამ შეგნებით უნდა ხელმძღვანელობდეს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში თითოეული ჩვენგანი.**

— ვფიქრობ, მთავარი და არსებითი, რაც დღის ყველას ეხება, ის ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენ დღეს უკვე ვჭვრეტთ ხვალინდელ საქართველოს ჩვენი ბავშვების თვალებში, ცოდნაში, ქცევაში, არსებობის წესში. ჩვენი, უფროსების, ამოცანაა, შევაძლებინოთ მომავალ თაობას, სწორად განჭვრიტოს თავისი ბედი. ახლა ისეთი დრო დგება, როგორიც ისტორიაში არასდროს ყოფილა და თუ ყველაფერი ისე წარიმართა და განვითარდა, როგორც ახლა, შეიქმნება არა მხოლოდ ერთიანი ევროპის სახლი, არამედ მსოფლიო სახლი. ასეთია დღეს საერთო ტენდენცია, თუმცა წინააღმდეგობაც ბევრია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარსულს ჩაბარდება ფიზიკური ძალმოსილების ნებისმიერი გამოვლინება და ადამიანები და ერები მსოფლიო სარბიელზე თავს გამოიჩენენ მხოლოდ გონების ნათლით და ზნეობით. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ როგორმე უნდა დავძლიოთ ის ნიჰილისტური დამოკიდებულება განათლების მიმართ, რომელიც ბოლო ათწლეულებმა მოგვიტანეს. ჩვენ კონკურენტუნარიანები უნდა გავხდეთ, იმიტომ, რომ განათლებას მხოლოდ განათლება შეიძლება დავუპირისპიროთ და არა სხვა რამე. ამ ტენდენციამ, კარგა ხანია, იჩინა თავი, ამას კი ის მოჰყვება, რომ მთელ მსოფლიოში მოხდება შრომის მეტ-ნაკლები დანაწილება, რაც ფაქტობრივად სამყაროში ფუნქციების განაწილებას ნიშნავს და ჩვენ, ქართველობას, არამც და არამც არ უნდა დაგვაგვიანდეს ამ ფუნქციების განაწილებაზე. მოგეხსენებათ, ის, რაც უფუნქციოა, კვდება. სიცოცხლე ფაქტობრივად ფუნქციაა. აკი კინაღამ იმიტომ გადავშენდით, რომ რუსეთის გამო აღმოსავლეთში ქრისტიანული ფორპოსტის ფუნქცია დავკარგეთ. წავერთვა ეს ფუნქცია და საღათას ძილს მივეცით, მადლობა ღმერთს, „თერგდალეულებმა“ გამოგვაღვიძეს...

მთელმა ერმა თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს, და თითოეულმა მოქალაქემ — თავისი. ამისათვის კი ბავშვობიდანვეა საჭირო მზადება. ბავშვობა ადამიანის დიდად საპასუხისმგებლო ასაკია, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიც ჩვენია. ამიტომაცაა მისასალმებელი დიფერენცირებული სწავლების იდეა, რომელიც ეროვნული სკოლის კონცეფციამ მოიტანა. დიფერენცირებული სწავლება შესაძლებლობას მისცემს თითოეულ მოსწავლეს, აირჩიოს ის, რაც მის სულსა და გულს ესალბუნება. ამ იდეის მოკლე დროში გასატარებლად, ახალი სისტემის საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად იღვწის ქართული განათლების დემოკრატიული ფრთა. მაგრამ სისტემა არის მხოლოდ შესაძლებლობა და არა მისი რეალიზება, და ჩვენ ამ შესაძლებლობის გამოყენება უნდა შევძლოთ. აქ ჩვენ კვლავ ორ მთავარ მომენტს მივადგებით: არ კმარა მარტო იმის თქმა, საქართველო მიყვარსო, უნდა კიდევაც გაისარჯო მისთვის, და არა აქვს მნიშვნელობა, დიდი ხარ თუ პატარა.

ორივე, მასწავლებელიც და მოსწავლეც, თავისი არსით არის განუწყვეტელი სწრაფვა სრულქმნილებისაკენ. ჩვენი დევიზი უნდა იყოს: პიროვნების სრულქმნილების გზით— სამშობლოს სრულქმნილებისაკენ. სახარებაშიც ხომ ასეა ნათქვამი: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“. ჩვენი ქრისტიანობაც და მამულიშვილობაც ის იქნება, რომ ყოველდღე ახალი და ზნეობრივი ვაკეთოთ სამშობლოსათვის.

ესაუბრა მ. ბელაშვილი



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე
ლორია

# ფუძე

მხატვარი
ჯემალ
ლოლუა

მოთხრობა

გელამ ისე შეათვალიერა ქალიშვილი, თითქოს ახლა დაინახაო პირველად. სულ სხვაგვარი მოეჩვენა: უფრო ლამაზი, მოხდენილი, ამაყი. ძალიან შვენოდა გულმოდგინედ გადავარცხნილი, უკან გაკრული თმა, მხრებამდე რომ სცემდა ცხენის კუდივით. სულ აღარ ჰგავდა ადრინდელ მაიას, პატარა გოგოს, შოლტივით მოქნილსა და მსუბუქს. ქალიშვილი იდგა ახლა მის წინ, თავდაჯერებული, ზრდასრული, დამოუკიდებელი.

გელამ მძიმედ ჩაჰკიდა თავი. კარგად ხედავდა, რა სერიოზულობით ელაპარაკებოდა მეგობარი, მაგრამ ახლა იმას აღარაფერი ესმოდა, ისევ ჩაესმა ყურში ეკლიანი სიტყვები: „შენი ტოლი ნახე... მაგ გოგოსთან შენ რა გესაქმება...“

მაიამ ხელი გაუშვა და თვალებში შეაჩერდა ალერსიანი მზერით. ამან თითქოს დაამშვიდა, იმედის შუქი მოეფინა სახეზე, წარბები გაეხსნა.

— რა ვქნათ, მაიკო, — ბავშვური გულუბრყვილობით იკითხა და მხრები აიჩეჩა, — მთელი სოფელი ჩვენს წინააღმდეგაა. წუხელ მამაჩემიც ამოვიდა და დამიწყო ჭკუის სწავლება... ერთი უნდა გენახა, რა ამბავი იყო ჩვენთან... პაპაჩემს არაფრით არ უნდა აქედან წასვლა... მამაჩემმა და ბიძამაც იმოდენა სახლები წამოიწყეს აბულაქში, აბა, იმას რას უზამენ?.. მამა უკვე ქვედა სართულს მორჩა... უკვე შეიძლება იქ ცხოვრებაო.

მაია შედრკა, თითქოს ღონე წაერთვა, მხრები დაუშვა და მძიმედ ამოიოხრა:

— ეჰ, კიკნა!.. შენაც თუ გატყდი, დამთავრებულა ყველაფერი და ეგ არის!

გელას ეწმახნა საყვედური. ისედაც შელახული მისი თავმოყვარეობა ალესილ დანასავით უბასრავდა გულს და ახლა კიდევ — საყვედური... ცოტა არ იყოს, უკმეხად შეუტია ქალიშვილს:

— ჰო, თქმა ადვილია: „ნუ გატყდები!“ კარგი ბიჭი ხარ და ნუ გატყდები, როცა მთელი სოფელი გადაგიდგება წინ. ყველა მიდის: ქისტაურებიც, ოდიშელიშვილებიც, აბრამიშვილებიც, გორაძეებიც... ახლა თაზომაც თქვა, მამაჩემმაც გადაწყვიტაო... ამას წინათ თემოს მამაც ამბობდა, მეც უნდა წავიდე აქედანაო... მამაჩემმა და ბიძაჩემმაც ხომ შემჭამეს... — ამოიხვნეშა ბიჭმა და თავგაბეზრებული კაცივით ჩაიქნია ხელი. — თქვენაც, ხომ ვიცი, მიდიხართ. მამაშენი იმოდენა სახლს აშენებს ქვემოუბანში, ერთი ნატვრა აქვს, როგორმე ჩქარა გადახვიდეთ აქედან.

მაია ენაჩავარდნილი უსმენდა ბიჭს. თვალებაწყლიანებული, თანაგრძნობითა და სიბრალულით შეჰყურებდა. ბოლოს ძლივს მოითქვა სული და ქშენას ამოატანა:

— არ წავალ!.. არ წავალ, კიკნა, არა!.. ყველანი რომ წავიდნენ, მე მაინც არ წავალ! — და ისევ მაგრად ჩააფრინდა თავისი გრძელი, ძლიერი თითებით ბიჭის მკლავს.

●

ის დღე არაფრით ჰგავდა ჩვეულებრივ სასკოლო დღეს. ყველა არეული იყო, სულ პატარა ბალღების ჩათვლით. მასწავლებლები გაკვეთილების ნაცვლად მოსწავლეებთან ათასგვარ დავა-კამათს უნდებოდნენ. ყველას სოფლის დაშლა ეკერა პირზე. ზოგი რას იძახდა და ზოგი — რას: აგვიკლო წყალმა, სახლი არაა, წყალში არ იდგეს. ირგვლივ სულ გუბეები და ტალახია, მეტი არაფერიო, ზედმეტი სინესტისაგან ხეხილი გაოხრდა, ნარგავები გატიალდა, ყველაფერი დალპა და დაჭაობდაო, ზოგს კიდეც უხაროდა ახალ გარემოში გადასვლა.

— რამდენი უნდა ვითმინოთ? ვინაა ჩვენი გამკითხავი? ვინაა ჩვენი პატრონი? — გაიძახოდნენ აქეთ-იქიდან.

აქამდე კიდევ ჰქონდათ რაღაც იმედი. ცენტრიდან გაახშირეს მოსვლა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ ვიღაცვიღაცები, ამოწმებდნენ, სინჯავდნენ, დაპირებებს დაპირებებზე იძლეოდნენ. განსაკუთრებით მას მერე მიეცათ იმედი, ტელევიზიამ დაწვრილებით რომ უჩვენა ყველაფერი და აქაურობა სტიქიური უბედურების მსხვერპლად გამოაცხადა. თანამდებობის პირებიც ამოქმედდნენ, გადაწყვეტილადაც განაცხადეს, გიშველითო: ტექნიკას გამოვგზავნით, მილებს მოგაყრით, სპეციალის-

გაგრძელება. იხ. „ნაკადული“ № 11.

ყოველთვიური საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
გამოდის 1926 წლიდან
№ 10 ოქტომბერი 1990

ტებით მოგამარაგებთ, დავაშრობთ წყალსო, მაგრამ აი. სულ ორიოდე კვირის უკან კაცი მოვიდა ალმასკომიდან და — საქმეს არაფერი ეშველებაო, სხვაგან უნდა გადახვიდეთო.

შეიკრიბნენ სოფლის თავკაცები. არ ეთმობოდათ ამდენი ხნის ნაშრომ-ნაღვაწი, ეძნელებოდათ მამაპაპეული ბუდის მოშლა, მაგრამ რას გააწყობდნენ! ზოგმა თანასოფლელებს ადგილის მონაცვლება შესთავაზა, მაგრამ უმეტესობამ შორს დაიჭირა ეს წინადადება:

— რა გამოდის? — განაცხადა ერთმა გავლენიანმა გლეხკაცმა. — თუ კი ამ ჩემი სახლ-კარის დანგრევა და გადატანა მიწევს, რაღაი აქ დავიწყო ახალმოსახლეობა? ყველაფერი ამსიშორეზე ამოვზიდო — ცემენტი, ქვა, ხეტყე, ლურსმანი?.. ბარემა მეც ჩავალ ბარში, საცა სხვები, იქავ მეცა, და დავსახლდები მშვენივრად... ადამიანურად მაინც ვიცხოვრებ, სინათლე და გაზი მუდამ მექნება. არც მე მაწყენს ასფალტზე სიარულიო, — თქვა და თითქმის ყველა დაეთანხმა.

ისე, კაცმა რომ თქვას, ოჯახი არაა, ვინმე უკვე არ ჰყავდეს აქედან ბარში გაქცეული. ახალგაზრდამ, ვინც კი სკოლა დაამთავრა, სოფელში ფეხი ვერ მოიმაგრა, ყველა წავიდა, ან რა უნდათ აქ, ამ გორაზე, მარტოდმარტო? ზამთარში მანქანაც კი ძლივს ამოდის. მით უფრო, ახლა რა გააჩერებთ, ტალახად რომ იქცა მთელი სოფელი? არა, „წასვლა სჯობს წამავალისა“ და ამას გადადება აღარ უნდა!

თითქმის ერთხმად გადაწყვიტა სოფელმა აყრა და აღარავინ ელოდა რაიმე შეფერხებას, მით უმეტეს, რომ ხელისუფლება ყველას ჰპირდებოდა, ოღონდ მაგ თქვენს სოფელს ნუ აგვაბურგნინებთ, ოღონდ მაგ საქმისაგან მოგვარჩინეთ და ყველას გაგიმართავთ ხელსო...

გადაწყვიტეს. მაგრამ რას იფიქრებდნენ, სეტყვა მოვიდოდა და ქვა დახვდებოდა?

გელამ, პირობისამებრ, გაკვეთილების შემდეგ ყველა შეჰყარა დირექტორთან სათათბიროდ თავიანთ საკლასო ოთახში.

— ჰა, მაშ გაფიცვას აპირებთ? — შემოსვლისთანავე ღიმილით დაიწყო სოლიკომ და თანაც მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ოთახში შემოყოლილ ორ დარბაისელ ქალბატონს — დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, რომლებიც არ მალავდნენ, რომ ბავშვებს უჭერდნენ მხარს. არაფერი უთქვამთ, დინჯად ჩამოსხდნენ წინა მერხზე და სმენად გადაიქცნენ. სოლიკო მაგიდასთან გაჩერდა და შეკრებილთ გადახედა მკაცრად.

— უფრო მეტიც, — ერთგვარი ირონიითა თუ დაცინვით განაგრძო დირექტორმა დაწყებული სიტყვა, — თურმე შიმშილობაც გაგიზრახავთ... როგორც გავიგე, რაიკომში აპირებთ ულტიმატუმის წარდგენას. თუ ისინი არ დააკმაყოფილებენ თქვენს მოთხოვნას, მედგრისის ციხესთან შეიკრიბებით და შიმშილობას გამოაცხადებთ... ასეა, ხომ?

ოთახში ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი.

დირექტორი პასუხს ელოდა. სახიდან გაუქრა დამცინავი ღიმილი. ამ დუმილმა შიში გაუძლიერა გულში: ეშმაკმა იცის, რას ფიქრობენ ეს გადარეულებიო; ახლა ძველი დრო აღარაა, რასაც ეტყოდი, ყველაფერს რომ იჯერებდნენ. არა, იქნებ არც იჯერებდნენ, მაგრამ საწინააღმდეგოს ვინ გაკადრებდა? ნეტავ რას აპირებენ? რა აქვთ გულში სინამდვილეში?.. კარგად გრძნობდა, რომ მასსა და მოსწავლეებს შორის ჯერ კიდევ გაუწყვეტელი იყო კეთილი ურთიერთობის სიმი და ამისი იმედი ჰქონდა. სკოლის კედლებში არაფრის ეშინოდა... ასე თუ ისე, მისი გავლენა უტყუარია, მაგრამ გარეთ, სოფელში?.. მართლაც თუ შეიყარეს თავი მედგრისის ციხესთან. დაწვნენ და შიმშილობა გამოაცხადეს, სადღა მიდიხარ? ცოტა აქვთ მაგალითი? უმტკიცე მერე, ბავშვებისათვის შიმშილობა არ შეიძლება, მათთვის ადრეა ამგვარი აქციები, მათი საქმე ეგ არ არისო... არა, როგორმე ახლავე უნდა გადააფიქრებინოს, დააჯეროს, დაარწმუნოს, თორემ მერე გვიან იქნება.

ისევ მკაცრად გახედა მდუმარე მოსწავლეებს. უნდოდა ვინმე გამოეწვია, თავად წამოეწყოთ ლაპარაკი, რომ როგორმე დიალოგი ბუნებრივად გაბმულიყო. იცოდა, ამ დროს სამოძღვრო სიტყვა არაფრად გამოადგებოდა. შემწეობის მთხოვნელი თვალით გახედა ამ ამბების ავანჩავანს და ოდნავ შესამჩნევად ანიშნა, თუ რამე გაქვს სათქმელი, გვითხარიო.

გელამ უამისოდაც ზუსტად იგრძნო სიტუაცია: სიმი დაიძაბა, კრიტიკული მომენტი დგებოდა. შინაგანად უკვე შეგუებული იყო იმ აზრს, რომ უბრძოლველად არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, ერთობას ვერ მიაღწევდა, ვერ გაიტანდა ლელოს და შიშობდა. თანაც ბრაზიც ერეოდა ამხანაგებზე, რაც ცოტათი აგულიანებდა და აღიზიანებდა კიდეც, და ასაფეთქებლად მზად იყო. იცოდა, ერთი თუ დაიძვრებოდა, შეგუბებული წყალივით გადმოქუხდებოდა, და მართლაც ასე მოხდა:

— ახლა რომ ჩვენი წინაპრები ადგნენ. — ცხარედ განაცხადა, — ყველას მოგვაფურთხებდნენ სახეში... რას ვაკეთებთ? ათასწლოვან სოფელს ვტოვებთ ერთბაშად!..



განა თქვენგან არ გაგვიგონია, სოლიკო მასწავლებელო, რა ბრძოლები გადაუხდიათ აქ ჩვენებურებს? განა აქ არ იყო, ერეკლე მეფემ ციხისთავს თავისი ხელით რომ გადასცა ქართული დროშა? განა იმათ ჩვენზე უფრო არ უჭირდათ ცხოვრება?.. ვინც სოფლიდან გარბის, ქვეყნის მოღალატეა! მოღალატეს ყოველთვის ქვით ქოლავდნენ!

— ბევრი ახლაც ჩასაქოლია, მაგრამ სადაა ქვა? — ჩაიქირქილა ტუჩურამ და ბავშვებში ხმაური ატყდა, ზოგი რას ამბობდა და ზოგი — რას.

— არ წავალთ!.. ჩვენ არ წავალთ!.. დავიხოცებით შიმშილით და სოფელს არ მივატოვებთ! — გაისმოდა ყოველი მხრიდან.

დირექტორმა ძლივს დააწყნარა ბავშვები.

— დამიჯერეთ, ყმაწვილებო, — ახლა ხვეწნა-მუდარაზე გადავიდა, — მარტო თქვენ ასეთ საქმეს ვერ უშველით, თუ საიმედო მოკავშირე არ იყოლიეთ.

— ვინ არის ეგეთი მოკავშირე? — ვერ მოითმინა აქამდე მდუმარედ მჯდარმა მაიამ და წამოხტა ზეზე. — ჩვენს სოფელს არც მოკავშირე ჰყავს და არც პატრონი, თორემ აქამდე არ მივიდოდა საქმე. ყველა თავის სიკეთეზე ფიქრობს... განა რა, არ ვეძებთ მოკავშირეს? რაიკომს მივწერეთ, საბჭოს, რადიოს, ტელევიზიას, ცეკას მივწერეთ... კარგი, წყლის დაშრობა ძნელია, ძვირი ღირს, მაგრამ იმაში მაინც შეგვიწყონ ხელი, მედგრისის სამხრეთით გადავიტანოთ სოფელი, სადაც მშრალია, იქ გამოგვიყონ ნაკვეთები...

— იქ სახნავ-საძოვრებია, — სცადა სოლიკომ ხელისუფლების უარის გამართლება, მაგრამ არ გამოუვიდა. ისევ ატყდა ღრიანცელი, ჩვენს მთავრობას ცხვარი ურჩევნია ხალხსო...

— აღარ შეიძლება დღეს უკან დახევა! — ისევ წამოვარდა ფეხზე გელა, — ვერა ხედავთ, მთელი საქართველო ქვეყნის გაჯანსაღებისათვის იბრძვის, დიდი თუ პატარა ამოძრავდა... ტელევიზორი თუ ვერ მუშაობს ჩვენთან, გაზეთები ხომ მაინც ამოაქვს მირიან ფოსტალიონს? არ კითხულობთ? ჩვენი ტოლები, უფროსკლასელები, სტუდენტები საიდან არ ჩამოდიან ჩვენში, ციხეებსა და ეკლესიებს უვლიან და პატრონობენ... ჩვენ ასეთი დიდებული ძეგლი გვაქვს და ერთი ნახეთ, რა დღეშია.... ჩრდილო კედელი საცაა ჩამოინგრევა, გავლაც კი საშიშია იქა. ეზოში ფეხს ვერ შეადგამ, ნეხვითაა სავსე... ვიღაც-ვიღაც გადამთიელმა მეცხვარეებმა საჩეხედ გადააქციეს იქაურობა...

ვინ რა თქვა და ვინ — რა. იყო ერთი შეხლა-შემოხლა და ხმაური. ერთმანეთს არ აცლიდნენ, ყველას უნდოდა, რაღაც ეთქვა, რაღაც გონივრული შემოეთავაზებინა.

იდგა გაოგნებული სოლიკო მასწავლებელი და თვალს არ უჯერებდა. ორიოდე წლის წინ რომ ეთქვათ, თქვენს სკოლაში ასეთი რამ შეიძლება მოხდესო, გაეცინებოდა, დღეს კი ველარ სცნობს თავის მოსწავლეებს. ენა არ ემორჩილება, არ იცის, რა თქვას...

მთელი ღამე არ უძინია დირექტორს. გაურკვეველი სირცხვილის გრძნობა აწვალებდა. პირველად იყო, თავს დამარცხებულად გრძნობდა, თუმცა არ იცოდა, რატომ... ერთი გული კი ეუბნებოდა, იმიტომ, რომ ვერაფერი დაუპირისპირე ბავშვებს, ვერც წინ აღუდექი, ვერც გაუძეხი, სადღაც შუაში დარჩიო... მაგრამ მეორე გული ამშვიდებდა, სად გაგონილა ბავშვების ჭკუაზე სიარულიო.

ასე თუ ისე, მოსწავლეები ხომ დააშოშმინა? მშვიდად დაშორდნენ ყველანი... მაგრამ უკვე შეჭაღარავებული დირექტორი ძველი პედაგოგის გუმანით გრძნობდა, რომ ეს პატარა ადამიანები რაღაც უფრო სერიოზულს აპირებენდნენ და როგორ გათავდება საქმე, კაციშვილმა არ იცის.

3

გელა რომ შინ დაბრუნდა, უკვე ბნელოდა.

ეზოში მანქანა იდგა. მშობლები ამოსულიყვნენ და, ცოტა არ იყოს, შეცბა. შინ შევიდა და მიესალმა ჩამოსულთ. ისინიც როგორღაც გულგრილად თუ თავდაჭერილად შეხვდნენ და ბიჭი მიხვდა, იმათაც იცოდნენ ყველაფერი.

ბიცოლამ მაგიდის ერთი კუთხე მოასუფთავა და იქ მიართვა ვახშამი. დაჯდა, მაგრამ ლუკმა არ გადასდიოდა ყელში. თავდახრილი იჯდა. უგემურად იცოხნებოდა. მშობლები სახეში შესცქეროდნენ, თითქოს რაღაც სურდათ ამოეკითხათ მის მზერაში.

ბებია გარეთ ფუსფუსებდა. პატარა ბიძაშვილები სადღაც ეზოში დარბოდნენ ისევ, შინ შემოსვლას აღარ ფიქრობდნენ, მიუხედავად დედის არაერთგზის დაძახებისა, დაწოლის დროაო. პაპა თავის ოთახში გასულიყო და კარის ღრიჭოდან იცქირებოდა მალიმალ. ცდილობდა, არავის შეენიშნა, მაგრამ ყველა კარგად ხედავდა, რაღაც მოუსვენრობა რომ შეჯდომოდა მოხუცს ტანში.

— რაო, ბიჭო, ჰა?.. — დაიწყო მამამ, მაგრამ დედამ იმავ წუთს შეაჩერა, ადროვე ბიჭს ჭამაო, და ისიც გაჩუმდა.

გელამ თეფში განზე გასწია, მაგიდაზე ხელი ჩამოდო და, უფროსებისაგან ნახევრად ზურგშექცევით მჯდომარე, თავდახრილი ელოდა, რას ეტყოდნენ, თუმცა მშვენივრად იცოდა, რაზედაც იქნებოდა ლაპარაკი.

— ჰო, რაო? — გაიმეორა მამამ, — მთელი სოფლის გოგო-ბიჭები აამხედრე, არა? ყველგან შენზეა ლაპარაკი, ყველა გაიძახის, ბავშვები გადაგვირიაო.

— კარგი, ბადურ, ადროვე ბავშვს, — მიუბრუნდა დედა ქმარს, მერე შვილს შეავლო თვალი. — ეგ გეყო ამოდენა ვაჟკაცს? რატომ არაფერს ჭამ?

გელამ ტუჩები ამრიზა იმის ნიშნად, არ მინდა ჭამა და რა ვქნაო. დედა არ ეშვებოდა.

— მაგიტომაც გამხდარხარ მას შემდეგ, რაც განახე... თავი უნდა მოიკლა, ჰა, კიკნავ?

— კიკნა არა, პაწუწუნა არ გინდა! — გაუჯავრდა დედას მამა. — რაღა დროს მაგის კიკნაობაა, ვერა ხედავ, საულვაშე აჯეჯილებია. თავში ტვინი არა აქვს, თორემ სიგრძე არ აკლია და ტანი.

— ტვინიცა აქვს და ჭკუაც! — ვერ მოითმინა კარს უკან ატუზულმა ბერუამ და მწყრალად შემოსძახა შვილს.

— შენ მანდ დამაცა! — წყრომითვე უპასუხა შვილმა და ახლა გელას მიუბრუნდა: — ბიჭო, მეტი ჭკუა არ უნდა გქონდეს? ამოდენა სოფელს შენ დაუდგები წინ?

— რათა მე? — ვერ მოითმინა ყმაწვილმა. — მთელი სკოლის ბავშვები ჩვენთან არიან.

— ჰო-ჰო-ჰო! „მთელი სკოლის ბავშვები“! დიდი ძალა გყოლია!

— უფროსებიც ბევრია ჩვენკენ: დარჩოშვილები, პაპასკარელები, ურდულაძეები, კოკორაშვილები... ზოგი მასწავლებელიც.

— მეცა, მეცა! — კვლავ კარებს უკნიდან შემოიძახა პაპამ.

— პაპაც! — მტკიცედ დაადასტურა გელამ.

— იჰ, პაპაც! — გამოაჯავრა შვილს ბადურმა. — დარჩით შენ და შენი პაპა ამ ჰონჰყოში და იყავით. ერთი არ ვნახავ, როგორ შეინახავთ თავს!

— ჰონჰყოში რათა? — ველარ მოითმინა ბერუამ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა სამალავიდან. — ცოტაა მშრალი ადგილი? ამ ჩემს აშენებულ სახლს მევე დავშლი და გადავიტან... ძმები თუ ერთ სახლში ვერ ეტევით, ცალ-ცალკე გადით. ვინ გიშლით? გვერდიგვერდ დასახლდით.

— კი, მოგართმევენ იქ ნაკვეთებს! მერე, სახნავ-სათესი?

— იმასაც გამოვნახავთ.

— არ იძლევიან იქ ნაკვეთებს, გაიგეთ, ხალხნო! — გაცეცხლდა ბადური.

— არ იძლევიან და ძალად ავიღებთ! — იხტიბარს არ იტეხდა მოხუცი. — ერთი ავაშენო იქ სახლი და მერე არ ვნახავ, როგორ დამინგრევენ?!

— ჩვენ აქ ვერ გავჩერდებით! — თავისი ოჯახის სახელით კატეგორიულად ჩართო სიტყვა უმცროსმა რძალმა.

პაპას უნდოდა, რაღაც მწარე ეთქვა მისთვის, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა, მხოლოდ ხელი ჩაიქნია, შენთან ლაპარაკი არ ღირსო.

იმ დღეებში ყველა ოჯახში ასეთი დავა-კამათი იმართებოდა. სასწორი თანდათან წამსვლელთა სასარგებლოდ იხრებოდა. დაიძრა ლავა და იმის შეჩერება აღარავის შეეძლო. მიდიოდნენ და მიდიოდნენ მთელი ოჯახებით და სოფელში მომრავლდა ნასახლარები. თუ რამის წაღება შეიძლებოდა, ყველაფერი მიჰქონდათ: კარფანჯრები და სახურავი, იატაკი და სარაბახი, ბოძკინტები და რიკულები... ნერგებსაც არ ტოვებდნენ და ძირფესვიანად გადაჰქონდათ ბარში. ეშმაკის ნაოხრალს ემსგავსებოდა ერთ დროს კოხტად გაშლილი თორთი.

გვიან ღამემდე არ ჩამქრალა შუქი ძირაშვილების სახლში. მიუხედავად იმისა, რომ ბადური დარჩენას არ აპირებდა, მაინც არ ჩქარობდა წასვლას. ცოლი წუწუნებდა, ბავშვებს ადრე დაბრუნებას დავპირდით და შეშინდებიანო. თითქოს გული ორად გაყოფოდეს: იქით პატარების დარდი ჰქონდა, აქ კიდევ უფროსი ბიჭი უთუთქავდა გულს. აღარ იცოდა, რა ექნა. მერე როგორღაც დაიმარტოვა ვაჟიშვილი მანსარდზე, სადაც თვალცრემლიანი გელა მამას გაერიდა და დაყვავება დაუწყო:

— დაფიქრდი, შემოგევლე! აბა, ჩვენ შენი მტრები ხომ არა ვართ? სიკეთე გვინდა შენი. ნენო და თინა გოგოები არიან, გათხოვდებიან, წავლენ, შენ უნდა დარჩე ჩვენს ბურჯად. იმოდენა სახლი წამოვჭიმეთ, იმას რა უნდა ვუყოთ? შენთვის ყველაზე კარგი ოთახი გამოვყავით. მამაშენი ამბობდა ამას წინათ, ისე უნდა მოვურთო, პროფესორის კაბინეტს აჯობოსო. მთელი კედელი წიგნებით გექნება სავსე. კითხვა ხომ გიყვარს და იკითხე და იყავი. მერე უმაღლესშიც მოგაწყობთ, კაცი გამოხვალ, ხალხში გაერევი!.. მაშ, ამ სოროში რა უნდა აქეთო? აქ ვინ დარჩა, შენ რომ დამირჩე, შემოგევლე?

გელას არაფერი უპასუხნია, იჯდა თავის საწოლზე, მუხლებზე იდაყვებდაყრდნობილი, წელში წაზნექილი და ხმას არ იღებდა. ბოლოს ისე გამოხედა დედას, ქალი მიხვდა, ამაო რომ იყო ახლა ყოველგვარი შეგონება, და მძიმედ ამოიოხრა.

ერთხანს დუმდნენ. მერე დედამ გაბედა და დაბალი ხმით შეაპარა:

— არც ის გოგო დარჩება აქ, თუ ეს გაფიქრებს...

გელას ალმური მოედო სახეზე, კიდევ უფრო დახარა თავი. გული აუბაგუნდა, საფეთქლებში სისხლი მოაწვა.

— ჰო, რა გგონია? — არ ეშვებოდა დედა. — ჯერ ახლაც არა გვკადრულობს ის დათვიტორია და მერე და მერე სულაც არ შემოგვხედავს...

— კარგი ერთი!.. — წამოვარდა ზეზე ალეწილი ბიჭი. თავბრუ ეხვეოდა, სუნთქვა ეკვროდა. მოკლე ქო-





ჩორში წაივლო ხელი და თმები მოიქაჩა, რომ როგორმე თავი შეეკავებინა და რაიმე უკადრი არ ეკადრებინა მშობლისათვის. სიმწრით დაემანჭა სახე და დედა მიხვდა, რა ტკივილიც მიაყენა თავმოყვარე ბიჭს. ხელი მოსაფერებლად გაექცა, მაგრამ თავი შეიკავა. ვერ გაბედა.

გელას ატირებას არაფერი უკლდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა და ენა მთლად დაებორკა.

უსიტყვოდ გააცილა მშობლები, ჭიშკრამდე მიჰყვა მანქანას და მერე დიდხანს უმზერდა ღამის ბინდბუნდში ორ წითელ პაწაწა შუქს, ქვევით რომ მიიწევდნენ და ნელ-ნელა პატარავდებოდნენ.

4

ცხოვრება გაუმწარდა ბიჭს.

თანდათან ეჭვმაც შეიპყრო: შეძლებდა კი, როგორმე სოფლის დინება შეეჩერებინა? როდესაც სოფლსაბჭოს თავმჯდომარე და მეურნეობის დირექტორი მივიდნენ ხალხთან და საბოლოოდ განუცხადეს, სოფელი უნდა დაიშალოს, სხვა გზა არ არისო, მთლად გაუტყდა გული. ყველაფრის ხალისი დაეკარგა. წესიერად ვეღარც მეცადინეობდა, წიგნებსაც უგულოდ ეკიდებოდა.

ლიდერის ამგვარად გარდაქმნამ, რა თქმა უნდა, სამწუხაროდ მოშალა.

ერთადერთი სიხარული და ოცნება იყო... მაიასთან შეხვედრა.

ქალიშვილი არ ეპუებოდა მშობლებს და არ წყვეტდა გელასთან მეგობრობას. ამან მთლად გადარია გულო, მაიას ქუჩაში მარტო გასვლაც კი აუკრძალა, უთუოდ რომელიმე და უნდა გაჰყოლოდა.

გულოსაგან განსხვავებით, დედა, მართალია, უჯავრდებოდა, მაგრამ თანაც ეცინებოდა გუნებაში. ცალყბად ქმარსაც საყვედურობდა, სად გაგონილა, გოგო-ბიჭი ერთ კლასში დადიან და შეხვედრა აუკრძალოო. ხანდახან, როცა ქმარი საყვედურებით აავსებდა, კარგად ვერ პატრონობ ქალიშვილსო, იქით შეუტევდა, მწყემსად ხომ ვერ დავუდგები ამოდენა ქალსაო.

— იჰ! — ჯავრობდა ანეტა და ცდილობდა, მაინცდამაინც გულთან არ მიეტანა ეს ამბავი. ცხოვრებაში ჯერ ცუდი არაფერი შეხვედროდა და ვერც წარმოედგინა, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, ამგვარ დავიდარაბად ღირებულიყო. ოთხი ქალიშვილი ჰყავდა ერთმანეთზე მიყოლებული, ერთიმეორეზე უკეთესები, ზრდილები, საქმიანები, ჭკვიანები. უფროსი უკვე გაათხოვა, მშვენიერი ოჯახი აქვს.

არც ერთს სირცხვილი არ უჭამია და რაღა ეს ნაბოლარა შემარცხვენსო, — გაიძახოდა და დიდად არ იწუხებდა თავს. ამით სარგებლობდა მაიკო და ხანდახან მაინც ახერხებდა გელას ნახვას დათქმულ ადგილას — მედგრისის ციხის გადაღმა, საიდანაც მხოლოდ ერთმანეთზე გადაბმული მთები და უძირო ზეცა მოჩანდა.

ახლაც, ერთმანეთი რომ ნახეს, იმ ადგილს მიაშურეს. ჩამოსხდნენ ხევზე გადაშვერილ სიპზე და გადაავლეს თვალი იქაურობას. მოჭარბებული გრილი ჰაერი გულს საამოდ აფრთხიალებდა, სუნთქვას ამსუბუქებდა, ძარღვებში ნექტარი იღვრებოდა თითქოს.

ზამთარი ფეხაკრეფით მოიპარებოდა. შორეულ მაღალ მთებს უკვე შევერცხლოდათ მწვერვალები. რუხი და ჩალისფერი მოჭარბებოდა ბუნებას.

მოჯადოებულნი გადაჰყურებდნენ გარემოს და დუმდნენ. დიდხანს იყვნენ ასე გაყუჩებულები, ბოლოს, როგორც იქნა, გელამ წყნარად შემოხედა უდარდელად მჯდომ ქალიშვილს და, გულმოკლულმა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— და ყველაფერი ეს მიატოვო კაცმა იმისათვის, რომ... — და გაჩუმდა. მაიასათვის გასაგები იყო ყველაფერი. მეგობრის ხმაში სინანულთან ერთად საყვედურიც ისმოდა და ამიტომაც იყო, თავის მართლებას რომ მოჰყვა:

— რა ვქნა, კიკნავ, ძალიანაც არ მინდა აქედან წასვლა, მაგრამ... მე მარტოდ ხომ ვერ დავრჩები? მთელი ოჯახი გადადის... გასულ კვირას მამამ ჩვენი ახალმოსახლეობის სანახავად წაგვიყვანა. პალატის ნაწილი უკვე მომთავრებულია... იმოდენა სახლი წამოუწყია, აქაურს სამს ჩაიტევს.

— მერე რად უნდა, — ცოტა აგდებულად გამოუვიდა ნათქვამი გელას, — მე შენ გეტყვი, ოთხი გოგო კი არა, ოთხი ბიჭი ჰყავს მამაშენს.

გელას ეგონა, მაია გაწიწმატდებოდა, მაგრამ, მისდა გასაოცრად, გოგონა ჩვეული სილაღით აკისკისდა.

— ბიჭო, ეგრე რომ ლაპარაკობ, რა იცი, შენ რა გეყოლება?

გელასაც გაეცინა, კარგ გუნებაზე დადგა. წამოხტა, ხელები გაშალა, თითქოს გადაფრენას აპირებს ამ ქარაფიდანო, და მთელი ხმით გასძახა სივრცეს:

— ეჰე-ჰე!..

ხმა ექოდ ავარდა ხევებში და სადღაც შორს მიიკარგა.

— ეჰე-ჰე!.. — მაიამაც გაიმეორა ძახილი და მიაყურა თავის ხმას, გორაკიდან გორაკზე რომ გადადიოდა და ნელ-ნელა უჩინარდებოდა.

გელამ ხელისგულები მოიშველია და მთელი ხმით კვლავ გასძახა ტალღებად გაშლილ გორაკებს:

— მა-ი-ააა! მა-ი-ააა!

ქალიშვილი არ ჩამორჩა:

— გე-ლა-ააა!... გე-ლა-ააა!.. გაიძახოდა და ალტაცებით გაჰყურებდა სივრცეს.

დასასრული მომდევნო ნომერში

# „სქაუთი“ მეგობარსაც ნიშნავს

ნინო
ხარაზიშვილი

მოგეხსენებათ, უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოებას რა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენი საზოგადოება. ცალკეულ ქალაქებსა თუ ფირმებს შორის დაწყებული დაძმობილება და საქმიანი თანამშრომლობა, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანებს შორის მეგობრობაში გადაიზარდა. განვითარდა ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა გაცვლის პრაქტიკა. გამოცდილების ურთიერთგაზიარების ეს ტენდენცია ახლა უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სტუდენტებსა და მოსწავლეებსაც შეეხო. დღეს უკვე ათობით მოზარდი და ახალგაზრდა იგზავნება მცირე ხნით სასწავლებლად აშშ სასწავლებლებში. ფართოვდება ერთობლივ სასწავლო-შემეცნებით თუ შემოქმედებით ღონისძიებათა არეალი, იქნება ეს ბავშვთა მხატვრული კოლექტივების გასტროლები თუ ამერიკელ და ქართველ მოსწავლეთა ერთობლივი კომპიუტერული სკოლები. მოზარდთა ამ რანგის შეხვედრებს განეკუთვნება ამერიკელი ყმაწვილების ერთი ამასწინანდელი სტუმრობაც, რომელმაც ახალგაზრდობის ორგანიზებული დასაქმების კიდევ ერთი საინტერესო ფორმა გაგვაცნო. ეს ფორმა გახლავთ სქაუთთა მსოფლიო მოძრაობა (იგი 12 ქვეყნის ეროვნულ ორგანიზაციას აერთიანებს), რომელსაც კოორდინებას უწევს სქაუთთა მსოფლიო ბიურო გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით. საგულისხმოა, რომ ეს აღმზრდელობითი, სკოლისგარეშე მრავალრასობრივი ახალგაზრდული მოძრაობა, გარდა დემოკრატიზმის უმაღლესი პრინციპებისა, პატრიოტიზმის უფაქიზესი იდეალებითაც საზრდოობს. მოძრაობის უმთავრესი ორიენტირებია პასუხისმგებლობა ღმერთისა და რელიგიის წინაშე, სამშობლოს სიყვარული და მსოფლიო ძმობა-მეგობრობა.

ინგლისური სიტყვა სქაუთი მზვერავს ნიშნავს. მზვერავობა კი, მოგეხსენებათ, პიროვნების მრავალმხრივ განვითარებას მოითხოვს, ეს ნიშნავს, ნებისმიერ ექსტრემალურ სიტუაციაში იყო საზრიანი, ხელმარჯვე, სწრაფი, ძლიერი, ღონიერი და, რაც მთავარია. საიმედო. ადამიანის ჰარმონიული განვითარების ეს პრინციპებია გამოხატული წიგნში, რომელიც დღემდეც საოცრად პოპულარულია ევროპასა და ამერიკაში. ეს წიგნი — „სქაუთების მოძრაობა ბიჭებისათვის“ დაედო საფუძვლად მოძღვრებას, რომელსაც დღეს სქაუთიზმის სახელწოდებით იცნობენ, ხოლო მისი ავტორი ლორდი რობერტ ბადენ პოუელი მიჩნეულია სქაუთთა მოძრაობის მამამთავრად.

თუ ამ მსოფლიო ახალგაზრდული მოძრაობის წარმოშობის ისტორიითაც დავინტერესდებით, უპირველეს ყოვლისა, გაგვაოცებს მისი ასაკი. დიახ, სქაუთთა დიდი და ძლიერი ძმობა დღეს უკვე 83 წლისაა. ხოლო დაიბადა იგი ინგლისში და უთუოდ მასში ჩადებულმა ჰუმანისტურმა მისწრაფებებმაც განაპირობა, რომ იგი მეტად სწრაფად მოედო მთელს ევროპასა და აზიას, აფრიკას, ავსტრალიას, ლათინურ ამერიკას და თავის რიგებში 6-დან 25 წლამდე 16 მილიონამდე მოზარდი და ახალგაზრდა გააერთიანა.

სქაუთთა მოძრაობის ერთ-ერთი ძლიერი ეროვნული კერაა ამერიკის შეერთებულ შტატებში, იგი 3 მილიონამდე ყმაწვილს აერთიანებს. საგულისხმოა, რომ ცალ-ცალკე არსებობენ ბიჭ-სქაუთთა და გოგონა-სქაუთთა მსოფლიო ორგანიზაციები. სქაუთ გოგონათა მსოფლიო ასოციაცია, ისევე, როგორც ბიჭ-სქაუთებისა, აღიარებს სქაუთთა ფიცსა და კანონებს; მისი მიზანია, სქაუთიზმის პრინციპებზე ურთიერთთანამ-



სტუმრები მოიხიბლნენ მასპინძელთა გულღიაობით



ყვარლის პირველი სკოლის მესამეკლასელი ეკა ელოშვილი და ატლანტელი დონი ფლანქიტი ფესტივალზე დამეგობრდნენ

შრომლობით განავითაროს თანამოაზრეობა მსოფლიოს სქაუთ-გოგონათა შორის. გოგონათა ასოციაციას აქვს 80 ეროვნული ორგანიზაცია, იგი აერთიანებს მსოფლიოს 6 მილიონზე მეტ სქაუთ-გოგონას.

აი, როგორი ძლიერი და ტრადიციული მსოფლიო მოძრაობის წევრი ყმაწვილები გვესტუმრნენ ამ ზაფხულს თბილისში. ისინი 19-ნი იყვნენ, ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიის შტატიდან — ატლანტელები და ჩიკაგოელები. ყველაფერში ეტყობოდათ, რომ ჩვენი რესპუბლიკის და მისი ხალხისადმი გარკვეული სიმპათიითა და ინტერესით ჩამოვიდნენ. სწორედ იმხანად ჩვენი ნორჩი კინომოყვარულების სტუდია თავის ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალს „თბილისურ აისს" ატარებდა წყნეთის დასასვენებელ სახლში. ამერიკელი თანატოლები მათაც ეწვიენ. თბილისის ღირსშესანიშნაობანიც დაიარეს, სვეტიცხოველიცა და ჯვარიც მოინახულეს, მარტყოფის მშვენიერი ეკლესიაც.

უცხოელ სტუმრებს, საქართველოს საერთაშორისო ახალგაზრდული თანამშრომლობის კომიტეტთან ერთად, მასპინძლობდა რესპუბლიკის ბავშვთა დეპოლიტიზებული გაერთიანებების საკოორდინაციო ცენტრი. მაგრამ იყვნენ უფრო უშუალო მასპინძლებიც, რომლებთანაც ამერიკელმა ყმაწვილებმა საერთო ენა და ინტერესი ყველაზე სწრაფად მონახეს. ვგულისხმობთ მათი თბილისური დღეების უშუალო მასპინძლებსა და მონაწილეებს — თბილისელ მოსწავლეებს: კობა კობიძეს, თამრიკო ჩხატარაშვილს, ზვიად ტუჩაშვილს, სოფიკო და თამუნა ნოზაძეებს, ნინო და გიორგი ღლონტებს, რომლებმაც თავიანთი ყოჩაღი სტუმრებისგან, ვიმედოვნებთ, რომ ბევრი სასიკეთო რამეც ისწავლეს.

საქმე ისაა, რომ სქაუთთა მოძრაობაში ბევრი რამ არის ისეთი, რაც ინტერესთა მიხედვით შექმნილ ჩვენს ბავშვთა ორგანიზაციებსაც უთუოდ გამოადგებათ. საინტერესოა სიმბოლიკა, რომლითაც ისინი თავიანთ უნიფორმებს ამკობენ: უნდა გამოვყოთ მოძრაობის ემბლემა — შროშანი, რომელსაც მეზღვაურულად გამონასკვული ჩალიჩი აქვს შემოვლებული, საგულისხმოა, რომ შროშანი ძველთაგანვე აღინიშნებოდა ევროპის ძველ რუკებსა და კომპასებზე, როგორც მიმართულების სწორად აღების სიმბოლო, ჩალიჩი კი უსაზღვრო ერთიანობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული.

თავიანთ მოძრაობაში ახალმიღებულ ყმაწვილს სქაუთები უნიფორმაზე საგანგებო სამკლაურს უკეთებენ, ამ სამკლაურზე ჯერ მხოლოდ ვარსკვლავია გამოსახული. ეს სქაუთობის საწყის საფეხურზე დგომას ნიშნავს. მეორე და მესამე სიმაღლის დასაპყრობად კი დიდი ცოდნისა და ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენაა საჭირო. სქაუთი მამაცი და შეუპოვარი ადამიანია, მან თავი ყველგან და ყოველთვის დამოუკიდებლად, ღირსეულად და, რაც მთავარია, საკუთარი შრომით უნდა გაიტანოს. ერთმანეთის ანტონიმებია ხელსაპყარა, ზარმაცი ადამიანი და სქაუთი. სქაუთს ყველაფერი ემარჯვება: კარვის გაშლაც და ცეცხლის ანთებაც, კერძის მომზადებაც და ნიჩბოსნობაც, მთამსვლელობაცა და მეთევზეობაც, კომპასით გზის გაგნებაც და მეხანძრეობაც. სქაუთი კარგად უნდა ერკვეოდეს კომპიუტერულ და რადიოტექნიკაში, მართავდეს მანქანას, შეეძლოს ცხენზე ჯდომა, უფრთხილდებოდეს ძეგლსა და ბუნებას, ზრუნავდეს მოხუცებსა და პატარებზე; სქაუთი აუცილებლად მამაცი, ძლიერი ნებისყოფის, დიდსულოვანი უნდა იყოს. ხოლო, იმისდა მიხედვით, თუ რა ცოდნა და ცხოვრებისეული სიბრძნე შეიძინა, იგი რიგრიგობით იღებს 21 ემბლემას. ყოჩაღობაში ცოტა უკვე ფეხშედგმული სქაუთი „მართვეა". ეს კი იმას ნიშნავს, რომ მის სამკლაურზე, შიგ ვარსკვლავში არწივის პატარა, ლამაზი მართვე „ჩნდება". სქაუთობის უმაღლესი საფეხური — „არწივობა" კი თითქმის პიროვნების სრულყოფილების სინონიმია. არ არსებობს დაბრკოლება, არწივმა სქაუთმა რომ ვერ გადალახოს, არ არსებობს საქმე, მან რომ ვერ დაძლიოს, გამოცდა, მან რომ ვერ გაუძლოს.

როცა მთელ ამ ინფორმაციას მიიღებ და არწივ სქაუთის ემბლემითა და სიმაღლეთა დაძლევის ნიშნით „21-3კ" „აღჭურვილ" 12-13 წლის მოზარდს დაინახავ, მისდამი უნებურად პატივისცემის გრძნობა გიპყრობს. სწორედ ამ ასაკშია ატლანტელი დევიდ ფენერიც, ხასიათის სიძლიერე კი უკვე გარეგნობაშიც ეტყობა. დევიდი ექიმობაზე ოცნებობს, შესაბამის სასწავლებელში სწავლობს, თავისუფალ დროს კი ატრაქციონების პარკში მუშაობს, თვეში 470 დოლარად. „არწივია" ჩიკაგოელი ქრის გრიგორიც. როგორც ჩანს, იგი სხვა მხარეებითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზინა ათანელაშვილი

## მომავლის იმედი

სულ ჩემია ეს ქვეყანა,
ეს მთები და ეს კლდეები,
სულ ჩემია მორაკრაკე
მდინარე და ჩანჩქერები,
ეს ნაძვები, ეს პარკები,
ზღვის ტალღები, მზის სხივები...
სულ ჩემია ცა და მიწა,
მოელვარე ვარსკვლავებით.
მე დავიცავ საქართველოს,
როცა დიდი გავიზრდები.
შრომით, გარჯით და მარჯვენით
არასოდეს დავიღლები.
ავაშენებ, დავამშვენებ,
ავაყვავებ მთას და მდელოს,
გაუმარჯოს ამ დიდებულს,
ჩემს საყვარელ საქართველოს!

ავთანდილ მეზრელიშვილი

## იათე და იოცე

იბიბინეთ, მამულის
მოხასხასე ველებო,
იშრიალეთ, ტყეებო,
მუდამ საკვირველებო!
ილაღანეთ ყანებო,
ზვარებო და ბაღებო,
ქალაქებო, სოფლებო...
ალალებო, ლაღებო,
სულ ქართულად იმღერეთ,
სულ ქართულად ილოცეთ,
ერო უსაყვარლესო,
იათე და იოცე!
ჩვენო ენავ ქართულო,
ჩვენო ხორცო და სისხლო,
მარადიულ სიცოცხლით,
მტრების გული დასუსხე!..
სულ ქართულად ვიშრომოთ,
ვიმღეროთ და ვილოცოთ,
მტრების გულმოსაკლავად, —
ვიათოთ და ვიოცოთ!

## ზაფხული სოფელში

ჩამოცხა, სუნთქვა გაჭირდა,
ფოთოლიც კი არ ქანაობს,
ხეები დადუმებულან,
მთლად გასუსულა ყანაო.
ქარი ხომ გადაიკარგა, —
სიოც წარგვტაცა თანაო.
არასდროს არ გვინახია
ზაფხული ამისთანაო!
მიწა დახეთქა, გააპო.
შეგეშინდება გავლაო.
სულს ლაფავს ყველა მცენარე,
ახრჩობს ტიალი გვალვაო.
ხმება ბიბინა ბალახი,
ცაში აჭრილი ალვაო...
ენაც კი აასისინა
აქა-იქ ხანძრის ალმაო,
ზეცას დაუწყეს ვიშვიშით
ცქერა კაცმა და ქალმაო...
თითქოს ისმინა ვედრება,
ატყდა ჭექა და ქუხილი,
მოვიდა კოკისპირული,
შეწყდა ვიშვიში, წუხილი...
ამოისუნთქა მცენარემ,
მიწამ და ადამიანმა.
წვიმა მშრომელი კაცის გულს
მალამოსავით ეამა.

ბევრი თანატოლისთვის სამაგალითო ბიჭია. მთავარი კი ისაა, რომ მან კონკრეტულად იცის, რა უნდა და ამ მიზნის მისაღწევად ბევრ რაიმეს უკვე ბავშვობის ასაკიდან აკეთებს. ქრისი იმდენად მარჯვე მზარეულია, რომ ბარში მუშაობს, კმაყოფილია — თვეში 500 დოლარი მოზარდისთვის ცოტა როდია. აი, საქართველოშიც თავისი ფულით წამოვიდა, თანაც დამოუკიდებლობას გრძნობს, ტკბება ამ დამოუკიდებლობით; დამოუკიდებლობა მას საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენას მატებს. აი, ატლანტელი ბენ ფლექნერი კი სამსახიობო კოლეჯში სწავლობს და ოცნებობს დრამწრის ხელმძღვანელობაზე.

დიახ, დამოუკიდებლობა, საკუთარი შესაძლებლობების სრულფასოვანი ცოდნა, პრაქტიკული ცხოვრებისთვის მზადყოფნა ერთ-ერთი პირველია, რაც სქაუთებში მოგხიბლავთ. მათთვის არ არსებობს პროფესიის არჩევის პრობლემა იმიტომ, რომ თითოეული მათგანი ბავშვობიდანვე ეცნობა თავის მიდრეკილებებსა და შესაძლებლობებს და პროფესიის არჩევისას მხოლოდ ობიექტური რეალობიდან ამოდის.

სქაუთებს მიაჩნიათ, რომ პიროვნება აუცილებლად პოლიტიკურადაც განათლებული უნდა იყოს. იგი პოლიტიკაში უნდა ერკვეოდეს იმდენად, რამდენადაც ეს მისი ქვეყნის ინტერესების დაცვას დასჭირდება. ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, მშობლიურ ქვეყანას გამოადგება. ძირითადად ეს მხარე იზიდავთ სქაუთიზმში რაქ საბელს, ბრაიენ დოლეზალსა და სთივენ ჰოვარდს, ამერიკელი სტუმრები ცდილობდნენ, თავიანთი ეს განწყობილებები მასპინძელი თანატოლებისთვისაც გადმოეცათ და ამის საუკეთესო საფუძველი ალბათ შემდგომი შეხვედრები იქნება.

მაშ, ასე... მეგობრები წავიდნენ და ახლა იქ, თავის ოკეანისგაღმა ქვეყანაში მიელიან თავიანთ ქართველ მასპინძლებს, იმათ, ვისაც საგანგებოდ დამზადებული მშვენიერი სუვენირები დაუტოვეს... გაინტერესებთ, რას წარმოადგენს ეს სუვენირები? ეს არის ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის აღმნიშვნელი ლამაზი ემბლემით დამშვენებული, ლურჯარშიიანი თეთრი ყელსახვევები, — ჩვენი ხალხების მომავლის — ჩვენივე ბავშვების დღევანდელი და ხვალინდელი მეგობრობის თავისებური სიმბოლო.



ბივი გეგეჭკორის
მიერ
მოთხრობილი

# აკაკი წერეთლის ცხოვრება

უკანასკნელი სურვილი.

ანდერძი.

აკაკის გარდაცვალება.

ერთხელ აკაკი წყნეთის ქუჩის დასაწყისში (თვითონ ოლღას ქუჩაზე ცხოვრობს), ექვთიმე თაყაიშვილთან მივა და ეტყვის: ჩემი ქონება შენს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მინდა დავუტოვოო.

ექვთიმე გაიცინებს და აკაკის ღიმილით უპასუხებს: აკაკი, შენი ჭირიმე, გინდა, რომ შენს ვალებში ჩვენი ხელნაწერები და ნივთები გაგვაყიდინო?

აკაკი ეტყვის: ვინ გითხრა, რომ ვალები მაქვს? ამას მაშინ გაიგებთ, როცა ჩემს მემკვიდრეობას მიიღებთ და შემდავებელი არავინ გამოგიჩნდებათო.

ამ საკითხზე საუბარი ამით გათავდება.

ექვთიმე თაყაიშვილი მხოლოდ აკაკის გარდაცვალების შემდეგ გაიგებს, რომ თურმე ამ საუბრიდან ერთი კვირა არ იქნება გასული, რომ აკაკი ქუთაისში წავა და დაამტკიცებს ანდერძს, რომ მთელ თავის მამულს და ნაწარმოებებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უტოვებს.

ეს ანდერძი დაწერილია 1912 წლის 7 ნოემბერს. ანდერძში ამის გარდა ისიც წერია, კარის ეკლესიის გვერდით, სოფელ სხვიტორში დამასაფლავეთო. გთხოვთ, უბრალოდ და უგვირგვინოდ დამასაფლავოთ, გვირგვინის მსურველთ კი ვთხოვ, გვირგვინის ფასი ზემოხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადასცენო.

აქვე უნდა ითქვას, რომ აკაკის ადრე კიდევ აქვს დაწერილი ანდერძი, რომელსაც „უკანასკნელი სურვილი" ჰქვია. იგი ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან ორი თვის შემდეგ არის დაწერილი. ამ პირველ ანდერძში აკაკი სურვილს გამოთქვამს, თუ ეს შესაძლებელია, გელათში, დავით აღმაშენებლის ფერხთით დამმარხეთო. მეორე ანდერძში აკაკის ეს სურვილი შეუცვლია, დანარჩენი ისევ ისე დაუტოვებია.

აკაკი სიკვდილის მოახლოებას გრძნობს.

1914 წლის დეკემბერია. მწერალი ივანე იოსელიანი, რომელიც აკაკის ძებნას შეუდგება და ბოლოს სასტუმრო „გრანდ-ოტელში" მიაკვლევს, პუშკინის ქუჩაზე, ნახავს, რომ დეკემბერში ავადმყოფი პოეტი ცივ ოთახში ტანგაუხდელი წევს. აკაკის პეტროგრადიდან ალექსის წერილი მოსვლია, შვილი ფულს სთხოვს. აკაკი თბილისში ფულს ვერ იშოვის და ქუთაისში მიდის.

ქუთაისში აკაკი იაფფასიან ნომერში გაჩერდება. დეკემბრის ცივი, ქარიანი დღეებია. სასტუმროს არ ათბობენ. ფულს ვერც ქუთაისში ისესხებს. ძალიან სუსტად არის, მაგრამ პოემას წერს, „ომს", და მის დამთავრებას ჩქარობს.

ოც დეკემბერს საჩხერიდან ქუთაისში აკაკის მოურავი კოტე აბდუშელიშვილი ჩამოვა (კოტე აბდუშელიშვილი აკაკიმ 1911 წელს მიიწვია). კოტეს აკაკი სავალალო მდგომარეობაში დახვდება და მოურავი დაითანხმებს, რომ საჩხერეში წამყვეს. ფულს იქ ვიშოვი და პეტროგრადში იქიდან გავუგზავნიო.

მეორე დღეს კოტე აბდუშელიშვილს აკაკი საჩხერეში ჩამყავს, ხოლო სამი დღის შემდეგ, ოცდაოთხ დეკემბერს, სადამოს აკაკი თავს ცუდად იგრძნობს და ლოგინში ჩაწვება.

ოცდახუთ დეკემბერს, დილის ცხრა საათზე მის მკურნალ ექიმს ხევერიან პოლოშვილს აკაკის ავადმყოფობის ამბავს შეატყობინებენ. აკაკი დაღვრემილია. სუსტად ვარო, ამბობს, მაგრამ დალაგებულად საუბრობს.

— იცით, რომ მე დამბლა დამეცა?— ხმადაბლა ეტყვის ექიმს აკაკი.

— თქვენს საუბარს დამბლის დაცემისა არაფერი ეტყობა... — დაამშვიდებს ექიმი.

მეორე დღეს ჩამოვა ჭიათურის სავადმყოფოს გამგე ექიმი სიმონ ჯაფარიძე და კონსილიუმი დაასკვნის, რომ ტვინში სისხლის ჩაქცევა და დამბლაა მოსალოდნელი.

ექიმები ბჭობას შექმნიან, ავადმყოფთან ვინ დავსვათო. ჩემი ნატალია მომიყვანეთო, იტყვის აკაკი. ნატალია მაჭარაშვილს მოუყვანენ. ექვსი კვირა სასთუმალთან ის დაუჯდება.

აკაკი მნახველების დანახვაზე ღელავს. თუ მნახველი მისთვის ძვირფასი ადამიანია, ტირის და ქვითინებს. ექიმები იძულებულები არიან, მნახველებს შესვლა აუკრძალონ და კიდეღზე განკარგულებას გამოაკრავენ.

აკაკი ამ აკრძალვას თითქმის შეურიგდება. სამაგიეროდ, მოითხოვს, ჩემი ნაწერები წამიკითხეთო. ანეტა იურკევიჩი სასთუმალთან რომ დაუჯდება, აკაკი სახატეზე მიუთითებს და ეტყვის: აქ ჩემი ნაწერებია, გამოიღე და რამე წამიკითხეო. იმ ღამეს ანეტა ბევრ რამეს წაუკითხავს, მათ შორის, „გამზრდელსაც". როდესაც პოემის დასასრულს მიუახლოვდება და წაიკითხავს: „მაგრამ უსუფ მეუბნება: შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?! სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ", აკაკი აქვითინდება. შეშინებული ანეტა ეტყვის: კითხვას თავს დავანებებო... აკაკი აღელვებული მიუგებს: „არა, არა, მე არ ვტირი, მაგრამ... მაგრამ ეს მართლა კარგად დამიწერია..."

ოცდარვა დეკემბერს მეორე კონსილიუმში ქუთაისელი ნევროპათოლოგი გაბო გოკიელიც მონაწილეობს. აკაკი გაბოს რომ დაინახავს, აქვითინდება და ეტყვის: სიკვდილი არ მინდაო. ძლივს დაამშვიდებენ.

ოცდაცხრა დეკემბერს ხევერიან პოლოშვილს ავადმყოფთან ნიცა წერეთელი და ანეტა იურკევიჩი დაუხვდებიან. აკაკი ბალიშს აიმაღლებს, სამივეს ეკლესიის წინ, ტყემლის ხის გვერდით გაშლილ ადგილს დაანახვებს და ჩაილაპარაკებს: იქ დამმარხეთო, და მწარედ აქვითინდება.

ოცდაათ დეკემბერს მის სანახავად მოსულ ექიმს აკაკი ეტყვის: რომ დამცინოდით და არ გჯეროდათ, ახლა ხომ ხედავთ, ენა აღარ მემორჩილებაო. ექიმს თავზარი დაეცემა, რადგან ცხადია, რომ აკაკის ენა აღარ ემორჩილება, ებორკება და ერთმევა.

ოცდათერთმეტ დეკემბერს მესამე კონსილიუმს ჭიათურის საავადმყოფოს გამგე სიმონ ჯაფარიძე, თბილისელი ექიმი აპოლონ ტყემალაძე და ხევერიან პოლოშვილი ესწრებიან. ისინი ტვინში სისხლის ჩაქცევას და მარჯვენა მხარის დამბლას დაადასტურებენ.

ყველაზე უფრო მეტად აკაკის ხელის წართმევა აწუხებს. ექიმი რომ შედის, თავის დადუნებულ მარჯვენა ხელს დაღონებული დახედავს ხოლმე.

1915 წლის პირველ იანვარს აკაკი უკეთაა. ახალი წელია, მშვიდად არის. სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებს საახალწლო მოსაკითხები მოაქვთ, ექიმი საქართველოს ყოველი კუთხიდან მოსულ დეპეშებს უკითხავს.

შემდეგ ორ დღეს აკაკი ცუდ გუნებაზეა, დღე ღელავს და ღამე არა სძინავს.

რვა იანვარს აკაკის უკეთესობა ეტყობა, ე" ისე აღარ ებორკება, ფეხსაც ამოძრავებს. აკაკი რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობას მოიგონებს და კოტე აბდუშელიშვილს თხოვს, ტოლელმა გლეხებმა რომ კალმახები მომართვეს, ის ხის ხონჩა მომიტანეო. ხონჩას მოუტანენ.

150



აკაკი ხონჩაზე წარწერას დიდხანს დაჰყურებს: „გაუმარჯოს აკაკის!“ თვალზე ცრემლი მოადგება და აქვითინდება.

ოცდახუთ იანვარს, დილის ხუთ საათზე აკაკის ტვინში სისხლი ხელმეორედ ჩაექცევა. აკაკი მის ოთახში მძინარე შვილს ალექსის ძლივს გააღვიძებს. მთლად გაოფლილია, კანკალებს, წვალობს, ენა ერთმევა. ძლივს გააგებინებს: ხელ-ფეხი წამერთვა, უთუოდ ვკვდე-ბიო. გულის რევა აუტყდება. ამ მდგომარეობაშია ოცდახუთ იანვარს დღისით. ღამით ენა ჩაუვარდება. ხელს ფანჯრისკენ იშვერს, უნდა ალექსის რაღაც უთხრას. ვერ ახერხებს. რა გინდა, მამა, საწოლი გავწიო თუ ლამპა გადავდგა? — რუსულად ეკითხება ალექსი. აკაკი უარის ნიშნად თავს გააქნევს და თვალებს დახუჭავს.

ღამის პირველ საათზე, ოცდაექვს იანვარს, აკაკის გულის ძგერა შეუჩერდება და სახეზე თავისი ლამაზი ღიმილი შერჩება.

აკაკის გულის ძგერის შეჩერებისთანავე საწოლი ოთახის ბუხრის რაფაზე საათიც შეჩერდება.

ბაგრატ ზაბახიძე აკაკის უბიდან დავითნს ამოაცლის...

## სხვიტორიდან წამოსვენება. დაკრძალვა.

მეორე დღეს, 26 იანვარს, აკაკის გარდაცვალების ამბავი თბილისში სწრაფად გავრცელდა. ცნობილი პუბლიცისტი და გამომცემელი სამსონ ფირცხალავა, რომელიც იმავე საღამოს გაზეთ „სახალხო ფურცლის“ დავალებით სხვიტორში გაემგზავრება, იგონებს, რომ იმათში, ვინც მასთან ერთად სხვიტორში გაემგზავრება, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეც იქნება. იაკობ ნიკოლაძე აკაკის ნიღაბს გადმოი-ღებს.

აკაკი სულ იმას ამბობდა: სხვიტორში მინდა დამასაფლაონ, ჩემს სხვიტორს უკეთესი სახელი ექნება, ჩემს საფლავზე ბავშვები მოვლენ და ითამაშებენო. მაგრამ არა, აკაკი მთელ საქართველოს ეკუთვნის, ის დედაქალაქში უნდა დაიკრძალოს, მთაწმინდაზე, თა-ვისი თანამებრძოლის, ილია ჭავჭავაძის გვერდით!

3 თებერვალს თბილისიდან საჩხერეში ასამდე კაცი ჩავა. მათ აკაკის ცხედარი თბილისში უნდა წამოასვენონ.

ოთხ თებერვალს, თბილისში წამოსვენების დღეს, ხალხი დენას რიჟრაჟიდან დაიწყებს, ეზო და მთელი გზა ხალხით გაიჭედება.

სამ საათზე აკაკის კუბოს სხვიტორის სასახლიდან ახალგაზრდა პოეტები გამოასვენებენ. გამოსვენებისას ამხანაგების თხოვნით ალექ-სანდრე აბაშელი იტყვის ლექსს „ჩვენ ბევრნი ვართ“.

პროცესია მცირე ხნით შეჩერდება, თითქოს იმისთვის, რომ მამა-პაპეულ სახლ-კარს აკაკი სამუდამოდ გამოეთხოვოს. მერე პროცესია საჩხერისკენ ნელ-ნელა დაიძრება. სადგურამდე გლეხები ატარებენ



და ორი კილომეტრის გავლას პროცესია რამდენიმე საათს მოუნდება. გზაში ხალხი მატულობს. ბევრგან შქერის თაღებია აღმართული. პროცესია ორღობეებს ჩამოივლის, მას წინ ექვსი შავჩოხიანი ცხე-ნოსანი მოუძღვის. შავჩოხიანებს შავი ბაირაღები უჭირავთ.

თვალცრემლიანი ხალხი აკაკის კუბოს მოწიწებით შეჰყურებს, სი-ტყვით და მზერით ეთხოვება.

როგორც გლეხი ბაგრატ ზაბახიძე იგონებს, საჩხერის სადგურზე გამცილებლები აკაკის ვერ ჰკადრებენ, რომ კუბოს თავი დაახურონ და ვაგონში ისე შეასვენონ. მაგრამ ჟანდარმი წინ გადაუდგებათ და რომ არ დაახურონ, ამის უფლებას არ მისცემს.

ორთქლმავალი უკანასკნელად დაიკივლებს და აკაკი მშობლიურ მხარეს სამუდამოდ გამოეთხოვება.

შორაპნიდან თბილისამდე მატარებელს ყოველ სადგურზე უამრავი ხალხი ხვდება. ხალხით სავსე სადგური გამოჩნდება თუ არა, მატა-რებელი სვლას ანელებს. მატარებლის დანახვაზე ყველა ერთი კა-ცივით იჩოქებს. დაჩოქილ ხალხს მატარებელი ნელი სვლით უახ-ლოვდება და ჩერდება. ხალხი ფეხზე დგება. მატარებელს რომ დელეგაცია მოხდევს, იქიდან ერთი სიტყვას იტყვის. დამხვდურებიც იტყვიან, შემდეგ მატარებელი ნელა დაიძვრება. ხალხი ისევ იჩო-ქებს და დიდ პოეტს უკანასკნელ ვალს უხდის. შორაპნიდან მცხე-თამდე ყოველ სადგურზე ეს ისე მეორდება, თითქოს უჩინარი რე-ჟისორი ხელმძღვანელობდეს. მცხეთიდან თბილისამდე კი, მხოლოდ სადგურებში კი არა, მთელი ლიანდაგის გასწვრივ ზღვა ხალხია ჩამწკრივებული. მატარებელიც მცხეთიდან თბილისამდე სულ ნელა მიდის. უკვე ხუთი თებერვალია.

თბილისის სადგური ხალხითა და დამხვდური დელეგატებით არის გაჭედილი. სადგურის უკან, მოედანზე, ტრიბუნაა აღმართული. ტრი-ბუნიდან თქმული ორიოდე სიტყვის შემდეგ აკაკის ცხედარს ქაშვე-თის ეკლესიაში მიასვენებენ.

რვა თებერვალს, დილის თორმეტ საათზე აკაკის ცხედარს ქაშვე-თის ეკლესიიდან გამოასვენებენ. პოლიცია თითქმის არა ჩანს. ხალხი წესრიგს თვითონ იცავს. კუბოს ერთადერთი გვირგვინი მიუძღვის. ზედ აწერია „აკაკის — საქართველო“.

სხვებთან ერთად ახლანდელ თავისუფლების მოედანზე აკაკის სიტ-ყვას ეტყვის მისი სიყრმის მეგობარი ნიკო ნიკოლაძე: აკაკის სიკვ-დილმა ჩვენს ქვეყანას ახალი სამსახური გაუწია და ყველას დაანახვა, რომ მის გლოვაში ჩვენ ერს ერთი გრძნობა და გული ჰქონია, მისმა კუბომ ყველა გარს შემოირტყა და საქართველო გააერთიანა, ხე-დავთ, რამხელა ლაშქარი გვყოლიაო?.

პროცესია გაივლის ახლანდელ რუსთაველის პროსპექტს, აუხვევს ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე, აქედან ავა მამადავითზე და შეღა-მებული იქნება, როცა აკაკის ცხედარს მთაწმინდის მიწას მიაბა-რებენ.

აკაკის საფლავზე 1931 წლამდე მხოლოდ უბრალო ქვა იდება. 1928 წელს ძეგლის პროექტებს შეასრულებენ დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი. კომისია (ვახტანგ კოტეტიშვილი, შალვა და-დიანი, ია კარგარეთელი, ნიკო ლორთქიფანიძე, სანდრო შანშია-შვილი, მელიტონ ბალანჩივაძე) დავით კაკაბაძის პროექტს მოიწონებს. ქვის ცნობილი ოსტატი ნეოფიტე ალაძე შავ ქვას დათლის. ქვებს მთაწმინდაზე აიტანენ, საფლავთან სამაგრ კედელს ააგებენ და 1931 წლის მაისში აკაკის ძეგლი გაიხსნება.

აკაკი „განთიადში“ სამშობლოს ევედრება: ჩემო სულის ჩამდგმე-ლო მხარევ, დედაშვილობას, მეტს არ გთხოვ, ნურც ცოცხალს გამ-წირავ და ნურც მკვდარს, როცა მოვკვდები, ანდერძი შემისრულე და შენს მიწას მიმაბარეო. სამშობლო აკაკის თხოვნას შეუსრულებს და სამუდამო სავანეს მთაწმინდაზე, ილია ჭავჭავაძის გვერდით უბოძებს.



# არტურ ლაისტის სიტყვა აკაკისადმი

არტურ ლაისტის სახელი საყოველთაოდ ცნობილია საქართველოში. იგი ცოცხალი განსახიერება იყო ქართველი და გერმანელი ხალხების მეგობრობისა და კულტურული კავშირ-ურთიერთობისა. ამიტომაც მის ყოველ სიტყვასა თუ წერილს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის.

ერთი ასეთი სიტყვა არტურ ლაისტისა გახლავთ ის, რომელიც მან წარმოსთქვა აკაკის საიუბილეო სალამოზე ოპერის თეატრში 1908 წელს.

დამსწრე საზოგადოება გულისყურით უსმენდა მას, აბა, რას იტყვის ეს ქართველი გერმანელიო. არტურ ლაისტმა მოკლე, მაგრამ გრძნობით აღსავსე სიტყვით მიმართა იუბილარს, იგი ტაშით დააჯილდოვეს.

სიტყვის ტექსტი, როგორც ადრესი, ავტორმა იქვე გადასცა საიუბილეო კომისიის მდივანს.

აი, ეს სიტყვა-ადრესი:

„იშვიათი დღესასწაულია დღევანდელი დღე.

ძვირფასო პოეტო, იშვიათი დღესასწაულია იგი ქართველი ერისათვის და ნამდვილი პოეზიის თაყვანისმცემელთათვის.

ნახევარი საუკუნეა მას შემდეგ, რაც თქვენი უცხო პოეზიის პირველი ყვავილი უძღვენით სამშობლოს და ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში იფურჩქნებოდა ერთი ყვავილი, შემდეგ თქვენი ბრწყინვალე ზეშთაგონების ქვეშ თქვენ გაამდიდრეთ სამშობლო მრავალი ქმნილებით, რომელთათვისაც არ არსებობს არც დრო და არც სიკვდილი, რადგან მარად საუკუნოვანი არიან. თქვენის მეოხებით თქვენი სამშობლო დღეს უფრო მდიდარია, ვიდრე ის ამ ნახევარი საუკუნის წინათ იყო და ამ სიმდიდრის განადგურებას ვერ შესძლებს ვერც გრიგალი და ვერც ცეცხლი. ის შეადგენს თქვენს ერთს სამარადისო კუთვნილებას.

იხარეთ და იამაყეთ, ძვირფასო პოეტო, რომ ბედმა მოგცათ საშუალება გედღესასწაულებინათ ეს დიდებული, იშვიათი დღე და დამტკბარიყავით თანამემამულეთა საერთო აღტაცებითა და თქვენი ბრწყინვალე დიდების ხილვით.

ღმერთმა კიდევ დიდხანს დაგატკბოს ტურფა საქართველოს მშვენიერებით.

ამას გინატრის გულწრფელად და გულახდილად უცხო ერის შვილი, რომელმაც ქართული შენი პოეზიის ყვავილები სიყვარულითა და აღტაცებით გადარგო გერმანიის ნიადაგზე, რათა მისი თანამემამულეებიც დამტკბარიყვნენ ამ ყვავილების სილამაზითა და სურნელებით.

თქვენი მეგობარი და პატივმცემელი არტურ ლაისტი".

ეს სიტყვა-ადრესი აკაკისადმი მიძღვნილ სხვა ადრესთა შორის დაცულია გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის №150 ფონდში.

ვახტანგ სიდამონიძე



როგორც კი დამთავრდება გაკვეთილები, მისი თანაკლასელებიდან ზოგი ხაბლიში გარბის, ზოგიც სპორტულ მოედანზე და კინოს ამჯობინებს. ეს ათი წლის ბიჭუნა კი ხვდება თავის „კონსულტანტს" და ისინი ერთად მიდიან ბირჟაზე მოვაჭრესთან საქონლისათვის. იქ შეისყიდიან ახლად მოჭრილ ვარდებს, მიხაკებს, ტიტებს და ამის შემდეგ თაიგულებს შეკვეთების მიხედვით ჩამოარიგებენ. ამ ნორჩი ბიზნესმენის თვიური შემოსავალი საკმაოდ სოლიდურია, მისი დიდი ნაწილი დანაზოგად ინახება ბანკში.

ახლა უკვე დროა გითხრათ, რომ ეს საზღვარგარეთული გამოცდილების სურათია. ბავშვთა ბიზნესი ჩვენს ქვეყანაში სულ სხვა შთაბეჭდილებებთან არის დაკავშირებული, და ყოველი მოზარდისათვის ჯერ კიდევ სახელოს მერხიდან არის

## ჯომ არ

ცნობილი მეკუჭნავის ან ტარის მრავალსაათიანი გულისგამაწყალებელი ლოდინი, უსაქმურობისაგან კარტოფილის ტუბერით ან კომბოსტოთი ფეხბურთის თამაში...

ნუთუ შეუძლებელია მოსწავლის ან სტუდენტის შრომის გამოყენება ისე, რომ იგი სარგებლობის მომტანი იყოს მისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც? ცხადია, შეიძლება და აუცილებელიცაა. ჩვენ ძალზე გვიან ვხვდებით იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ თუ ბავშვებს მივცემთ საშუალებას, თავისი შრომით იშოვონ ჯიბის ფული, ამით მათ ვასწავლით, ადრე ასაკშივე დააფასონ და პატივი სცენ საკუთარსაც და სხვის შრომასაც. ეგრეთ წოდებული „საზაფხულო შრომითი სემესტრები", როცა წინდაწინ იცი, რომ კაპიკსაც ვერ მიიღებ მინდორში მძიმე და მოსაწყენი შრომის გასამრჯელოდ, ანდა მთელი გამოშუშავებული თანხა მითიური „ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით" რაღაც ფონდში გადაირიცხება, ცხადია, შრომისადმი მხოლოდ აგდებულ დამოკიდებულებას, აპათიასა და გულგრილობას უყრიდა საფუძველს.

ბევრ ქვეყანაში მოძებნილია გონივრული მიჯნა ბიზნესსა და ბავშვობას შორის. ბავშვთა სულის დოლარებითა და მარკებით მოწამვლის გარეშე მათ მიაღწიეს იმას, რომ მოზარდი მცოდნე, დისციპლინიან ადამიანად იქცეს.

ის ამბავი, წერილის დასაწყისში რომ გიამბეთ, გამოგონილი არ გეგონოთ. ათი წლის „მორგანს" ბრენდონ ბოზეკი ჰქვია. ცხოვრობს მაიამში. ამჟამად ბრენდონს რვა დამკვეთი ჰყავს, მისი ყოველთვიური შემოსავალი 150 დოლარია. „მე არ მინდა,

მისგან ქულის თაყვანისმცემელი გავზარდო, — ამბობს ბიჭის მამა, „კონსულტანტი“, რომელიც ეხმარება ვაჟიშვილს საქონლის შეძენასა და გაყიდვაში, — მაგრამ ჩვენი სურვილია, იგი კარგად გაერკვეს იმაში, თუ რა არის აუცილებელი, როცა ბიზნესს ჰკიდებს ხელს“.

ბავშვთა ბიზნესი ამერიკაში ჩვეულებრივი ამბავია. იქ უკვე დიდი ხანია მიხვდნენ, რომ არაფერია საჩოთირო, თუ ბავშვს ფულის კეთებას მიაჩვევ. პირიქით, როცა ბავშვები სწავლისაგან თავისუფალ დროს ბიზნესს მისდევენ, უფრო ორგანიზებული და დისციპლინიანები ხდებიან. საქონელზე ფასის დადებისას ისინი ეცნობიან მოგების მიღების სიბრძნეს. წაგება და გაკოტრებაც კი კარგი გაკვეთილია: ეს მომავალ მენეჯერებს საქმეში უფრო მეტ მოქნილობასა და გამბედაობას ასწავლის.

ლი, უთუოდ შეამჩნევდა მომსახურების მაღალ კულტურას, სისუფთავეს, პროდუქტების ხარისხიანობას, და ეს ყველაფერი ხომ ჩვენი თანამემამულეების ხელითაა გაკეთებული! აი, რას ნიშნავს, ერთი მხრივ, ადამიანის შრომის სწორად სტიმულირება და, მეორე მხრივ, ყველა პირობის შექმნა იმისათვის, რომ მან იშრომოს. იქ ყველაა დაინტერესებული, აკეთოს თან მეტი და თან — უკეთ, რადგან იციან, მეტს მიიღებენ. სწორედ ამიტომ „მაკდონალდსში“ ყველაზე ჰუჭყიან საქმესაც კი არავინ არიდებს თავს.

ამ ცოტა ხნის წინათ ცენტრალური ტელევიზიით ტანსაცმლის მკერავ ბავშვთა კოოპერატივის შესახებ გადმოცემულმა სიუჟეტმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, როგორი მიუტევებელი ზოზინით ვაბმბთ უარს იმაზე, რაც წინსვლაში გვიშლის ხელს.

## ვაგვიანებთ?

ვგეც რომ არა, ამერიკულ ოჯახს ბავშვზე დანახარჯი ძვირი უჯდება. მაგალითად, თექვსმეტი წლის მოზარდის შენახვაზე საშუალოდ 7,480 დოლარი იხარჯება; და ის, რომ ბავშვებს თავიანთი შრომით შეუძლიათ, ოჯახის ბიუჯეტის სიმძიმე შეამსუბუქონ, საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახისათვის, ღარიბებზე რომ არაფერი ვთქვათ, ძალზე მნიშვნელოვანია.

ბავშვობიდანვე შრომას მიჩვეული ნორჩი ამერიკელები განათლებას უფრო მეტად აფასებენ, ბევრი მათგანი იძულებული ხდება, ლექციების შემდეგ იმუშაოს სწავლის მორიგი გადასახადის შესაგროვებლად.

ჩვენთან განათლების მისაღებად საჭირო არ არის ღამით იატაკების რეცხვა, დილაუთენია ფოსტის ტარება. კარგია ეს თუ ცუდი, სხვა საქმეა, თუმცა — არც ისე იოლი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. პრობლემა სხვაა, სახელდობრ ის, რომ ჩვენს პირობებში არც მოზარდები, რომლებიც შრომით ბეგარას იხდიან, და არც ეგრეთ წოდებული „სამუშაოს მიმცემები“ სრულებით არ არიან დაინტერესებულნი არც ერთმანეთით და არც შრომის შედეგით. „მოვლენ ახლა ეს მოსწავლეები, ილლაბუცებენ ტყუილ-უბრალოდ და წავლენ“, — დაახლოებით ასე მსჯელობს ის, ვინც ვალდებულია, სამუშაო მისცეს საშეფო სკოლის მოსწავლეებს. ეს აგდებული დამოკიდებულება, თავის მხრივ, ბავშვების საპასუხო რეაქციას იწვევს, რაც გავლენას ახდენს საშეფო დახმარებასთან დამოკიდებულებაში, და ასე ხდება დაუსრულებლივ — დახშულ წრეს ვლებულობთ. არის გამოსავალი? ცხადია, არის.

ვინც მოსკოვის „მაკდონალდსში“ ყოფირა ბრალს არ სდებდნენ ამ კოოპერატივის ორგანიზატორებს — ბავშვთა შრომის ფასად ჯიბეს ისქელებენო, ეს ყველაფერი უცხოა ჩვენთვისო! მე კი, ჩემდათავად, ამ საქმეში სარგებლობის მეტს ვერაფერს ვხედავ, პირიქით, მოზარდები ღებულობენ პატიოსნად გამომუშავებულ ფულს, ბევრი მათგანი გატაცებით ეუფლება მკერავის პროფესიას, ქმნიან საკუთარ მოდელებს. მომავალში ვინ უფრო სასარგებლო იქნება ქვეყნისათვის — აი, ასეთი „კოოპერატორი“, რომელიც სიამოვნებით კერავს ხალხისათვის მოდურ ტანსაცმელს, შემოქმედებითად უდგება თავის ხელობას, თუ ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე, რომელმაც ძლივს აითვისა რამდენიმე მარტივი ოპერაცია, იმდენადვე ერთფეროვანი და ულიმღამო, როგორიც ჩვენი მსუბუქი მრეწველობის დღევანდელი პროდუქციაა?

ბავშვებს შორის ისეთებიც არიან, რომლებიც ამ კოოპერატივში იმისთვის მოვიდნენ, რომ ისწავლონ ლამაზი ტანსაცმლის კერვა თავისთვის. მათ აღარ სჭირდებათ სამმაგი ფასის გადახდა მოდური შარვლებისა და მაისურებისათვის. მთელი უბედურება ისაა, რომ თუ ვინმე გამოჩნდა, ვინც ცდილობს, მოაწესრიგოს ბავშვთა შრომა, წინ ათასგვარი წინააღმდეგობა ხვდება შოძველებული კანონპროექტების მხრიდან. იმავე ამერიკაში საკუთარი საქმის წარმოება ბავშვობიდანვე დაკანონებულია არა მარტო ეკონომიკურად, არამედ იურიდიულადაც. ფედერალური კანონით, 18 წლამდე ბავშვებს უფლება არა აქვთ, იმუშაონ დღეში სამ საათზე, კვირაში — 18 საათზე მეტი. მათ ეკრძალებათ ისეთი სამუშაო, რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის. ყოველგვარი შემოსავალი, რაც წელიწადში 3,500 დოლარს აღემატება, იბეგრება. ასე რომ, სახელმწიფო არა მარტო ზრუნავს მოზარდის ჯანმრთელობაზე, არამედ მატერიალურადაცაა დაინტერესებული მისი შრომით.

ადგილობრივი ხელისუფლებისა და მწარმოებელთა დახმარებით 30 შტატში მოსწავლეებისათვის საზაფხულო ბიზნეს-ბანაკებია შექმნილი, სადაც ბავშვები ისვენებენ და, ამასთან ერთად, ეუფლებიან საბაზრო ეკონომიკის კანონებს. ბევრ სკოლაში, როგორც, მაგალითად, ქალაქ სანტში (ტეხასის შტატი), ერთ-ერთი კლასი გადაქცეულია „კორპორაციად“, თამაშის ფორმით ბავშვები მართავენ საწარმოს მუშაობას, ეცნობიან მოგებას, აქციებს, ბეგარას, ბირჟას. გამოდის სპეციალური ჟურნალები მოზარდი მენეჯერებისათვის. მუშაობს შესაბამისი ტელეგადაცემები და საკონსულტაციო სამსახურები. ამერიკაში გაჩნდა საბავშვო ბანკებიც, სადაც ბანკირებიც და მეანაბრეებიც ამერიკის ნორჩი მოქალაქეები არიან.

გარდა ამერიკისა, ბევრ სხვა ქვეყანაშიც აქვთ ამ პრობლემის გადაწყვეტის გამოცდილება და ჩვენი მხრივ ყოველივე ამ დადებითის უარყოფა, უბრალოდ, უგუნურებაა.

ახალგაზრდობის ეკონომიკური ინიციატივის განვითარების პრობლემა სულ უფრო მწვავედ დგება ჩვენს წინაშე. გაივლის 10-20 წელიწადი და სწორედ ეს ახალგაზრდები მოვლენ ეკონომიკის მმართველობაში, და იმაზე, თუ რამდენად იქნებიან მომზადებული ჩვენი ქალიშვილები და ვაჟები ბაზრისა და კონკურენციის პირობებში ეკონომიკის გაძღოლისათვის, ამაზე იქნება დამოკიდებული გასატარებელი რეფორმების წარმატებაც და, საერთოდ, ქვეყნის ბედიც.

...დგას გარდაქმნის მეექვსე ზაფხული. მოსწავლეები კვლავ საზაფხულო შრომით პრაქტიკაზე არიან ხეთბურებსა თუ ხილბოსტანვაჭრობის მაღაზიებში. ერთ-ერთი ასეთი მაღაზიის წინ მოზარდები შეკრებილან, გოგონები ჰადრის ჩრდილში ყუთებზე ჩამომსხდარან და ჰორაობენ, ბიჭები კი კონსერვის ქილას დასდევენ.

— რას ელოდებით, ბავშვებო?

— შეგვპირდნენ, ბოსტნეულის გადარჩევაზე გამუშავებთო, აქ კი ჯერ არავინ მოსულა, არც მაღაზიის დირექტორია, არც ბოსტნეული. პირველად ხომ არ არის ასე! ცოტას კიდევ დაველოდებით.

ნაცნობი სურათია, არა?..

კომენტარი მკითხველისათვის მიგვინდია.

ა. ივანჩენკო

**იაკობ 150 გოგებაშვილი**



# „დედა ენის" ზურჯი

ზურაბ ჭუმბურიძე,
პროფესორი

იაკობ გოგებაშვილის ლიტერატურულ-პედაგოგიურ მემკვიდრეობაში სრულიად დამსახურებული ადგილი უკავია მის „დედა ენას" — პირველ წიგნს, რომელიც, საუკუნეზე მეტია, გზას უნათებს ქართველ კაცს, შეჰყავს იგი მშობლიური ენის წიაღში, აწაფებს ცოდნის წყაროს. ამ წიგნით გაიკვეთეს პირველი ანბანი ჯერ ჩვენმა პაპერებმა და პაპებმა, მერე — მამებმა, მერე—თვითონ ჩვენ, მერე — ჩვენმა შვილებმა და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ასე, რამდენ თაობას გასწვდება ამ წიგნის მადლი!

პირველი საანბანო წიგნი საქართველოში მე-18 ს. დასაწყისში დაიბეჭდა და, იმ დროიდან მოკიდებული, ბევრ ქართველ მამულიშვილს მიუღია მონაწილეობა ამ დიდსა და საპატიო საქმეში. ამ მხრივ იაკობ გოგებაშვილის უშუალო წინამორბედები იყვნენ პლატონ იოსელიანი, ივანე ქერესელიძე, პეტრე უმიკაშვილი და სხვები, რომელთა სახელმძღვანელოებითაც ისწავლებოდა ქართული წერა-კითხვა მე-19 ს. 40-50-იან წლებში და 60-იანი წლების პირველ ნახევარში.

და აი, 1865 წელს პირველად დაიბეჭდა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის", რომელსაც სათაურის ქვეშ მოკრძალებულად ეწერა ავტორის ინიციალები: ი.გ. იმ დროს იაკობ გოგებაშვილი 25 წლის ახალგაზრდა პედაგოგი იყო. წიგნი ბევრად სჯობდა ქართული ანბანის ადრინდელ სახელმძღვანელოებს, მაგრამ მაინც ეს ჯერ კიდევ არ იყო უკვდავი „დედა ენა", რომელმაც 11 წლის შემდეგ, 1876 წელს, ამოაშუქა თავისი ლურჯთვალა იით და ღრმად გაიდგა ფესვი ყოველი ქართველის გულში.

ყოველგვარი სახელმძღვანელო მუდმივ განახლებასა და გაუმჯობესებას მოითხოვს. იაკობიც განუწყვეტლივ ხვეწდა და აუმჯობესებდა თავის „დედა ენას". იაკობის შემდეგაც, ბუნებრივია, ამ წიგნში ბევრი ცვლილება მოხდა და კვლავაც მოხდება, მაგრამ უცვლელია მისი აგების მეცნიერული პრინციპი, ასოთა სწავლების თანამიმდევრობა, სწავლების მეთოდიკა; მოკლედ რომ ვთქვათ, უცვლელია იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს სული და გული.

იაკობ გოგებაშვილმა პირველმა მიაგნო ამ წიგნისათვის ზედგამოჭრილ სახელწოდებას, რომელიც დედამიწის, დედაბოძის, დედაქალაქისა და სხვა ამგვარი სიტყვების ანალოგიით არის შედგენილი და ერთ სიტყვად ჰკრავს ქართველი კაცისთვის ყველაზე ახლობელ ცნებას.

იაკობ გოგებაშვილმა პირველმა მიაგნო იმ ორ პატარა ასოს, რომელთა გადასმ-გადმოსმაც მთელ ფრაზას ქმნის და ბავშვს ერთბაშად ხიბლავს, ერთბაშად აგრძნობინებს, თუ რა ჯადოსნურ სამყაროში შეჰყავს იგი მშობლიურ ანბანს.

დღეს ჩვენ ისე ვართ შეჩვეული ამ „აი იას"; რომ, შესაძლოა, მისი მიგნება დიდ რამედ არც მოგვეჩვენოს, მით უფრო, რომ „დედა ენის" ავტორის სახელიც სწორედ ამ ორი ასოთი იწყება, მაგრამ ეს ისეთი რამ გახლავთ, რომლის მიგნებას ნათელმხილველი თვალი სჭირდება და რომელიც აღმოჩენის შემდეგ ჩანს მარტივი.

იაკობ გოგებაშვილმა პირველმა შემოიღო და დანერგა წერა-კითხვის სწავლება ქართულ ენაზე ანალიზურ-სინთეზური მეთოდით. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ეს ღვაწლი პირველ ადგილს აკუთვნებს მას ქართული წერა-კითხვის სწავლების მეთოდიკის ისტორიაში.

იაკობმა ასო-ბგერათა სწავლების თანამიმდევრობა მათი მოხაზულობის სიმარტივე-სირთულეს დაუქვემდებარა და ამით დიდად გააადვილა მათი შესწავლა.

იაკობმა „დედა ენას" მისცა ენციკლოპედიური ხასიათი, რათა ამ წიგნით ქართველ ბავშვს მარტო წერა-კითხვა კი არ ესწავლა, არამედ სამშობლოს ბუნებასა და ისტორიასაც გასცნობოდა, ხალხის ყოფასაც დაჰკვირვებოდა, გულმართალი, პატიოსანი, კაცთმოყვარე გაზრდილიყო.

გამუდმებით ზრუნავდა იაკობი თავისი პირმშოს გარეგნულ შნოსა და ლაზათზეც: მის დასურათებაზე, შრიფტზე, ქაღალდის ხარისხზე. გოგებაშვილის შრიფტი დღესაც სანიმუშოა და ერთი საუკეთესოთაგანია ქართულ შრიფტებს შორის.

დიდი პედაგოგი ზრუნავდა იმაზეც, რომ მისი სახელმძღვანელო იაფი და ყველასათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. რამდენიმე ასეულ ცალს ის სრულიად უსასყიდლოდ უგზავნიდა სხვადასხვა სკოლის ღარიბ მოწაფეებს.

მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ არის მთავარი. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ღირსება მათი ენაა. იაკობს ეკუთვნის პირველობა ახალ ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში. ეს მისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დამსახურებაა. რადგან იმ დროს

ახალი სალიტერატურო ქართული ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო და იაკობის სახელმძღვანელოებმა დიდად შეუწყვეს ხელი ამ პროცესის სწორად წარმართვას.

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებმა, განსაკუთრებით „დედა ენამ", ისეთივე როლი შეასრულეს ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა, დამკვიდრებასა და გავრცელებაში, როგორიც ილიასა და აკაკის ბრწყინვალე თხზულებებმა. იაკობი მხარში ედგა ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშეებს თავისი თეორიული და პუბლიცისტური წერილებითაც, რომლებითაც ის შეუპოვრად იცავდა ქართულ ენას, იცავდა მის ღირსებას, იცავდა ქართული ენის სწავლებისა და ქართულ ენაზე სწავლების უფლებას. ყოველივე ამით მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელთა შორის.

იაკობ გოგებაშვილი თავგამოდებით ებრძოდა მეფის რუსეთის შავრაზმელ მოხელეებსა და მათ დამქაშებს, რომელთაც სურდათ გაეთიშათ ქართველი ხალხი და ამ მიზნით ცალ-ცალკე ხალხებად აცხადებდნენ თუშ-ფშავ-ხევსურებს, რაჭველებს, იმერლებს, მეგრელებსა და სვანებს. აქედან გამომდინარე, ისინი ნაციონალურ უმცირესობად აცხადებდნენ ქართველებს თავიანთ სამშობლოში და მშობლიურ ენაზე განათლების უფლებას ართმევდნენ ხალხს, აკი ერთხანს მიაღწიეს კიდეც იმას, რომ ქართულ ენაზე სწავლება აკრძალეს სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებში. ქართველ მამულიშვილებს მცირე ბრძოლა როდი დასჭირდათ საქმის წაღმა შემოსაბრუნებლად, იაკობი ამ ბრძოლის მოწინავე ხაზზე იდგა: მან წერილების მთელი სერია უძღვნა ამ საკითხს და სახელმძღვანელოებშიც ის აზრი გაატარა, რომ ყველა ქართველი ტომი ერთ ეროვნულ ორგანიზმს შეადგენს და დედა ენა ყველას საერთო აქვს.

პირდაპირ საოცარია, როგორ მიაღწია ავტორმა ერთდროულად ენის ასეთ სისადავეს, სიღრმესა და ხატოვანებას, როგორ გახდა მის ხელში თითოეული სიტყვა ყველასათვის გასაგები და ადვილად სახმარი. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს იყო დრო, როცა ისეთი ძველი და საჭირო სიტყვაც კი, როგორიცაა ჯეჯილი, თურმე ბევრს არ ესმოდა. ზოგიერთებს გაუგებრად და „დედა ენიდან" ამოსაღებად მიაჩნდათ ისეთი სიტყვებიც, როგორიცაა გუთანი, გემი, თუთა, თაღი, კნუტი, ნაძვი, ნაჭუჭი, რიყრაყი, ტაძარი, ჩაქუჩი, ციყვი, წიწაკა, ჰერამი, ჯაგანი...

„დედა ენის" ავტორმა საკადრისი პასუხი გასცა ამგვარ ვაი-რეცენზენტებსა და ვაი-მრჩევლებს. მან კარგად იცოდა, რომელი სიტყვა როდის და რა სახით მოეწოდებინა მოსწავლისთვის და რომელი სიტყვის ხმარებისგან შეეკავებინა თავი. მას სხვადასხვა ფორმითა და ახსნა-განმარტებით შეჰქონდა „დედა ენაში" აღმოსავლური და დასავლური სინონიმები: ქერის პური ანუ ჯინჯილა, ნაქუჩი ანუ ნაგულა, თეფში ანუ საინი, ლოგინი ანუ ქვეშაგები, საჭრეთელი ანუ სატეხი, კომში ანუ ბია, მკვეხარა (ტრაბახა), ჩილიკა-ჯოხი (რიკ-ტაფელა, ჰაკუნა), ციგა (მარხილი), „ქოჩოჩი, რომელსაც გურულად კატარი ჰქვია, ამას ჰქვია ფოჩი. ზოგნი კი ულვაშს ეძახიან" და ა. შ.



დედა ენა

ანუ

ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი

სახალხო შკოლებისათვის

შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.

გამოცემა პირველი, სურათებით.

ფასი ექვსი შაური.

თბილისი

მელიქიშვილის და კამ. სტამბაში.

1876

ასე ზრუნავდა ჩვენი დიდი პედაგოგი მოხდენილი და საჭირო სიტყვებისა და ტერმინების დასაცავად და გასავრცელებლად. ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრის შესანარჩუნებლად. არანაკლებ ზრუნავდა იგი გრამატიკულ ფორმათა მოქნილობაზე, ორთოგრაფიულ ნორმათა მოწესრიგებაზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ენის წინსვლა-განვითარებისათვის. ამ მხრივ იაკობი მტკიცედ მისდევდა დიდი ილიას მიერ წამოყენებულ პრინციპს: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკო".

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს ფესვები ღრმად აქვთ გადგმული ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. მათში უხვად არის შეტანილი ხალხური ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები. მარტო „დედა ენაში" ასამდე ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუში და ორასამდე ანდაზა და ხალხური თქმა შედის. აქ ერთი გარემოება არის ხაზგასასმელი: იმ დროისათვის ქართული ფოლკლორის ნიმუშები მხოლოდ კანტიკუნტად იყო ჩაწერილი და იაკობ გოგებაშვილს უხდებოდა მათი შეკრებაცა და შერჩევაც.

ხალხური შემოქმედების ნიმუშებს იაკობი კრებდა უმთავრესად თავის მშობლიურ კუთხეში—ქართლში, რომლის მკვიდრთა მეტყველებაც ყველაზე ახლოსაა სალიტერატურო ენასთან. მაგრამ აქაც იაკობი ზოგ რამეს ცვლიდა პედაგოგიური მიზნების შესაბამისად. ტექსტს ხვეწდა ენობრივადაც, მაგრამ ისე, რომ მას ხალხური მეტყველების სურნელი არ დაჰკლებოდა. ასე შერჩეულმა და დახვეწილმა ფოლკლორულმა მასალამ, შეიძლება ითქვას, განსაზღვრა იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს ენობრივი პროფილი, მიანიჭა მას გენიალური სისადავე, სიცხადე, მომხიბლაობა.

ყოველივე ამან დაუმკვიდრა „დედა ენას" უცვლელი ადგილი ქართველი ნორჩი თაობის აღზრდის საქმეში და უკვდავება მიანიჭა მის ავტორს.

# ბიბლიური ისტორია

### ლოტის ტყვეობიდან დახსნა
**(დაბ. 14, I — 23)**

ლოტისაგან ამორჩეული ადგილი საცხოვრებლად ვერ გამოდგა სახეირო. არ გასულა დიდი ხანი მას უკან, რაც იგი განშორდა აბრამსა, რომ მას შეემთხვა დიდი უბედურება. სოდომს და სხვა ახლო ქალაქებს დაესხნენ უცხო მეფენი, სძლიეს სოდომის მცხოვრებლები, დაარბიეს და წაასხეს ტყვეებად. ტყვეებში ერია თვით ლოტიცა. შეიტყო თუ არა აბრამმა თავისი ძმისწულის უბედურება, მაშინვე შეკრიბა თავისი სახლიდან სამას თვრამეტი კაცი, მიიწვია საშველად ზოგიერთი მეზობელი, გამოუდგა გამარჯვებულებსა, დაეწია და უცებ დაესხა თავსა. შეეწია ღმერთი და აბრამმა დასძლია მტრები. აბრამმა მათ დააყრევინა არა მარტო ტყვეები, რომელთა შორის ლოტიც იყო, არამედ მთელი დავლაცა. როცა აბრამი შინისაკენ დაბრუნდა, გზაზე მას გამოეგება მეფე, სახელად მელქიზედეკ. ამ მეფეს სწამდა ჭეშმარიტი ღმერთი და ემსახურებოდა მას. მას ჰქონდა გაგებული აბრამის სათნო ცხოვრება და ნიშნად პატივისცემისა მიაგება პური და ღვინო და აკურთხა იგი. თავის მხრივ აბრამმაც მიართვა მას მეათე ნაწილი დავლისა. აბრამმა დაუბრუნა სოდომის მეფეს ყველა ტყვე და მთელი მათი სარჩო. სოდომის მეფემ დაუწყო თხოვნა აბრამსა, რომ მას დაებრუნებინა მისთვის მარტო ტყვეობიდან გამოხსნილი ხალხი და მათი სარჩო კი თავისთვის დაენარჩუნებინა. მაგრამ აბრამმა ცივი უარი სთქვა. თავისი კეთილი საქმისათვის ჯილდოს ანუ ფასის მიღება მას არ უნდოდა, რადგანაც იყო უანგარო კაცი. მან ამგვარად უპასუხა: აღვაპყრობ ხელსა ჩემსა ზეცისაკენ და შემოგფიცავ, რომ ერთ ბეწვსაც არ ვინდომებ მათი ქონებიდან!

ამის შემდეგ ლოტი ისევ ქალაქ სოდომთან ცხოვრობდა, მაგრამ კინაღამ სრულიად არ დაიღუპა ერთი საშინელი უბედურებისაგან, რომელიც ამ ქალაქს ეწვია. სოდომის და ახლო ქალაქების მცხოვრებლები მეტად ბოროტნი და საშინლად გარყვნილნი იყვნენ. უფალი ხედავდა, რომ მათგან მოულოდნელი იყო სინანული და სწორე გზაზედ მოქცევა, ხოლო ცოდვანი მათი იყვნენ ისეთი მძიმე, რომ მათი ქვეყანაზედ დარჩენა საშიში იყო: სხვებიც მათ მაგალითს წაჰბაძავდნენ და მთელი ქვეყანა გაირყვნებოდა. ამიტომ უფალმა გადაწყვიტა სამაგალითოდ დაესაჯა ისინი. რაში მდგომარეობდა ეს საშინელი სასჯელი, გამოჩნდება შემდეგი ორი მოთხრობიდან.

### უფლის სტუმრობა აბრამთან
**(დაბ. 18, I — 32)**

აბრამი და მისი ცოლი სარა გახდნენ ღირსნი დიდი პატივისა, როდესაც მათ კარვები ედგათ მამბრეს დიდ მუხასთან, მათ თავის სადგომში სტუმრად მიიღეს თვით უფალი ღმერთი. იგი გამოეცხადა მათ შემდეგი უბრალო სახით: შუადღე იყო და აბრამი იჯდა თავის კარავის კარებთან. მაღლა აიხედა და მახლობლად დაინახა სამი მგზავრი, წამოდგა მაშინვე, მიეგება მათ წინ, მიწამდის თავი დაუკრა და მიმართა თხოვნით მას, რომელიც უფროსს ჰგავდა: უფალო, თუ მე ღირსი ვარ შენი მოწყალებისა, ნუ ამიქცევ გზასა, მიკადრე, მობრძანდი, დაისვენე ამ ხის ძირში და დანაყრდი ცოტაოდენი საჭმლით. მგზავრები დათანხმდნენ და მივიდნენ ჩრდილქვეშა. აბრამი გაეშურა კარავში და უთხრა სარას: ჩქარა მოზილე და გამოაცხე ხმიადები. მერე გაიქცა თავის ფარაში, თავისი ხელით ამოარჩია უკეთესი ხბო და უბრძანა, საჩქაროდ მოემზადებინათ. როცა ყველაფერი დამზადდა, აბრამმა მიართვა თავის სტუმრებს პური, რძე, კარაქი და ხბოს ხორცი. ის თვითონ სთავაზობდა საჭმელებსა და ემსახურებოდა სტუმრებსა. მაშინ ერთმა სტუმარმა უთხრა აბრამსა: მერმისს სწორედ ამავე დროს გეწვევით, შენ და შენს ცოლს მაშინ შვილი ნაშობი გეყოლებათ. სარა ამ დროს კარავში იდგა და რომ გაიგონა ეს სიტყვები, გულში ჩაიცინა. მაშინ სტუმარმა თქვა: რად გაიცინა სარამა და იფიქრა თავის გულში: სიბერის დროს შვილი როგორღა უნდა მეყოლოსო? განა ღვთისათვის არის რაიმე ძნელი? სარამ და აბრამმა ცხადად დაინახეს, რომ სტუმარმა ისიც კი იცოდა, რასაც კაცი გულში იფიქრებდა, უწყოდა მომავალი. მაშინ იმათ იცნეს ვინც იყვნენ მათი სტუმრები. სადილის შემდეგ საოცარი სტუმრები ადგნენ და წავიდნენ სოდომისაკენ. გახარებული აბრამი გასაცილებლად თან გაჰყვა მგზავრებსა.

ორნი დაწინაურდნენ, უფროსი კი აბრამთან დარჩა და გამოუცხადა აბრამსა, რომ სოდომელების ცოდვანი აღწევდნენ ზეცამდე და მე გადავწყვიტე მათი სახსენებელი ამოვაგდო ქვეყანაზედაო. აბრამს შეეშინდა, ჩემი ძმისწულიც სხვებთან ერთად არ დაიღუპოსო და დაუწყო ვედრება უფალსა, რომ მან დაიფაროს უსჯულო ქალაქი, თუ მასში ცოტაოდენი მართალნი მაინც იქნებიან: უფალო, შენ ხარ მართლმსაჯული, და ნუთუ მართლებსაც ბიწიერებთან დაღუპავ? თუ აქ ორმოცდაათი მართალი ადამიანი იპოება, ნუთუ მათთვის არ დაიფარავ მთელ ქალაქს?; უფალმა უპასუხა, რომ: მე ვაპატიებ ყველას, თუ მაგდენი მართალი ადამიანი მათ შორის ერევაო. აბრამმა კიდევ გაბედა და ჰკითხა: ორმოცდახუთი რომ იყოსო? ნუთუ მთელ ქალაქს დაღუპავ ხუთი მართლის დაკლებისათვის?; უფალმა მიუგო, რომ: არც მაშინ დავსჯიდიო. მოწყალე პასუხით წაქეზებულმა აბრამმა თანდათან დააკლო მართალთა რიცხვსა: თუ ორმოცი იქნება?; თუ ოცდაათი?; თუ ოცი?; თუნდ ათიც რომ იყოს?; უფალმა ბოლოს უპასუხა: არ დავღუპავ ათი მართალი კაცის გულისთვისაო.

# ჯეჯიმი

ეკა ქაშიაშვილი

მხატვარი
ზაურ დეისაძე

ნამდვილი ამბავი

ოცდასამი წლის იყო პაპაჩემი იორდანე, როცა მოულოდნელად ცხენი მოუკვდა. დარჩა ძუძუთა კვიცი უდედოდ. პაპას თვითონ უკისრია მისი გაზრდა-პატრონობა. თავადაც ობოლი, ზრუნვასა და სითბოს არ აკლებდა თურმე, თავს ევლებოდა, სულ კამეჩის რძით გამოზარდა. რაკილა კვიცი წაბლისფერი ყოფილა, სახელადაც წაბლა დაურქმევია. დიდებული ცხენი დადგა წაბლა.

დოლში წაბლას ვერც ერთი ცხენი ვერ სჯობდა. ქარივით მიჰქროდა და იოლად ამარჯვებინებდა თავის პატრონს. არც პაპა რჩებოდა ვალში, ისე უვლიდა, რომ ცივ ნიავსაც არ აკარებდა. ჰბანდა, ვარცხნიდა, ქერსა და თივას არ აკლებდა, ფიდა მჭედელთან ჩაჰყავდა და ანალინებდა. ამასობაში პაპა ოცდახუთი წლისა გახდა, სოფლის ხალხს სალაპარაკო მიეცა, — ერთი ბებერი მამა ჰყავს, უქალო ოჯახი აქვთ, ეს კი ბერდება და ცოლს არ ირთავს, აგე, მაგის ტოლებს უკვე დაზრდილი შვილები ჰყავთ, ეს კიდევ არაფერს აპირებს, ცხენს არის გადაყოლილიო. დიახაც, სოფელში ბევრს უნდოდა პაპა სიძედ, ამიტომაც მიდგნენ-მოდგნენ სოფელში, პაპასაც შეუძახეს, მერე ნათესავები წააქეზეს, ისინიც დატრიალდნენ და სილამაზითა და ხელსაქმით განთქმული ორხეველი ქალი თებრო ფუნთუშაშვილი გაურიგეს.

თებროს ბევრი მთხოვნელი ჰყავდა, მაგრამ მამა არავის ატანდა, ენანებოდა ქალის გათხოვება, ეს ისეთი მეოჯახეა. ამის წასვლით სახლ-კარი დამექცევა. ოჯახი გამინადგურდებაო.

მაგრამ მაჭანკლებმა ქება-დიდებით ცამდის აიყვანეს პაპაჩემი. თებროს მამაც „აცდუნა ეშმაკმა“ და როგორც იქნა, სანაქებო ქალი გასათხოვრად გაიმეტა.

ყველაფერი გადაწყდა. ნიშნობის დღეც დათქვეს. საქმე ისე გარიგდა, რომ მეფე-პატარძალს ერთიმეორე ჯერ არ ენახათ. მოირთო, მოიკაზმა ერთ დილას იორდანე, ცხენი შეკაზმა. თებროს დასანიშნად მიმავალ ვაჟკაცს ერთი რამ აღონებდა — უნაგირზე გადასაფარებელი ჯეჯიმი არა ჰქონდა. შემოირბინა მეზობლები და ძლივს იშოვნა გაჭუჭყიანებული, გახუნებული, დაგლეჯილ-გაცვეთილი. ჯეჯიმი, რომელსაც აღარც ფერი ეტყობოდა, და აღარც სახე. სასიძოს ბარემ კი არ უნდოდა მისი გადაფარება, მაგრამ მეტი რაღა გზა ჰქონდა?..

იორდანე ნიშნობიდან კმაყოფილი დაბრუნდა. ქალი მოეწონა. ერთი კვირის შემდეგ კვლავ გაემგზავრა, ქორწილის თაობაზე მოსალაპარაკებლად. თურმე საპატარძლოს მხედარიც და ცხენიც ერთნაირად მოსწონებია, ორივე მალულად შეუთვალიერებია და ჩუმად ჩაუდუდუნებია:

— რა მშვენიერი ცხენია, როგორ უბზინავს ძუა-ბეწვი, რა ძვირფასი ვერცხლით შეჭედილი მათრახი აქვს იორდანეს, მაგრამ... ეს ტყლაპი რომ გადაუფარებია ჯეჯიმად, როგორ აუშნოებს ცხენსაცა და კაცსაცო, — თავისთვის კი გადაუწყვეტია: — მოგიკვდეთ ჩემი თავი, თუ დღეისსწორს სანაქებო ჯეჯიმით არ გაგახაროთო...

ერთი კვირის შემდეგ იორდანემ კვლავ თებროსას გასწია და ვიდრე ის სასიმამროს ქორწილზე ეთათბირებოდა, თებრომ ჩუმად გამოიტანა ახლად მოქსოვილი ჯეჯიმი, ჯერ მიესიყვარულა ცხენს, ხოლო შემდეგ ფრთხილად გადააფარა და დაიმალა. სასიძო გააოცა ჯეჯიმის დანახვამ. მიხვდა, ვისი ნაოსტატარიც იყო და გაიღიმა. მართლაც მშვენიერი ჯეჯიმი იყო, შიგ თითქოს ულამაზესი ფერებით სიყვარულის ზღაპარი იყო ჩაქსოვილი. თებროს შუაში დიდი ჯადოსნური მთვარე



გამოესახა, გარშემო კი ქართულსახიანი არშია შემოევლო. სასიძო ერთხანს დაბნეული იდგა, ჯეჯიმის ყურებით ტკბებოდა, შემდეგ სიმამრს გამოემშვიდობა, შეჯდა თავის წაბლაზე, ერთხელ კიდევ მიიხედა უკან, იქნებ თავისი საოცნებოსთვის მოეკრა თვალი, მაგრამ ამაოდ...

სიხარულით ფრთაშესხმულმა იორდანემ ცხენიც ააჩქარა, გზიდან გადაუხვია, იფიქრა, ავალ ბარემ ახმეტაში, დეიდაშვილებს შევატყობინებ ჩემი ბედნიერების ამბავსო. წაბლა თანაბარი, კოხტა ნაბიჯით მიაგელვებდა თავის პატრონს. კვეტერას რომ მიუახლოვდა, ტყიდან მოულოდნელად ორი შეიარაღებული კაცი გადმოხტა. ცხენი დაფრთხა, დაიხვიხვინა და ყალყზე შედგა.

— ჩამოხე დაბლა, თორემ გაგა-



საქართველოს ეროვნული

თავებთ! — უბრძანა ერთმა პაპაჩემს.

— ცხენს ვერ დაგითმობთ, ბალღივით მყავს გამოზრდილი! — მუდარით უთხრა პაპამ.

— ბოქავ, თუ ცხენი არ დაგვითმო, ჯეჯიმი წავიღოთ, შეხე, რა ჯეჯიმია. მაგას ერთ ძროხად მაინც გავყიდით! — უთხრა მეორე ყაჩაღმა პირველს.

პაპაჩემს ტანში უსიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა, ჯეჯიმის დათმობა ხომ თებროს დაკარგვას ნიშნავდა.

— ჩამოხე, ჩამოხე, ცხენს ჯანი გავარდეს, დაგვითმია. ოღონდ ჯეჯიმი უნდა მოგვცე და ჯიბეებიც უნდა ამოიბრუნო! — შესძახა ისევ პირველმა.

პაპაჩემმა იფიქრა, ხერხს თუ არ მივმართე, ჯეჯიმს წამართმევენო და თავი მოისაწყლა: — მეტი რა გზა მაქვს, ოღონდ ცხენს ნუ წამგვრით და ჯეჯიმი დამითმია, მაგრამ ცხენიდან ვერ გადმოვალ, ფეხი მაქვს დაზიანებული, მომეხმარეთ, ჩამომსვით ცხენიდანო.

პირველმა ყაჩაღმა თოფი ბალახზე მიაგდო, მეორემ ხანჯალი ქარქაშში ჩააგო და ორივენი პაპას მიუახლოვდნენ. მაშინ პაპაჩემმა ერთი კი მოიქნია თავისი ძლიერი მათრახი და ორივე კარგად შეამწიფა, იმათ ჯერ კიდევ თქრიალით სდიოდათ სისხლი ცხვირ-პირიდან, პაპა კი თავის წაბლას მიაქროლებდა. პირველმა ყაჩაღმა გადააფურთხა, ბალახებზე მიგდებულ თოფს ხელი დასტაცა, ესროლა, მაგრამ ვერ მისწვდა.

შემოდგომაზე პაპამ თებროზე ჯვარი დაიწერა. მართლაც კარგი დიასახლისი და მეოჯახე გამოდგა თებრო. მას მერე ფარდაგებიც დაქსოვა, ხალიჩებიც და ჯეჯიმებიც, მაგრამ ქალიშვილობაში მოქსოვილ ჯეჯიმს ცოცხალ არსებასავით უფრთხილდებოდა. პაპაც თუ ცხენით ღირსეულ ადგილას წავიდოდა, მხოლოდ მაშინ ხმარობდა ჯეჯიმს.

გავიდა ხანი, გამრავლდა ოჯახი, ხუთი შვილი იყოლიეს დიდედამ და პაპამ, ხარობდნენ და სხვებსაც ახარებდნენ თავიანთი ტკბილი ოჯახით. მაგრამ დაიწყო ომი და პაპამ უფროსი შვილი გაგზავნა ფრონტზე. სოფლის ბევრი სხვა ვაჟკაციც წავიდა ომში. მალე ცხენების მობილიზაციაც დაიწყო. მართალია, წაბლას უკვე სიბერე შეეპარა, მაგრამ მხნედ გამოიყურებოდა და მოეწონათ. ცხენის წაყვანამ წელი მოსწყვიტა პაპას, მთელ დღეს ეფერებოდა, გამომშვიდობების დროს თვალებში ცრემლი ჩაუდგა, კისერზე ხელი მოხვია და ყურში რაღაც წასჩურჩულა. თითქოს წაბლაც მიუხვდაო, ცალი თვალიდან მასაც ცრემლი ჩამოუგორდა... წაიყვანეს წაბლა, მის სახსოვრად კი ოჯახში ჯეჯიმი დარჩა.

პაპა და დიდედა თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ჯეჯიმს. პაპა ხშირად ეტყოდა ხოლმე ცოლს: — მოიტა, ქალო, ამოიღე ჯეჯიმი სკივრიდან, მზეზე გაიტანე, არ დაობდესო.

გავიდა დრო. ბიძაჩემი ომიდან დაჭრილი დაბრუნდა, წაბლამ კი სახლამდე ველარ მოაღწია.

პაპა და დიდედა გარდაიცვალნენ.

სიკვდილის წინ დიდედამ მამაჩემი იხმო და უთხრა: — შენა ხარ ჩვენი ნაბოლარა შვილი, შენი დასამარხები გავხდით მეც და მამაშენიც და ჯეჯიმსაც შენ გიტოვებ. ვიცი, შენ ცხენს არ იყოლიებ, ცხენის მაგივრობას მანქანა გაგიწევს და ჯეჯიმიც აღარ დაგჭირდება... მაგრამ ჩემი უკანასკნელი თხოვნაა, ბევრი შვილი იყოლიო... ჰოდა, როცა შვილებს აკვნიდან წამოაყენებ, სანამ ფეხზე გაივლიდნენ, ტახტზე არ დასხა, არ გადმოგიცვივდნენ, იატაკზე ჯეჯიმი გაუფინე და იქ დასხი ხოლმე, დაე, ამ ჯეჯიმიდან ისწავლონ ბღუნვა, ეს იყოს შენი შვილების ავგაროზიო...

მამაჩემმა აასრულა დიდედას დანაბარები. ჯეჯიმზე ოთხი და-ძმა გავიზარდეთ. ახლა ჩემი პატარა ძმა, ბეშქენი დაბობღავს ჯეჯიმზე და გაღიმებული „დადას" იძახის.

მამა ხანდახან სტუმრებთან გაიხუმრებს ხოლმე, მაგ ჯეჯიმზე მომავალში კიდევ ოთხი ქალ-ვაჟი უნდა გაიზარდოსო. მერე დედას შეეხმიანება, შენ რაღას იტყვი, ქალოო? დედა ჩუმად გაიღიმებს, ჩვენც ვიღიმებით...



მაღალი ზნეობის გაკვეთილი

# გიორგი ლომთათიძის ცხოვრებიდან

დღეს სხვა მრავალ გასაჭირთან ერთად დიდი ზნეობრივი დაკნინების დღე უდგას საქართველოს. ამბიცია და საკუთარი პერსონის წარმოჩენის მოთხოვნილება უღვთოდ მოეძალა ჩვენს საზოგადოებას, გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, საქვეყნო საქმე ზურგზე საკუთარი შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად, მხოლოდ სხვის დასანახად წამოიკიდონ. დეფიციტად გვექცა საქვეყნო ინტერესების პატივისცემა, საქმის კეთების ჭეშმარიტი სურვილი და, მით უფრო, უჩინარი საქმისა, ისეთისა, საზოგადოებას ჩვენს სახელად რომ არ დარჩება.

ყმაწვილობის ასაკში მყოფ ადამიანს იქნებ ბევრს არაფერსეუბნება გიორგი ლომთათიძის გვარ-სახელი, მაგრამ იმას, ვინც ზედმიწევნით კარგად იცნობს ჩვენი სასიქადულო მეცნიერის, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, იგი უთუოდ ეცნობა. გიორგი ლომთათიძე უკვე საკმაოდ სახელიანი მეცნიერი, საქვეყნოდ აღიარებული არქეოლოგი იყო, როცა თავის ქვეყანას მთელი 24 წლის განშორების შემდეგ დაბრუნებულ, სამშობლოში ახლადდაბრუნებულ ე. თაყაიშვილს წარუდგინეს. მაშინ ექვთიმე უკვე მეცხრე ათეულ წელში იდგა და, დიდი მეცნიერული მუყაითობის მიუხედავად, თავისი როგორც მეცნიერული ნააზრევის, ასევე, მოგონებათა ფრაგმენტების თუ დღიურების მოსაწესრიგებლად ერთგული დამხმარე და ალღოიანი მეცნიერი ეჭირვებოდა. ცნობილია, რომ ბატონი ექვთიმე, საზოგადოდ, ძალზე თავმდაბალი კაცი იყო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორისთვის, ბატონი ნიკო კეცხოველისათვის ძლივს შეუბედავს თავისი სათხოვარი.

სწორედ მისი ხაზგასმული თავმდაბლობის გამოც, ბუნებრივია, მთელი ყურადღებით მოკიდებია დიდი მეცნიერის ამ სათხოვარს ბატონი ნიკო. ვინ — ვინ და, მან ხომ იცოდა: ბატონი ექვთიმე ის მადანი იყო, რომლის გვერდით მცირე ხანს თუნდაც უსახელოდ ყოფნა ნებისმიერ გამოცდილ მეცნიერსაც გაამდიდრებდა, მაგრამ განა ყველა „იკადრებდა" კი გარჯას თუნდაც ამხელა მეცნიერის ხელნაწერების მოსაწესრიგებლად?.

საქმემ გამოაჩინა, რა უტყუარი გამოდგა ბატონი ნიკოს არჩევანი. ეს იყო გიორგი ლომთათიძე, არა მარტო საქართველოს ისტორიის დიდებული სპეციალისტი, არამედ ევროპულ ენათა ღრმად მცოდნეც, არქეოლოგიის თითქმის ყველა პრობლემაში ჩახედული მეცნიერი. თავად ბატონ გიორგის იმთავითვე მეცნიერების, ქვეყნის ინტერესებისათვის მსახურება დაუნახავს მხცოვანი სწავლულის ჩანაწერებისა და შენიშვნების მოწესრიგებაში და მეცნიერებაში თავადაც უკვე საკმაოდ ცნობილს, ისიც დიდ სახელად მიუჩნევია, რომ მცირე ხნით, თუნდაც, უსახელოდ ემუშავნა დიდი ექვთიმე თაყაიშვილის ჩრდილში, ეს მცირე ხანი მთელი ოთხი წელიწადი გაგრძელდა და როგორც ბატონი ექვთიმეს ახლობლები და კოლეგები გადმოგვცემენ, ეს იყო იდეალური ნიმუში ადამიანთა შემოქმედებითი ერთიანობისა, მეცნიერული და ადამიანური თანამოაზრეობისა. ბატონ გიორგის იმდენი მოუხერხებია, რომ დიდი სწავლულის არცერთი შედარებით უმნიშვნელო ფრაზა, მით უფრო, მეცნიერული ვერსია თუ ჰიპოთეზა არ დაკარგვოდა შთამომავლობას. მას უდიდესი მეცნიერული კეთილსინდისიერებით მოუწესრიგებია ე. თაყაიშვილის მიმოწერა მეცნიერებისა და კულტურის ცნობილ მოღვაწეებთან, მისი სტატიები, მოგონე-



ბები, დასკვნები, ჩამოუყალიბებია ე. თაყაიშვილის ხანგრძლივი არქეოლოგიური კვლევის შედეგად დაგროვილი დიდძალი მასალა. ბატონი გიორგი იმასაც ცდილა, რაც შეიძლება, მეტი შეეტყო საზოგადოებას ე. თაყაიშვილის პიროვნების, მისი ხასიათის, ადამიანებთან დამოკიდებულების შესახებ. ცნობილია, რომ მას ქაღალდზე გადაუტანია ბატონ ექვთიმესთან ე. წ. თავისუფალ დროს შემდგარი საუბრები. მოგვიანებით მან ეს მოგონებები მოაწესრიგა და მთელი ორი წლის მანძილზე ბეჭდავდა „მნათობის" ფურცლებზე.

ბედმა სხვა მრავალთაგან ბევრით გამოარჩია ექვთიმე თაყაიშვილი. და თუ კაცური ბედნიერება ცხოვრების, როგორც დიდი, ასევე პატარა გამართლებებითაც შეიძლება გაიზომოს, ბატონი ექვთიმე ბედნიერი იყო იმითაც, რომ სიცოცხლის მიმწუხრს ბედმა შეახვედრა კიდევ ერთ უანგარო ადამიანთან. მამულიშვილთან — ამ სიტყვის ყველაზე მაღალი გაგებით, — რომელიც მზად იყო, მთელი თავისი ნიჭითა და ერუდიციით მთლად დადებოდა სამშობლოში ახლადმობრუნებული, ბევრი „პატარა" კაცისგან ზურგშექცეული დიდი მეცნიერის სახელსა და უკანასკნელ საქმეს.

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი

## მე მისი მოსწავლე ვიყავი

თითქოს სულ ახლახან გამოვიხურე მშობლიური სკოლის კარი, თითქოს გუშინ დარეკა ჩემმა ბოლო ზარმა, მას შემდეგ უკვე სამი წელი გავიდა. მე სტუდენტი გავხდი და ეს ალბათ ყველაზე მეტად ჩემს ლოლა მასწავლებელს გაეხარდა.

ლოლა თვალიაშვილი მთელი ექვსი წლის განმავლობაში მასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. მან გამაცნო და შემაყვარა დიდი ილიას, აკაკისა და შოთას შემოქმედება. ლოლა მასწავლებელი ძველი პედაგოგია და ჩემს მშობლიურ, თელავის მე-6 სკოლასთანაც მრავალწლიანი მუშაობა აკავშირებს. ახლა იგი ჩემს უმცროს ძმას — ზვიადს ასწავლის და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ზვიადს წელს უკვე მეორედ შემოაქვს სახლში ქების სიგელი.

მე მიხარია, რომ ლოლა მასწავლებელი კვლავინდებურად მხნე და ენერგიულია, რომ ახალგაზრდული შემართება ჯერაც არ ღალატობს. მთელი სიყვარულით აკეთებს იგი თავის დიდ საქმეს — მშობლიური ქვეყნისა და კუთხის სიყვარულს უნერგავს თავის მოსწავლეებს, ცდილობს ჩვენს დიდ ლიტერატურაში დაანახოს მათ ერის მომავლის გადარჩენისაკენ მიმავალი გზა, გაუღრმაოს მათ დედაენის ცოდნა და თაყვანისცემა.

მინდა ჩემი ბავშვობის საყვარელი ჟურნალის მეშვეობით დავულოცო შრომა ჩემს საყვარელ ამაგიან მასწავლებელს და ვუთხრა, რომ მეამაყება, რომ სწორედ მისი მოსწავლე ვიყავი.

სტუდენტი
მამუკა კავლიაშვილი

## დახეული ბუცები

გაზაფხული იდგა. მზე ანათებდა. სტადიონზე ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ. სტადიონის შორიახლოს ჭაღარა კაცი იდგა. მაღალი იყო, სიმპათიური. ინტერესით ადევნებდა თვალს თამაშს, სახეზე ღიმილი უკრთოდა. ეტყობოდა, თამაში მოსწონდა.

საღამოვდებოდა. ბინდი ერეოდა თბილისს. სტადიონიდან კი კვლავ ბიჭების ჟრიამული ისმოდა.

გამოჩნდა ის უცნობი კაციც. ნელა მოდიოდა, თავდახრილი. რომ მოახლოვდა, შენიშნეს ბიჭებმა — ბუცები ეჭირა.

დაუძახა ბიჭებს, დაუცადა ყველას მოკრებას და მერე დინჯად იკითხა:

— რომელია თქვენში გუნდის კაპიტანი?

— მე! — წამოიძახა ერთმა მათგანმა.

უცნობმა ყურადღებით შეათვალიერა.

— რა გქვია? — ჰკითხა.

— ლევანი.

— კარგი სახელია... ხო... აი, შენი იყოს!..— და ბუცები გაუწოდა.— ეს ბუცები ამ ოცდაცამეტი წლის წინათ მაჩუქა ერთმა ფეხბურთელმა, რადგან ძალიან მიყვარდა ფეხბურთის თამაში. მერე გუნდის კაპიტანიც ვიყავი... ისე... ახლაც ახლებივით გამოიყურება... თანაც... მე მაინც არ მჭირდება... შენი იყოს, — უთხრა ეს და მძიმედ ამოიოხრა.

ბიჭმა ყოყმანით გამოართვა, მადლობა გადაუხადა.

უცნობი წავიდა.

— მაინც ვინ იყო, სახელი მაინც გვეკითხა... — თქვა ერთმა.

— ვერ გაიგე? ფეხბურთელი ვიყავი, — აუხსნა მეორემ.

●

ზარმა დარეკა. ორმოციოდე წლის მამაკაცი სავარძლიდან წამოდგა, დერეფანში გავიდა და კარი გააღო. მეზობლის თხუთმეტიოდე წლის ბიჭი შემოიყოლია.

— ლევან ბიძია, თუ შეიძლება, თქვენი ბუცები მომეცით?..

ლევანი უცებ ვერ გაერკვა, მისგან რას ითხოვდნენ. მერე მეორე ოთახში გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა და ბუცები გამოიტანა.

— ხო... აი... შენი იყოს...

●

სტადიონზე დახეული ბუცები ეყარა.

ბიჭები ხალისით დასდევდნენ ბურთს.

ირინე შოშიაშვილი,
თბილისი, 68-ე საშუალო სკოლა, IX კლასი.

ბუნების წიაღში.

ნანა დათუაშვილი.
გურჯაანი, ჭანდარი, VI კლ.





ფრანცე ბევკი

სლოვენიელი მწერალი ფრანც ბევკი, რომლის დაბადების 100 წლისთავი ახლახან ფართოდ აღინიშნა სლოვენიასა და მთელ იუგოსლავიაში, 200-ზე მეტი წიგნის ავტორია, განსაკუთრებით პოპულარულია მისი მოზარდი თაობისთვის განკუთვნილი ნაწარმოებები. ერთი მათგანი, მოთხრობა „ტონჩეკი", ქართულ ენაზეც ითარგმნა (ნანა გოგოძე) და გამოიცა. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფრანცე ბევკის ორივე ავტობიოგრაფიული მოთხრობა მოგვაწოდა მწერლის თანამემამულემ, ახალგაზრდა სლოვენიელმა მკვლევარმა, ქართული ენისა და კულტურის მცოდნემ და მეგობარმა სილვო ტორკარმა.

მხატვარი
თემურ ფხიკიძე

# დათვი

ზღვის მხრიდან პორეზენის მთას მეორე მთა აკრავს, რომელსაც ოტავნიკი ჰქვია. ხანდაზმული ხალხი ამბობს, რომ სწორედ იმ მთაზეა შემორჩენილი ერთი ძველი იალაღი. იქ თურმე პაპაჩემი აძოვებდა ხარებს, მამაჩემი კი მეხრედ ედგა. ამიტომ ჩვენს გვარს დღემდე „მეხრეებს" ეძახიან. თურმე ერთხელ იმ იალაღზე ერთი ჩვენი ხანშიშესული მეზობელი დათვს გაეჯიბრა ღონეში. მის საკარმიდამოს კორენინეცი ერქვა და თვითონაც კორენინეცს ეძახდნენ.

მე ის მეზობელი, ცხადია, თვალითაც არ მინახავს. სკოლაში მის შვილიშვილებთან ერთად დავდიოდი, ეს იყო და ეს. ჩემს ბავშვობაში აღარც დათვები დახეტიალობდნენ ტყეში. აი, პაპაჩემი კი იცნობდა იმ კაცს, თუმცა თვითონაც მასზე საკმაოდ უმცროსი იყო.

მახსოვს, იმ დროს, როცა პირველად ჩავიცვი გრძელი შარვალი, ორი კაცი იპყრობდა ჩემს ცნობისმოყვარეობას. ერთი ყაჩაღი ლაზარინი იყო, რომელსაც პაპაჩემი იტალიაში, ჯარში სამსახურის დროს დასაჭერად დასდევდა, მეორე კი — მოხუცი კორენინეცი. ცხადია, ეს უკანასკნელი უფრო მაინტერესებდა, რადგან ის ყაჩაღი მაინც უცხოელი იყო, კორენინეცი კი — ჩვენი მეზობელი.

ვინ იცის, რამდენჯერ წარმოვიდგინე ჩემთვის ეს ორთაბრძოლა. იმ დროისათვის მეც არაერთხელ მეჭიდავა ბიჭებთან და ასე თუ ისე ვიცოდი ბრძოლის ილეთები. თითქმის ცხადად წარმოვიდგენდი კორენინეცს, მოსმენილიდან ისიც ვიცოდი, თუ როგორ გამოიყურებოდა ეს ჩვენი მეზობელი: მაღალი არ ეთქმოდა, მაგრამ ჩაფსკვნილი კი იყო, უროსავით მუშტები ჰქონდა და გადაღეღილი პერანგიდან განიერი, ბალნიანი მკერდი მოუჩანდა. „დათვივით იყოო", ამბობდნენ მასზე. ნეტა დათვი როგორიღა უნდა ყოფილიყო?..

— დათვი ძაღლს ჰგავს? — ვეკითხებოდი ბებიას.

— არა.

— აბა კატას?

— არა!

— დათვი გინახავს ოდესმე?

— რას ამბობ! მაშინ ხომ ცოცხალი ველარ გადავრჩებოდი!

— მაშ საიდან იცი, რომ კატას არა ჰგავს?

— გეყოფა ლაპარაკი, — მაჩუმებდა ბებია.

მერე რაღაც წიგნი მოძებნა, გადაშალა და დახატული დათვი მაჩვენა. კითხვა არ იცოდა, მაგრამ სწრაფად მიაგნო.

— აბა, შეხედე! — მითხრა მან.

მე დათვს დავაკვირდი. საყვარელი და სანდომიანი მეჩვენა, სასაცილოც კი ჩანდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს ცხოველი შიშით აზანზარებდა აქაურობას! თან ისიც მქონდა გაგონილი, დათვის ბელებს ცეკვაც შეიძლება ასწავლოო!

— აქ რომ ხატია, იმ ზომისაა? — ვკითხე ბებიას.

— უფრო დიდიც.

— ძროხისხელაა?

— არა, უფრო პატარა, გეყოფა ახლა, გაჩუმდი!

მეც გავჩუმდი და დათვსა და კორენინეცზე დავიწყე ფიქრი. ცხადად ვხედავდი, როგორ ჩაებღუჯათ ერთმანეთი და ჯაჯგურობდნენ — ზუსტად ისე, ბიჭები რომ ჯაჯგურობენ ხოლმე ფერდობზე. ერთი რამ მაინც გაუგებარი რჩებოდა ჩემთვის: თუ დათვი მართლა ასეთი დიდი და ძლიერი იყო, კორენინეცს როგორ არ შეეშინდა? ან იქნებ კორენინეცი იყო გოლიათი?...

ცნობისწადილმა ისევ ბებიასთან მიმიყვანა.

— ის დათვი ახალგაზრდა იყო, — ამიხსნა ბებიამ.

ახლა კი გავიგე! ახალგაზრდა იყო, მაგრამ მაინც ძნელი მოსარევი...

ფიქრში წასული ისევ ვხედავდი, როგორ გაეშურა კორენინეცი, დიდი, დიდი ხნის წინ ერთ დილას თავის ძმასთან, ლუკასთან ერთად ოტავნიკისკენ... იალაღამდე ორი საათის სავალი იქნებოდა, შეიძლება მეტიც — სიარულს გააჩნია. ლუკას თან ნაჯახი ჰქონდა შეშის დასაჩეხად, კორენინეცს კი — ძველი თოფი, ასე მიამბობდა პაპა.

შემოდგომა იდგა. ხარები ძოვდნენ. მხარზე თოფგადაკიდებული კორენინეცი იქვე ახლოს დაეხეტებოდა, რომელიმე ნადირის, შვლის ან კურდღლის კვალს ეძებდა. სწორედ მაშინ დაინახა ხეზე აბლოტებული დათვი... ვერ გეტყვით, როგორ აღმოჩნდა დათვი ხეზე, შეიძლება, ველური ფუტკრის ფუღუროს მიაგნო და პირის ჩატკბარუნება მოინდომა. დათვს ხომ წარმოუდგენლად უყვარს ტკბილეული, თაფლზე კი გიჟდება და, როგორც იტყვიან, ქურქსაც კი



არ დაინანებს. ოღონდ კი თაფლი იგემოს. მაგრამ არც ტკბილ პანტაზე ამბობს უარს, მიწაზე თუ ვერ პოულობს, ხეზე ძვრება, დაბერტყავს და ისე მიირთმევს. ხომ გაგიგონიათ ბეცი მიცას ამბავი; ერთხელ დათვი კაცი რომ ეგონა და გასძახა: „კეთილო ადამიანო, შენ დაბერტყე, მე კი ავკრიფავო!“ დათვმა რაღაც ყრუდ ჩაიბუზღუნა, თითქოს უბრაზდებაო. მიცამ კი ისევ ასძახა: „დაბერტყეო!“ მაშინ კი დაიღრიალა თურმე დათვმა და დედაკაციც ბოლოს მიხვდა, ვის ელაპარაკებოდა... წინსაფრიდან აგროვილი პანტა გადმოუცვივდა, გაოგნებული გაეცალა იქაურობას და თავქუდმოგლეჯილი დაეშვა ფერდობზე, გეგონებოდათ პატარა გოგოაო.

კორენინეცი კი, ცხადია, ბეცი მიცასავით არ გაქცეულა. ღონიერი იყო, თოფიც თან ჰქონდა, დათვი კი ახალგაზრდა ჩანდა, ტანმორჩილი. დაუმიზნა და ესროლა. არ ვიცი, თოფი ტყვიით ჰქონდა დატენილი თუ საფანტით, ის კი ვიცი, რომ მიზანს ააცილა, გასროლის გრგვინვამ კი დათვი გაარისხა, „ბრუ-უ-ო!“ ერთი დაიღრიალა, რაც ჩვენებურად ნიშნავდა, „დამაცადე, ახლოს გაგესაუბრებიო,“ და ტოტიდან მიწაზე ჩამოგორდა.

არც მაშინ გაქცეულა ჩვენი მეზობელი. შეიძლება ჯერ კიდევ ეგონა, მოვკალიო, დათვი კი უკანა თათებზე აიტოტა და ღრიალით წამოვიდა კაცისაკენ. კორენინეცს თმა ყალყზე დაუდგა. გაქცევა გვიანღა იყო, არც თოფი ჰქონდა დატენილი და სროლასაც ვერ მოასწრებდა. მაგრამ გონი არ დაუკარგავს. დათვმა დაძგერება ველარ მოასწრო: კორენინეცმა მძლავრი მკლავები შემოხვია და მკერდში ჩაიკრა.

ამას იმისთვის კი არ გიყვებით, რომ გაგაცინოთ, ცხადია, მის ადგილზე ყოფნას არც ვისურვებდი. მე ეს ჭიდაობა არ მინახავს, მაგრამ წარმომიდგენია, რომ რა დღეში იქნებოდა კორენინეცი!.. დათვი მისი მკლავებიდან თავის დაღწევას ცდილობდა, უკანა თათებს ჩექმებზე ურტყამდა და ბასრი კლანჭებით ზურგს უგლეჯდა, კორონინეცს კი თავი დათვის მხარში ჩაერგო, კბენის საშუალება რომ არ მიეცა და გამწარებული ეძახდა ძმას: „ლუკა, მიშველე! ლუკა, ლუკა!..“

ძმამაც არ დააყოვნა, დათვს ნაჯახი მოუღერა და ღონივრად დასცხო. კორენინეცი ზურგზე დაეცა, დათვმა კი მის გვერდით გაფშიკა ფეხები... ასე დამთავრდა ეს ბრძოლა.

— მერე, მოკლულ დათვს რა უქნეს? — ვკითხე ბებიას.

— შეჭამეს! — მიპასუხა მან.

მაშინ არ დავუჯერე, მაგრამ ესეც ისეთივე სიმართლე აღმოჩნდა, როგორც მთელი ეს ამბავი. ამ ბრძოლის შემდეგ ზურგსა და მხრებზე იარადაჩნეული კორენინეცი ალბათ ყოველნაირად ერიდებოდა დათვებთან შეყრას. ხალხმა კი იგი გმირად შერაცხა. არც შემცდარა. ჰოდა, რაკი კორენინეცი დიდიხნისწინანდელი, მაგრამ მაინც ჩვენი მეზობელი იყო, ამ პატივის სულ ერთი ბეწო სიკეთე მეც მაცხია! ხომ ასეა?

სლოვენურიდან თარგმნეს
ლევან ბეჯიტაძემ
და მზია ბელაშვილმა

# პოლონცა

ეს ამბავი პირველი მსოფლიო ომის მეორე წელს მოხდა. იმ დროს სკოლაში ერთი მოსწავლე გოგონა მყავდა, რომელსაც სახელად პოლონცა ერქვა. ძალიან გონიერი და ნიჭიერი იყო, დიდი თვალები და ფერმკრთალი ლოყები ჰქონდა, ლოყებზე ზოგჯერ უცებ სიწითლე გადაჰკრავდა ხოლმე. მაოცებდა და ვერაფრით ვერ ამეხსნა მისი ნაღვლიანი ღიმილი.

ერთ დღეს გაკვეთილებზე არ მოსულა, მითხრეს, ავად გამხდარა, გაციებულა და ახველებსო. მისი ადგილი პირველ მერხზე ცარიელი იყო. ვერაფრით ვერ შევეგუე ამ სიცარიელეს. მენატრებოდა პოლონცას სახე, ფართოდ გახელილი თვალებით რომ მომაჩერდებოდა ხოლმე.

გაალცდინა ერთი კვირა, ორი, სამი...

სოჩის* ფრონტიდან კი განუწყვეტლივ ისმოდა ზარბაზნების დგანდგარი. ამაში უკვე აღარაფერი იყო უჩვეულო, დიდი ხანია, შევეჩვიეთ. დაიწყო მეოთხე კვირა, პოლონცა კი მაინც არ ჩანდა, ამაოდ ველოდებოდი ყოველ დილას.

ერთ დღეს დედამისი მოვიდა ჩემთან. დაბალი ჩია ქალი იყო, მკვრივტუჩებიანი და ცეცხლივით მკვირცხლი, ყოველთვის ენაწყლიანი. ახლა კი უხმოდ იდგა საკლასო ოთახის კართან.

— პოლონცა როგორ არის? — ვკითხე.

— ცუდად... — ტირილს სძლია და ხმა ამოიღო. — დღითი დღე უარესად გრძნობს თავს. მოვედი, რომ...

— გასაგებია, — შევაწყვეტინე, — სანამ მომჯობინდება, შინ დარჩეს...

— არა, ეგ კი არ უნდა მეთქვა... მინდა გთხოვოთ, რომ სკოლის დამთავრების მოწმობა მისცეთ...

გავოცდი: ადრიანი გაზაფხული იდგა და სკოლის დამთავრებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო რჩებოდა.

— ახლავე გინდათ? კი მაგრამ, რისთვის დასჭირდა?

ქალმა უიმედოდ აიჩეჩა მხრები.

— ისე... იცით, როგორ გაიხარებდა ასეთი მოწმობის დანახვაზე?.. სიკვდილის წინ ამ სიხარულზე უარს ვერ ვეტყვი...

— სიკვდილის წინ?! — ქრუანტელმა დამიარა და ძალაუნებურად პოლონცას მერხისკენ გავიხედე... მთების გადაღმა ისევ გრიალებდა ზარბაზნები, ფრონტზე ყოველ წამს იღუპებოდნენ ადამიანები, მაგრამ მაშინ ამაზე არც მიფიქრია, ახლა კი... პოლონცას ამბავი რომ გავიგე, სიმწრისაგან გული მტკივნეულად შემეკუმშა.

— ნამდვილად ასე ცუდადაა?

— დიახ... ისე ცუდად, რომ ვერც კი მოგახსენებთ... — ქალმა წინსაფრის ყურით ცრემლები მოიწმინდა.

ორივენი ვდუმდით... გული ისე დამძიმებული მქონდა, რომ პოლონცას დედას სანუგეშო სიტყვაც კი ვერ ვუთხარი.

— პოლონცა მიიღებს მოწმობას, — ვუთხარი გულდათუთქულ ქალს, — განთავისუფლების ბარათსაც დავუწერ... სამახსოვრო სიგელს, და საერთოდ, ყველაფერს თვითონ მივუტან.

— უმორჩილესად გთხოვთ... ძალიან გაუხარდება... სულ თქვენ და სკოლას გახსენებთ.

არ ვიცი, სხვა მასწავლებელს თუ მოსწევნია ასეთ ვითარებასთან დაკავშირებით სკოლის დამთავრების მოწმობის დაწერა... ეს ის საბუთი აღარ იქნებოდა, რომელიც პოლონცას მთელი ცხოვრების გზაზე თან უნდა ეტარებინა... ასე მეგონა, სასიკვდილო განაჩენი უნდა დამეწერა... ხელი მიკანკალებდა... „ფრიადი..., ფრიადი..." მთლად ასე კი არ იყო, საკლასო ჟურნალში პოლონცას გვარის გასწვრივ სხვადასხვა ნიშნები ეწერა, მაგრამ ახლა ოფიციალურ, ჩვეულ სიზუსტეს არ დაგიდევდით. „ფრიადი... ფრიადი..." და ასე ბოლომდე... სიბეჯითისა და ცოდნის დამადასტურებელი ქაღალდის ნაგლეჯი... იქნებ მან მართლა გაუადვილოს გოგონას სიცოცხლის უკანასკნელი საათები, შეუმსუბუქოს ფიქრები სიკვდილზე?.. განთავისუფლების ბარათი და სამახსოვრო სიგელიც დავუწერე.

მეორე დღეს პოლონცას სახლისკენ გავემართე, რომელიც განმარტოებით, სხვებისაგან მოშორებით იდგა.

ქოხივით პატარა სახლში სიღარიბე სუფევდა, დაბზარული კედლები ჩამოქცევაზე იყო, თვით ოჯახის უფროსი და მისი ვაჟიშვილი ფრონტზე იყვნენ, შინ მხოლოდ პოლონცა და დედამისი დარჩნენ. სარკმლიდან შემოსული გაზაფხულის მზის შუქი ოქროთი ფერავდა სიღარიბეს, რომლის დამალვასაც ასე გულმოდგინედ ცდილან ჩემს მოლოდინში.

* სოჩა — მდინარე სლოვენიაში.



ავადმყოფი საწოლზე იჯდა, თეთ-რი, ფართომკლავებიანი პერანგი ეც-ვა. თხელი, გამხდარი, სანთლისფერი ხელები საბანზე ეწყო. ძლიერ იყო შეცვლილი: ლოყები ჩასცვენოდა და გაფერმკრთალებოდა, გალურჯებულ ტუჩებს შორის დიდრონი კბილები მოუჩანდა. თვალები კი ისეთივე შე-რჩენოდა, ოღონდ ახლა გალეულ სა-ხეზე უფრო მეტი მეტყველება შე-ეძინათ, უფრო მეტი ცეცხლი მოს-დებოდათ. პოლონცამ შემომხედა და თვალები მხიარულად აუციმ-ციმდა, მაგრამ მათ ფსკერზე უსიტ-ყვო ნაღველი დალექილიყო...

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. მისი თითების ცივმა შეხებამ გული მატკინა.

მოწმობა, განთავისუფლების ბა-რათი და სამახსოვრო სიგელი მივე-ცი. მადლიერებით შემომხედა, სახე გაუნათდა... ქაღალდები აკანკალე-ბულ ხელში ეჭირა და კითხულობდა, ძლივს შესამჩნევად ამოძრავებდა ტუჩებს.

დედამისი საწოლის გვერდით იდ-გა, მე კი სკივრზე ჩამოვჯექი. ორივე-ნი დაძაბულები ვადევნებდით თვალს... პოლონცას თავი არ აუწე-ვია. გულდაგულ ჩაიკითხა განთავი-სუფლების ბარათი, თავიდან ბოლომ-დე წაიკითხა ერთხელ, მეორედ და კი-დევ ერთხელ. ყურადღებით და ნე-ლა. თითქოს იზეპირებსო. მერე შე-მოგვხედა, გაგვიღიმა... სამახსოვრო სიგელი აიღო და ისევ აუმოძრავდა ტუჩები. სიგელზე დაბეჭდილი ლექ-სის კითხვა დაიწყო: „დაადექი. შვი-ლო, გზასა ცხოვრებისასა. სწორსა გზასა; უფრთხილდი ცდუნებასა, ცხოვრების ბნელ ცდუნებასა..." ეს ყველაფერი რაღაც საძაგელ ხუმ-რობას დაემსგავსა. შემეშინდა, პო-ლონცას ველარ ვუყურებდი.

გოგონამ სიგელიც წაიკითხა და თვალებით დააკვდა ქაღალდს... მეო-რედ აღარ წაუკითხავს. უსიტყვოდ და თვალების აუწევლად გადადო ქაღალდი გვერდზე და თავის ფერ-მიხდილ ხელებს დააცქერდა; თითე-ბით საბნის კიდეს წასწვდა...

— ყველაფერი სწორია? — ჰკით-ხა დედამ.

— კი... — თავი დაუქნია პოლონ-ცამ და მე შემომხედა. — გმადლობთ!

— კიდევ იწვები? იწექი, იწექი!... ხომ დაიღალე... — აწრიალდა დედა. პოლონცა საბანქვეშ ჩასრიალდა. დედამ საბანი ნიკაპამდე აუწია. გო-გონა კედელს მიაჩერდა. უხმოდ და მშვიდად იწვა, არც დედამისი იღებ-და ხმას, შვილს უყურებდა და ქვი-თინს ძლივს იკავებდა. ვერც მე ვამ-ბობდი რამეს, მოკუზული ვიჯექი და ვცდილობდი, გულის ძგერა ჩამეხ-შო... ვხვდებოდი, რა გრძნობები მორეოდა პოლონცას... ძალიან გაგე-ბული და ალღოიანი ბავშვი იყო, მისი უკანასკნელი სურვილის აღსრუ-ლება უთუოდ ტკივილს უფრო მეტს მიაყენებდა, ვიდრე სიხარულს... „და-ადექი, შვილო, გზას"... რომელ, საით მიმავალ გზას?.. გოგონა ალბათ გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს და მას ველარაფერი მოატყუებდა, თუმცა გარეთ გაზაფხული იდგა და მდინარის ორივე ნაპირი ფურისუ-ლებით იყო გადაყვითლებული.

წამოვდექი.

— პოლონცა, ბატონი მასწავლე-ბელი უკვე მიდის!... — გააგონა დე-დამ.

პოლონცამ თავი ჩემსკენ მოაბრუ-ნა, თვალის გუგებში ჩაგუბებულ სიბნელეს წამით ნათელმა გადაუ-არა. ეტყობოდა, გოგონამ სასო-წარკვეთილების პირველ შემოტევას სძლია...

— კიდევ მობრძანდით... — წაი-ჩურჩულა.

— მოვალ!

ზარბაზნები მთელი ღამე გრია-ლებდა. ჰორიზონტზე სანათი რაკე-ტების ანარეკლები ბრიალებდა. პო-ლონცა გარიჟრაჟზე მოკვდა, როცა სროლის ზათქი მიწყდა და ჩიტები გალობას მოჰყვნენ.

სლოვენურიდან თარგმნეს
ლევან ბეჟიტაშვილმა
და მანანა კარბარეთელმა

# ფუტკრის პროდუქტების სასარგებლო თვისებები

მეთაფლია ფუტკარი ცოცხალი ბუნების ნაწილია. ბევრი ლექსი და იგავი დაუწერიათ მასზე სხვა-დასხვა დროისა და ხალხების პო-ეტებს, გამოცემულა სამეცნიერო და პოპულარული ხასიათის წიგნე-ბიც, მაგრამ მშრომელი ფუტკარი დღემდე მაინც ბუნების გამოცანად ითვლება.

ფუტკრის პროდუქტებით ადამი-ანი უძველესი დროიდან სარგებ-ლობდა, ამიტომაც მოიშინაურა ეს სასარგებლო მწერი და მის მოვლა-პატრონობას მიჰყო ხელი.

დღეისათვის ჩვენი ქვეყნის მრა-ვალდარგოვან სოფლის მეურნეო-ბაში მეფუტკრეობის პროდუქტებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგანაც მოთხოვნილება მათზე, როგორც საუკეთესო საკ-ვებ პროდუქტზე, ბუნებრივ სამ-კურნალო საშუალებაზე, მრეწვე-ლობისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის მეტად სა-ჭირო ნედლეულზე, თანდათან იზრ-დება.

**თაფლი**, ესაა სხვადასხვა ნივთი-ერების რთული ნაერთი, რომელსაც, ამ სირთულის მიუხედავად, ადამი-ანის ორგანიზმი ადვილად ითვისებს. თაფლი განსაკუთრებით სასარგებ-ლოა ბავშვების, დაავადებული და დასუსტებული ადამიანების, სპორ-ტსმენებისა და იმ პირთათვის, რომ-ლებიც მძიმე. გონებრივსა და ფიზი-კურ შრომას ეწევიან.

თაფლის დღიური ნორმა მოზრ-დილი ადამიანისათვის 60-100 გრა-მია, ბავშვებისათვის კი — 30 გრა-მი (ჩაის კოვზით დღეში 3-ჯერ).

თაფლი გამოიყენება ზემო სასუ-

ნთქი ორგანოების ანთების, თვალის დაავადებების, ჰიპერტონიის, ნერვულ, გულისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებათა, ღვიძლის, თირკმელების, დამწვრობის, ჭრილობების და და ა. შ. სამკურნალოდ.

ნატურალური სახით საკვებად გამოიყენება თაფლის მოსავლის 90%, დანარჩენი კი იხმარება კვების მრეწველობაში: საკონდიტრო ნაწარმში, ფურნეებში, მეღვინეობაში, სამზარეულოში და ა. შ.

**სანთელი:** მისი შემოსავლის 80% ისევ მეფუტკრეობას უბრუნდება ხელოვნური ფიჭის სახით, დანარჩენი კი ხმარდება სახალხო მეურნეობის 40-ზე მეტ დარგს. გამოიყენება მეტალურგიაში, ავიაციაში, გემთმშენებლობაში, საავტომობილო წარმოებაში, ელექტროტექნიკაში, მებაღეობაში, სპორტში, ტყავის, საქსოვ, ხის დამამუშავებელ და სხვა დარგებში.

თითქმის არ არსებობს მრეწველობის ისეთი დარგი, რომელიც გარკვეული რაოდენობით არ საჭიროებდეს ფუტკრის სანთელს, მაგრამ, სამწუხაროდ, მეფუტკრეობის დარგი ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს და ამიტომ მის მაგივრად ხშირ შემთხვევაში სხვა სანთლისმაგვარ ნივთიერებებს ხმარობენ, რაც, ცხადია, ამცირებს მიღებული პროდუქციის ხარისხს.

ფუტკრის სანთელს ახასიათებს შემარბილებელი და ანთების საწინააღმდეგო თვისებები, ამიტომაც ხალხურ მედიცინაში იგი წარმატებით გამოიყენებოდა ჭრილობებისა და კანის დაავადებათა სამკურნალოდ. დღეისათვის სანთელი იხმარება მედიცინაში, ფარმაცევტულ მრეწველობაში, კოსმეტიკასა და პარფიუმერიაში. ზემო სასუნთქი გზების (სურდო, ჰაიმორიტი და სხვ.) დაავადებების დროს კარგ შედეგს იძლევა გადაბექდილი თაფლიანი ფიჭის ანათალი სანთლის ღეჭვა.

**დინდგელი.** ეს არის ფუტკრის წებო, იგი წარმოებაში იხმარება სურნელოვანი სანთლის დასამზადებლად, რომელიც კარგად ასუფთავებს ჰაერს. მისგან ამზადებენ, აგრეთვე, სანამყენე მალამოსა და ლაქებს, ხმარობენ ხის ნაწარმის ზედაპირის გასაპრიალებლად, წარმატებით გამოიყენება ვეტერინარიაშიც.

დინდგელს ახასიათებს ბაქტერიოციდული, ანთების საწინააღმდეგო და სხვა სამკურნალო თვისებები და ამიტომ წარმატებით გამოიყენება ზემო სასუნთქი გზების, ანთების, ტუბერკულოზის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულების სამკურნალოდ. იგი ხელს უწყობს ჭრილობებისა და დამწვრობის სწრაფ განკურნებასაც.

ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ დინდგელით მკურნალობა მიზანშეწონილი არ არის იმ პირთათვის, რომლებიც ალერგიულნი არიან ფუტკრის შხამის მიმართ.

**ყვავილის მტვერი.** მტვერი შეიცავს ბევრ საკვებსა და სამკურნალო ნივთიერებას, იგი ეფექტურად მოქმედებს სისხლნაკლულობაზე, გასტრიტზე, ნევროზსა და სხვა დაავადებებზე.

ყვავილის მტვრის მარცვალი ადამიანის ორგანიზმისათვის ძნელი მოსანელებელია, რადგანაც კუჭის წვენი ვერ შლის მის გარსს, ამიტომ მიღების წინ ის უნდა გავსრისოთ ფაიფურის როდინში ან დავფქვათ ყავის საფქვავში.



ყვავილის მტვერი შეგვიძლია მივიღოთ რამდენიმე თვის ან მთელი წლის განმავლობაში, ოღონდ ყოველი თვის შემდეგ ერთი კვირით უნდა შევისვენოთ, ყვავილის მტვრის მიღება სასურველი არ არის ალერგიული და ზედმეტი წონის მქონე ადამიანებისათვის.

**ფუტკრის შხამი.** მისი მიღება სამკურნალო დანიშნულებით შეიძლება უშუალოდ დანესტვრით, მაგრამ უფრო გამართლებულია შხამის პრეპარატების მიღება კანქვეშ და კუნთებში; ასევე, სასარგებლოა კანის დაზელვა შხამის მალამოებით.

ფუტკრის შხამით მკურნალობა რეკომენდებულია რევმატიზმის, იშიაზის, რადიკულიტის, ბრონქული ასთმის, ჰიპერტონიისა და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ ფუტკრის შხამი ძლიერმოქმედი ნივთიერებაა და მისი სამკურნალო დანიშნულებით გამოყენება მკურნალი ექიმის თანხმობისა და კონტროლის გარეშე დაუშვებელია, რადგანაც ალერგიული ადამიანისათვის ფუტკრის ერთი დანესტვრაც კი, შესაძლოა, ტრაგიკულად დამთავრდეს.

**სადედე რძე.** შეიცავს 120-მდე სხვადასხვა ნივთიერებასა და ელემენტს. მის შემადგენლობაში შედის, აგრეთვე, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რითაც ის ადამიანისათვის შეუცვლელ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს.

სადედე რძე არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, აუმჯობესებს გულის მიოკარდისა და კორონალური სისხლძარღვების მოქმედებას, აძლიერებს ორგანიზმის გამძლეობას ინფექციების მიმართ, წარმატებით გამოიყენება კოსმეტიკური კრემების დასამზადებლადაც.

როგორც ვხედავთ, ყველაფერი, რასაც ფუტკარი იძლევა, მეტად სასარგებლოა ადამიანისათვის. ამიტომ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება დავუთმოთ ამ დალოცვილი მწერის მოვლა-მოშენებას.

ზურაბ თაქთაქიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამედროვე ესტრადა

საერთო აღიარებით, ზანგი მუსიკოსი სტივ უანდერი თანამედროვეობის დიდი შემოქმედია.

მისი ნამდვილი სახელია სტივლენდ ჯადკინსი. იგი დაიბადა 1950 წლის 8 მაისს მიჩიგანის შტატში, სეგინოუში. დაბადებიდანვე ბრმა ბიჭუნამ 6 წლის ასაკში დაიწყო პიანინოზე დაკვრა, 8 წლისამ კი დასარტყამი საკრავებიც აითვისა. 10 წლის სტივმა საკუთარი სიმღერების შეთხზვაც სცადა. ამასობაში ჯადკინსების ოჯახი დეტროიტში გადასახლდა და სწორედ აქ მოუსმინა სტივს ჯგუფ „მირაკლზ"-ის წევრმა რონი უაიტმა, მოუსმინა და აღფრთოვანებულმა ფირმა „ტამლა მოტაუნის" ხელმძღვანელებს წარუდგინა. აქ უკვე გაგონილი ჰქონდათ ამ ნიჭიერი ბიჭუნას შესახებ, ხოლო როცა თავადვე მოუსმინეს, დარწმუნდნენ, რომ იგი მართლაც „პატარა საოცრება" იყო. ასე გაჩნდა მომავალი დიდი მუსიკოსის ფსევდონიმი — ლითლ სტივ უანდერ (პატარა საოცრება სტივი). როგორც კი მოსმენა დამთავრდა, ბიჭუნას მაშინვე დაუდეს კონტრაქტი, 1963 წელს კი გამოვიდა სტივ უანდერის ფირფიტა, რომლის ცალ მხარეზე ჩაწერილი იყო მისი საკუთარი კომპოზიცია, მეორეზე კი — ნორჩი ტალანტის იმპროვიზების ნიჭის დამადასტურებელი მუსიკალური ფრაგმენტები. იმავე წელს გამოვიდა უანდერის ფირფიტები საერთო სახელწოდებით „თორმეტი წლის გენიოსი", მერე კი — „მიძღვნა ძია როგოსადმი". და თუმცა ამ პირველი ჩანაწერების უმრავლესობა უპირატესად კომერციულ პროდუქციას წარმოადგენდა, რამდენიმე მათგანი იმის დამადასტურებელი იყო, რომ მომავალში სტივ უანდერი ბრწყინვალე მუსიკოსი უნდა დამდგარიყო. და, მართლაც, საკუთარი ძალებით გამოშვებული პირველივე ალბომი „ხელმოწერილი, დალუქული და ჩაბარებული" (1970 წ.) იმდენად შესანიშნავი გამოდგა, რომ ოთხი კომპოზიცია ჰით-პარადებში შევიდა. მომდევნო წელს სტივ უანდერმა სრულწლოვანებას მიაღწია და ახლა თვითონვე შეეძლო თავისი ნება-სურვილით მოეხმარა ბანკში მის სახელზე არსებული მილიონი დოლარი. პირველ რიგში მან დამოუკიდებელი საგამომცემლო კომპანიისა და ხმისჩამწერი სტუდიის შექმნას მოჰკიდა ხელი. აქ გამოშვებულ პირველ ფირფიტას „ჩემი გონების მუსიკა" ერქვა და მაინცდამაინც დიდი მოწონება არ დაუმსახურებია, მხოლოდ ერთი სიმღერა მოხვდა ჰით-პარადში. სამაგიეროდ, მომდევნო ალბომს — „მოლაპარაკე წიგნი" — უდიდესი წარმატება ხვდა წილად, იგი სამუდამოდ შევიდა როკ-მუსიკის ისტორიაში, ხოლო ორი სიმღერა — „ცრურწმენა" და „შენ ჩემი სიცოცხლის ნათელი ხარ" — კლასიკურ ნაწარმოებებად იქნა აღიარებული. ასეთივე წარმატება ხვდა მომდევნო ფირფიტასაც — „შინაგანი ხედვა".



# სტივ უანდერი

1973 წლის აგვისტოში სტივ უანდერი ავტოკატასტროფაში მოხვდა და რამდენიმე დღე უმძიმეს მდგომარეობაში იყო. შემდგომში დაწერილ სიმღერაში „დედამიწის თავზე" მან გამოხატა ის, რაც მაშინ განიცადა და გადაიტანა. მუსიკოსმა ჩათვალა, რომ ღმერთმა გადაარჩინა და ამ წყალობის პასუხად იგი გაათკეცებული ენერგიით შეუდგა მუშაობას. 1976 წელს გამოვიდა სტივ უანდერის ორმაგი ფირფიტა, რომელმაც საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. ამის შემდეგ იგი ძირითადად საზოგადოებრივი საქმეებითაა დაკავებული, უშვებს ნიჭიერი ზანგი შემსრულებლების ფირფიტებს, წერს მუსიკას კინოფილმებისათვის. მისი მომდევნო ნამუშევარი — ალბომი „მცენარეთა საიდუმლო ცხოვრება" — 1979 წელს გამოვიდა. ამას მოჰყვა გასტროლები აშშ-ში, რომლებიც მარტინ ლუთერ კინგის დაბადების დღის ოფიციალურ ეროვნულ დღესასწაულად აღიარებისთვის გაშლილ კამპანიას დაემთხვა. ამას მიუძღვნა მუსიკოსმა სიმღერა „გილოცავთ დაბადების დღეს!"

სტივ უანდერი დღესაც ბევრს მუშაობს, გამოდის კონცერტებით, წერს მუსიკას კინოფილმებისათვის, უშვებს ფირფიტებს. მას ჰყავს ორი შვილი, ქალ-ვაჟი, რომლებიც მამის კვალს მიჰყვებიან, უანდერი გულჩათხრობილია, გაურბის საზოგადოებას და მხოლოდ მუსიკაში, სიმღერაში ამჟღავნებს სრულად თავის გულისნადებს, ეს მუსიკა და ეს სიმღერები კი სიყვარულითა და სიკეთითაა აღსავსე.

# 150

# დიდი კომპოზიტორის ცხოვრებიდან



გვიანი შემოდგომის დღეს ჩაიკოვსკების ოჯახში პეტერბურგიდან გუვერნანტს ელოდნენ. და ძმებში პეტრე ყველაზე უმცროსი იყო, მაგრამ სწავლა მასაც სწყუროდა. იგი მოუსვენრად იყო, ხან ფანჯრიდან იცქირებოდა და ხან გარეთ გარბოდა. და აი, უცებ წამოიძახა: „მოდიან, მოდიანო!“ იგი არ შემცდარა. ეზოში ეტლი გაჩერდა, საიდანაც გადმოვიდნენ ძმა ნიკოლოზი, დედა ალექსანდრა და ბოლოს — ახალგაზრდა ქალიშვილი, სახელად ფანი. იგი ფრანგი იყო. მას მღელვარება ემჩნეოდა, რადგან თავის სიცოცხლეში პირველად უნდა ჩაეტარებინა მეცადინეობა. ქალიშვილს ეტლიდან გადმოსვლისთანავე გულითადად შეეგება დიდი და პატარა, ისე გადაეხვივნენ და გადაკოცნეს, როგორც კარგი ნაცნობი. იგი ბავშვებსაც შეუყვარდათ და შემდეგშიც აღარასოდეს დავიწყებიათ. გუვერნანტს განსაკუთრებით პატარა პეტრე მოეწონა. ბიჭუნა ძალიან კეთილი იყო, მას ცხოველებიც უყვარდა.

ერთხელ, ეზოში ყოფნისას, კნავილი შემოესმა. ვიღაც კნუტს ახრჩობდა, ისედაც ბევრნი არიანო. პეტრემ სასწრაფოდ მიირბინა და ტირილით სთხოვა, კნუტი მისთვის მიეცა. ასე გადაარჩინა პატარა ფისო.

პეტრე პატარაობიდანვე ბავშვურ თამაშობებს ფორტეპიანოზე დაკვრას ამჯობინებდა. მას დიდ სიხარულს ჰგვრიდა მექანიკური მუსიკალური ყუთი, ორგანი, რომელიც კლასიკურ ნაწარმოებებს უკრავდა. ორგანი საუცხოოდ ჟღერდა. საათობით შეეძლო პეტრეს ამ მუსიკის მოსმენა...

ერთ მშვენიერ დღეს პატარა პეტრეს მამა ილია სამუშაო დღის ბოლოს სამსახურიდან რომ დაბრუნდა, შინ საამო სითბო და სიმყუდროვე დახვდა. იმ საღამოს მეგობრები და თანამშრომლებიც ეწვივნენ მუსიკისა და სიმღერის მოსასმენად. ალექსანდრას შესანიშნავი ხმა ჰქონდა და შთამბეჭდავად მღეროდა. დიდებთან ერთად პატარებიც გატაცებით უსმენდნენ. პეტრე მოხერხებულად იჯდა სავარძელში და აღტაცებით შესცქეროდა დედას. მან გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის, ალექსანდრე ალიაბიევის რომანსი „ბულბული“ იმღერა. პეტრე გატაცებით უსმენდა. ეჩვენებოდა, რომ დილაადრიანია და მდელოზეა. წარმტაცად ბრწყინავენ მზის პირველი სხივები. ბალახზე ცვარნამის წვეთები ალმასივით ელვარებენ, ხოლო ბუჩქებიდან ნიავს ბულბულთა საამური გალობის ხმა მოაქვს. ბიჭს უნდოდა განუწყვეტლივ ესმინა. სტუმრებიც აღფრთოვანებული იყვნენ და სთხოვდნენ ალექსანდრას, კიდევ და კიდევ ემღერა. უცებ პეტრე სავარძლიდან წამოდგა და ბავშვთა ოთახში შეირბინა...

როცა ფანი რამდენიმე ხნის შემდეგ ბავშვთა ოთახში შევიდა, პეტრეს ჯერ კიდევ არ ეძინა, ძალზე აღელვებული იჯდა საწოლზე, თვალები სიცხიანივით უბრწყინავდა. იგი ტიროდა.

— რა მოხდა, რატომ ტირი? — ჰკითხა ფანიმ.

— ო, ეს მუსიკა! მიხსენით მისგან! აი, აქ მიზის, აქ, თავში! მოსვენებას არ მაძლევს!

დილით, როცა უფროსი ბავშვები — ზინაიდა, ნიკოლოზი და ლიდია სასეირნოდ წავიდნენ, პეტრე შინ დარჩა, ფორტეპიანოსთან მივიდა და წინა საღამოს მოსმენილი მუსიკის დაკვრა დაიწყო. როცა ფორტეპიანოს მოაცილეს, მაგიდაზე, სკამებზე და ფანჯარაზე განაგრძო მელოდიის დაკვრა.

ერთ დღეს პეტრე ფანჯრის რაფაზე აძვრა და მინებზე დაიწყო მელოდიის დაკვრა. მინა გაუტყდა და თითები გაიჭრა. ამ შემთხვევის შემდეგ უკვე ყველამ მიაპყრო ყურადღება მის ნიჭს და დაუნიშნეს მუსიკის მასწავლებელი. მაშინ პეტრე დაახლოებით ხუთი წლისა იყო.

უფროსი ბავშვები უკვე ფანისთან ენებსა და სხვა საგნებს სწავლობდნენ.

ერთხელ პეტრე დედასთან მივიდა და ჩაუჩურჩულა: ისინი კვლავ ყველაფერს უჩემოდ აკეთებენ, მეც მინდა სწავლაო. დედა მიუხვდა წადილს, მიიყვანა ვაჟიშვილი სასწავლო ოთახში და მასწავლებელს ახალი მოსწავლე წარუდგინა.

სიხარულით შეუდგა პეტრე სწავლას. მალე დაეწია უფროს დაძმებს. განსაკუთრებით ადვილად ენებს ითვისებდა. ექვსი წლისა უკვე თავისუფლად კითხულობდა ფრანგულს და პატარა ლექსებსაც წერდა. ერთი ლექსი ორლეანელი ქალწულის გმირობას მიუძღვნა. მასწავლებელმა მასზე თქვა: „პეტრე ჩვენი პატარა პუშკინიაო“...

დაბინდებისას, როცა მეცადინეობა უკვე დამთავრებული იყო, მასწავლებელი ხშირად სთხოვდა ბავშვებს, საკუთარი თხზულებები მოეთხროთ. ეს პეტრეზე უკეთ არავის შეეძლო: იგი თხზავდა ზღაპრებს, იგავებსა და სათავგადასავლო მოთხრობებს. პეტრე ამგვარ ნაწარმოებებში ისეთსავე ფანტაზიას ავლენდა, როგორსაც მუსიკაში.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

# გამოჩენილი ადამიანების ღიმილი

## გროშის ფასი

ღრმა ფიქრებში ჩაძირულ ცნობილ პოლონელ მუსიკოსს ზიგმუნდ ნოსკოვსკის გზად ვარშავის ფილარმონიის დირექტორი შემოხვდა.

— ერთ ზლოტს გავიღებდი, რომ მაცოდინა, ახლა რაზე ფიქრობთ, — შესძახა დირექტორმა.

— მაგრამ ის, რაზეც ვფიქრობ, ერთ ზლოტადაც არ ღირს, — უყურადღებოდ უპასუხა ნოსკოვსკიმ.

— მაინც, რაზე ფიქრობდით? — ჩააცივდა დირექტორი.

— თქვენზე, პატივცემულო, — მდაბლად დაუკრა თავი მუსიკოსმა.

## მსჯელობა

ცნობილი გერმანელი ბუნებისმეტყველი, გეოგრაფი და მოგზაური ალექსანდრე ჰუმბოლდტი ერთ საზოგადოებაში საინტერესო ამბავს ჰყვებოდა იაგუარზე ნადირობის შესახებ. ერთმა ქალმა თავისი აზრი გამოთქვა:

— მე საშინელებად მიმაჩნია იაგუარის მოკვლა.

ჰუმბოლდტმა თავაზიანად მიუგო:

— მერწმუნეთ, ქალბატონო, რომ მისთვის ტყვიის აცდენა უფრო საშინელი რამ არის.

## პრინციპულობა

ავსტრიელ მწერალს შტეფან ცვაიგს მეგობრებმა სთხოვეს ლექცია ანდა ახალი ნაწარმოებებიდან ნაწყვეტი წაეკითხა, მაგრამ მან უარი განუცხადა:

— მეორე გაფრთხილების შემდეგ, რომელიც მე მივიღე, გადავწყვიტე, ამ საქმეს მოვეშვა. ჩემს ბოლო ლექციაზე შევამჩნიე, ერთმა მსმენელმა როგორ ამოიღო ჯიბიდან საათი. ეს პირველი გაფრთხილება იყო. ცოტა ხნის შემდეგ მეორე მსმენელმა საათი არა მარტო ამოიღო, არამედ ყურთანაც კი მიიტანა, ხომ არ გაჩერებულაო, ეს კი საკმარისი იყო ჩემთვის. მორჩა, ლექციებსა და მოხსენებებს აღარასოდეს წავიკითხავ!

## ხელმოკლეობა

— რა იყო თქვენთვის ყველაზე ძნელი, როდესაც როიალზე დაკვრას სწავლობდით? — ჰკითხეს ანტონ რუბინშტეინს.

— სწავლის ქირის გადახდა, — მიუგო გენიალურმა რუსმა პიანისტმა.

## კომეტების რიცხვი

ცნობილ გერმანელ ასტრონომსა და მათემატიკოსს, ახალი ასტრონომიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, პლანეტათა მოძრაობის კანონების აღმომჩენს იოჰანეს კეპლერს ჰკითხეს:

— ცაზე რამდენი კომეტაა?

— რამდენიც თევზია წყალში, — მიუგო მეცნიერმა.

## საზომი

ერთმა ნაცნობმა კომპოზიტორი იოჰანეს ბრამსი ვახშამზე დაპატიჟა, სტუმარს მშვენიერი ღვინო მიართვა და თავაზიანად მოახსენა:

— ჩემს ღვინოებში ეს ბრამსია.

ბრამსმა გასინჯა ღვინო და მასპინძელს მიუგო:

— ახლა იქნებ თქვენი ბეთჰოვენიც გამაცნოთ.

თარგმნა შ. შოთაძემ

# ქართული ხალხური თამაშები

## დანისთჭია

თამაშში მონაწილეობს 13-15 წლის 2-3 ბიჭუნა.

წინასწარ შეარჩევენ რბილ ადგილს, რომ ჯაყვა ადვილად ჩაესოს მიწაში. კენჭს ყრიან, ვინ იქნება პირველი, მეორე და მესამე. მომდევნო მოთამაშე ცვლის წინას, როცა ამ უკანასკნელს ჩაუცდება.

პირველია „გულა“: დანას ხელისგულზე იდებენ და მაღლა შეისვრიან. თუ დანა წვერით დაესო, გადადიან „ზურგაზე“: დანას გაშლილი ხელის ზურგზე იდებენ და კვლავ აისვრიან. ამის შემდეგ მოდის „თითებაი“: იწყებენ ნეკით და ამთავრებენ ცერით. შემდეგია „მაჯა“: დანის წვერს მოხრილ მარცხენა მაჯაზე იდებენ; „მაჯა“ სრულდება ორჯერ. თუ დანა წვერით დაესო, გადადიან „ნიდაყვაზე“. შემდეგ მოდის „მხარა“ (სრულდება ორჯერ), „ნიკაპა“, „კიჟა“ (დანის წვერს კბილებით იჭერენ), „ცხვირა“ (დანის წვერს ცხვირზე იდებენ), „შუბლა“ (დანას შუბლიდან ასობენ), „მუხლა“, „შეჯარა“ (დანის პირს იჭერენ მარცხენა ხელის საჩვენებელსა და შუა თითს შუა, არათითსა და ნეკს კაკვავენ და ზემოდან დანის ტარზე ურტყამენ), „მორევა“ (დანის წვერს იჭერენ მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითსა და ცერს შუა ისე, რომ დანის ტარი ქვემოდანაა; ხელს ისე აბრუნებენ, ვითომ ქვაბს კოვზს ურევდნენ; დანის დასობის მომენტში ხელისგულს მიწას ურტყამენ). ამას ასრულებენ სამჯერ და თუ დანა წვერით დაესო, გადადიან „სროლაზე“ (დანის წვერს იჭერენ მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითსა და ცერს შუა; დანის ტარი ზემოდანაა, ისვრიან სამჯერ).

თამაშის წინ დათქვამენ შეცდომის პატიებას ერთხელ, ორჯერ თუ სამჯერ. თუ ჩასობილი დანა გადაბრილია, მოთამაშე დანის ქვეშ შეაცურებს ორ ან სამ თითს, რამდენსაც თამაშის წინ დათქვამენ. თუ თითები დანას შეეხო, ილეთი ჩაცდენილად ითვლება.

გამარჯვებულია ის, ვინც პირველი ჩაატარებს ყველა ილეთს.

ნოდარ ივანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი სამზარეულო

## ხაჭოს ხვეულა ნამცხვრები

1 ქილა არაჟანისა და 200 გრამი კარაქის ნარევს დაამატე 1 სუფრის კოვზ ძმარში გახსნილი 1 ჩაის კოვზი სოდა, მოზილე ნაზი ცომი და გაყავი 4 თანაბარ ნაწილად, გააბრტყელე თითოეული და დაჭერი დიაგონალებად, 8 ნაწილად. მოათავსე თითოეულზე გულსართი (200 გრამ ხაჭოს შეურიე 1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, 0,5 ჩაის ჭიქა ფქვილი და კარგად აურიე) და გადაახვიე სიგარის მსგავსად. დაალაგე გადახვეული ნამცხვარი თუნუქის ფურცელზე და შედგი ჰაეროღუმელში გამოსაცხობად.

## ხაჭოიანი კვერები

კარგად გათქვეფილ 2 კვერცხს შეურიე 1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, დაამატე 200 გრამი ხაჭო, 200 გრამ არაჟანში შეურიე ძმარში გახსნილი სოდა. კარგად აურიე, დაამატე ვანილი, ცოტა მარილი, ფქვილი (რასაც შეიზელს) და მოამზადე სქელი არაჟნის სისქის ცომი.

გაცხელებულ ტაფაზე დაასხი ზეთი და ზედ სადილის კოვზით სათითაოდ მოათავსე ცომი, რომელსაც პატარა კვერების ფორმა ექნება. დაახურე ტაფას სახურავი და როცა გამოცხვება, გადააბრუნე, სახურავი აღარ დასჭირდება.

კვერები სუფრაზე შეიძლება მიიტანო არაჟანთან ან რომელიმე მურაბასთან ერთად.



გთავაზობთ ორიოდე რჩევას:

- ბრინჯის მარცვლები ერთმანეთს რომ არ მიეკრას, ხარშვისას შიგ რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი ჩააწვეთე.
- ხარშვისას კვერცხს ნაჭუჭი რომ არ დაუსკდეს და თანაც ადვილად მოსცილდეს, იგი მარილწყალში მოხარშე.

## ცომში გახვეული ვაშლი

4 კვერცხის გული კარგად გათქვიფე, თანდათან დაამატე 3 სუფრის კოვზი გამდნარი კარაქი, დაასხი მესამედი ჩაის ჭიქა რძე, 0,5 ჭიქა შაქრის ფხვნილი, დააყარე ფქვილი, აურიე და ნელ-ნელა დაასხი კარგად გათქვეფილი დარჩენილი კვერცხის ცილა, ცომი უნდა გამოვიდეს დაახლოებით არაჟნის სისქისა.

ვაშლი (სჯობს „ანტონოვკა" ან რომელიმე რბილი ჯიშისა) გაფცქვენი, ამოჭერი გული და დაჭერი თხელ რგოლებად, დააყარე ცოტა შაქრის ფხვნილი და გააჩერე ნახევარი საათით. ამის შემდეგ ჩანგლით აიღე ვაშლის თითოეული ნაჭერი, ამოავლე ცომში და დაალაგე ტაფაზე, რომელზეც ასხია გაცხელებული ერბო. ვაშლი შეწვი ნელ ცეცხლზე, სანამ ორივე მხარე არ შეფარდისფერდება. შემწვარი ვაშლი ცხიმიანად შედგი ჰაეროღუმელში 5-10 წუთით. როცა მზად იქნება, ვაშლები დაალაგე ლანგარზე და ზევიდან მოაყარე შაქრის პუდრა. ამ ნამცხვართან ერთად სუფრაზე შეიძლება მიიტანო არაჟანიც.



მხატვარი გიგი პეტრიაშვილი

## ცალფეხა დრაკონი

მსოფლიოს ხალხთა მითებში, ლეგენდებსა და ზღაპრებში დრაკონი საშინელი ურჩხულია, თუ დასავლეთის მითოლოგიაში დრაკონი ჯოჯოხეთის მოციქულია, აღმოსავლეთში პირიქითაა — ბუდამ დრაკონი მოათვინიერა, ჩინელმა იმპერატორებმა ისინი მოაშინაურეს კიდეც. ჩინური ტრადიციისამებრ, დრაკონი ცხრა აუცილებელი ნაწილისაგან შედგება: მას აქლემის თავი, დემონის თვალები, ძროხის ყურები, ირმის რქები, ვეფხვის ფეხები, გველის კისერი, მოლუსკის მუცელი, კობრას ქერცლი, არწივის ბრჭყალები და თავზე თავისებური კოპი აქვს, რომელიც ფრენის საშუალებას აძლევს.



აღმოსავლეთის ქვეყნებში დრაკონს ძველებურად პატივს სცემენ. გემებს მისი სხეულის ფორმას აძლევენ, ფრანებს — მის გამოსახულებას, სადღესასწაულო მსვლელობებშიც მათი ფიტულებით გამოდიან. ჩინეთის ზოგიერთ რაიონში დღესაც სჯერათ, რომ დრაკონები ჰაერში ცხოვრობენ. ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელები მიწისძვრებსა და სტიქიურ უბედურებებს დრაკონის ცხოვრებას უკავშირებენ. მათი რწმენით შტორმებსა და ქარიშხლებს ცალფეხა დრაკონი „ხურაკანი" იწვევს. რატომ ცალფეხა? იმიტომ რომ ქარბორბალას, როგორც წესი, ერთი ფეხი აქვს.

## მუსიკალური შეზლონგი

სან-ფრანცისკოელმა (აშშ) დიზაინერმა დუგლას პოლისმა პლაჟის უცნაური სავარძელი გამოიგონა: 4,5 მეტრის სიმაღლის ლითონის მილებიანი სავარძელი არფისებურადაა მოწყობილი და მუსიკალურ ბგერებს გამოსცემს, რომლებიც ზღვის ხმაურსაც კი ახშობენ.

## რა ვუყოთ მინის ტარას?

ინგლისის პრესის მიხედვით, ყოველწლიურად მაღაზიებიდან, სახლებიდან და სამრეწველო დაწესებულებებიდან 20 მილიონი ტონა ნარჩენი გამოაქვთ. სასურველია, ნარჩენები ჩაიმარხოს, ან განადგურდეს. 8 მილიარდი კონსერვის ქილა შესაძლოა გადამუშავდეს, რადგან მრეწველობას ფერადი ლითონი ესაჭიროება. 6 მილიარდ ბოთლს კი ვერაფერი უშველება. მის გადამუშავებას იმდენივე შრომა სჭირდება, რამდენიც სილისაგან ახალი ჭურჭლის დამზადებას.

## ვინ — ვის?

ზოოპარკში ბეჰემოთზე დაკვირვებისას რწმუნდები, რომ იგი მშვიდი და უწყინარი ცხოველია, სინამდვილეში კი ბუნებით იგი საკმაოდ აგრესიული და ფიცხია. ლომები იშვიათად ესხმიან თავს ჰიპოპოტამებს, მათ კარგად იციან, რომ ეს „მდინარის ცხენი" მოწინააღმდეგის წყალში ჩათრევასა და დახრჩობას ცდილობს. დიდ ბეჰემოთს თავისუფლად შეუძლია დიდი ნიანგის შუაზე გაგლეჯა. ერთხელ ბეჰემოთი მდინარეში შეცურებულ 240 კილოგრამიან ზვიგენს შეებრძოლა. მან იგი ნაპირზე გაათრია და მიწას ლავაშივით გააკრა.



## დინოზავრის ნათესავი

დაახლოებით 65 მლნ წლის წინათ დედამიწაზე გადაშენდნენ დინოზავრები, მათი სანათესაოდან დღემდე ნიანგები შემორჩნენ. ცნობილია ნიანგების 21 სახეობა.

ამ რეპტილიებს ბევრი თავისებურება აქვთ. მაგალითად, მათ არ გააჩნიათ სანერწყვე ჯირკვლები და შარდის ბუშტი. მოზრდილი ნიანგის კუჭში ხშირად ბლომად ქვას პოულობენ ხოლმე. ეტყობა, დამატებითი სიმძიმე მეტ მდგრადობას ანიჭებს მოცურავე ნიანგს.

ნიანგები 10-დან 100-მდე კვერცხს დებენ. ახალშობილი ნილოსის ნიანგის სიგრძე 28 სანტიმეტრია, ორი წლისა — 90 სმ, მოზრდილთა სიგრძე კი 4-8 მეტრს აღწევს.

ზოგი სახეობის ნიანგი კვერცხებს ნეშომპალათი აგებულ ბუდეში დებს, ზოგიც — პირდაპირ სილაში მფლავს დაახლოებით 80 სმ-ის სიღრმეზე. საინკუბაციო პერიოდი 90 დღეა. ამ დროის განმავლობაში დედა ნიანგი ბუდეს ყარაულობს და თითქმის არაფერს ჭამს. გამოჩეკილი შვილები უახლოეს წყალსატევამდე მიჰყავს და ამის შემდეგ უმეტეს შემთხვევაში მათ მტრად იქცევა — კანიბალიზმი ნიანგებს შორის ჩვეულებრივი მოვლენაა. ნიანგს ისედაც ბევრი მტერი ჰყავს (უმთავრესი მათ შორის ადამიანია!), ამიტომ ახალშობილთაგან მოზრდილთა ასაკს მხოლოდ 3-5 პროცენტი თუ აღწევს.

## მადა ჭამაში მოდის

ამ პატარა, თითისტოლა თევზს, გამბუზიას, მშვენიერი მადა აქვს, დღეში იგი ათობით კოღოს მატლს ჭამს. ამიტომ ეძახიან მას აშშ-ში „კოღოს თევზს". გამბუზიას შეიძლება წააწყდე გვირაბებში, მიტოვებულ საცურაო აუზებში, გზისპირა კლდებში, ბრინჯის მინდვრებში და მიწისქვეშა კომუნიკაციებშიც კი. გამბუზია დაეხმარა ადამიანს არა მარტო მალარიის, არამედ ენცეფალიტისა და ყვითელი ციების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გამბუზია ცოცხალმშობი თევზია. ხელსაყრელ გარემოში იგი ყოველ სამ კვირაში 300-მდე ლიფსიტას შობს. გამბუზიას შეუძლია იცხოვროს გაბინძურებულ წყალსაცავშიც კი სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში.

# საინტერესო სიახლენი

## ავტომტვირთავი

ჩეხოსლოვაკიური და დასავლეთგერმანული ფირმები ხუთი წლის განმავლობაში ქმნიდნენ ახალი კონსტრუქციის ავტომტვირთავს. მას აქვს ორყბიანი და მრავალყბიანი გრეიფერები, ელექტრომაგნიტი,



კაუჭი და გრეიფერი მორებისათვის. მათი ურთიერთცვლა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. მანქანის ტვირთამწეობა 8700 კილოგრამია, ისრის მაქსიმალური სიგრძე — 9 მეტრი. მანქანა უმთავრესად ჯართის დასატვირთადაა განკუთვნილი.

## ტრენაჟერი ენდო

ყოველწლიურად აშშ-ში ოცი მილიონი პაციენტისაგან, რომელთაც ოპერაციებს ან სხვა პროცედურას საერთო ნარკოზით უკეთებენ, იხოცება ან ტვინის რაიმე დაზიანებას იღებს ორი ათასამდე ადამიანი. ამან აიძულა კალიფორნიის სტენფორდის უნივერსიტეტის ორი მეცნიერი, სერიოზულად ეფიქრათ ექიმ-ანესთეზიოლოგთა სწავლების საკითხებზე. ამ ფიქრის შედეგია პლასტმასის მანეკენი, რომელიც ტრენაჟერად გამოიყენება და საკუთარი სახელიც კი აქვს — ედი ენდო. მანეკენზე ვარჯიშობენ 2-8 საათის განმავლობაში — ოპერაციის ხანგრძლივობა საშუალოდ სწორედ ასეთია. სტუდენტები ენდოს უკეთებენ ნარკოზს, აწვდიან ჟანგბადს და განუწყვეტლივ ადევნებენ თვალს პულსს, სისხლის წნევასა და სხეულის ტემპერატურას. ამან ეფექტური ნაყოფი გამოიღო.

## პლაზმა ეკოლოგიის სამსახურში

ერთ-ერთი უმთავრესი ეკოლოგიური პრობლემა ისაა, თუ როგორ გავანადგუროთ დიდძალი ქლორორგანული ნივთიერებანი, რომლებიც პლასტმასებისა და შხამქიმიკატების წარმოებისას მიიღება. ეს ნარჩენები მხოლოდ სამი ათასზე მეტი გრადუსის ტემპერატურის პირობებში იშლება უვნებელ კომპონენტებად. ერთმა ფრანგულმა ფირმამ იზერის დეპარტამენტში დაამონტაჟა დანადგარი, რომელიც პიროლიზის მეთოდით წელიწადში ათას ტონამდე ასეთ ნარჩენს შლის.

## ახალი ანტინიკოტინი

უნგრეთის სააფთიაქო მაღაზიებში გამოჩნდა ახალი პრეპარატი ნონიკოტი, რომელიც სამკურნალო მცენარეებისაგან მიიღეს. ნონიკოტი შესამჩნევად ამსუბუქებს თამბაქოს წევის გადაჩვევის პერიოდის სიმძიმეს, შიმშილის გრძნობას და სხვა უსიამოვნო შეგრძნებას.

## ავტომობილი დიასახლისისათვის

იაპონურმა საავტომობილო ფირმა „დაიხაცუმ" შექმნა ავტომობილის მოდელი, რომელიც დიასახლისებისთვისაა განკუთვნილი.

ამ მინი-ავტომობილის სიგრძე 288 სანტიმეტრია. მძღოლის გარდა, მანქანაში თავსდება ერთი მოზრდილი მგზავრი ან ორი ბავშვი. მძღოლის გვერდით, სავარძლის ნაცვლად დადგმულია სურსათის ყუთი, რომელსაც, საჭიროებისამებრ, შეუძლია გააცივოს ან გაათბოს შიგ მოთავსებული პროდუქტები. მანქანა აღჭურვილია ელ-



ექტრონული სანავიგაციო სისტემით, გასაბერი უსაფრთხოების ბალიშებითა და კონდიციონერით. გარდა ამისა, სადგომზე მოხერხებულად დაყენების მიზნით, მანქანას აქვს მეხუთე გამოსაწევი თვალი, რომელიც ზრდის ავტომობილის მანევრირების უნარს (საკუთარი ძრავათი მუშაობს დიდი თვლების მოძრაობის პერპენდიკულარულად).

## მცენარეთა დასაცავად

ველური ბუნების დაცვის საერთაშორისო ფონდი და ბუნებისა და ბუნებრივ რესურ-



სთა დაცვის საერთაშორისო კავშირი ატარებენ დედამიწის მცენარეთა დაცვის ფართო კამპანიას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მცენარეებს, რომლებიც ყველაზე უფრო ძვირფასია ადამიანისათვის — იხმარებიან საკვებად, მკურნალობენ სნეულებებს, იძლევიან საწარმოო ნედლეულს და ამდიდრებენ ჩვენს სულიერ ცხოვრებას. ცნობილია, რომ მცენარეული საფარის გარეშე დედამიწაზე სიცოცხლე შეუძლებელი იქნებოდა.

## ბაყაყების გულივერი

შეიძლება, გაგონილიც გქონდეთ ღრიალა გომბეშოს სახელი. ამ უკუდო წყალხმელეთა ქვემძრომს შეუძლია გათხაროს მიწა, საკუთარი სხეულით მოიმარაგოს წყალი, იწვეს სოროში და ამ მარაგით გადაიტანოს გვალვის პერიოდი.

ღრიალა გომბეშოს სხეულის სიგრძე ხშირად 25 სმ-ს სჭარბობს. დუშანბეს (ტაჯიკეთი) ტერარიუმში მცხოვრები გომბეშოს სხეულის სიგრძე 30 სმ-ზე მეტია. საინტერესოა, რომ მიწაზე ან პატარა გუბის ფსკერზე მწოლიარე ამ ბაყაყის სხეულის სიგანე მის სიგრძეზე მეტიც კია.

ღრიალა გომბეშო იკვებება მსხვილი უხერხემლო ცხოველებით, ბაყაყებით, თაგვებით, ხოჭოებით.

თავისებურია „ბაყაყების გულივერის" ხმა — იგი მოტოციკლის ტრახტრახს მოგაგონებთ.

## ფრანგი ზოოლოგის დასკვნით

დედამიწის ფლორა და ფაუნა ფრიად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ, როგორც ერთმა ფრანგმა ზოოლოგმა დაადგინა, ყოველწლიურად მეცნიერები აღმოაჩენენ ცხოველების 2500 ახალ სახეობას, რომელთა 70 პროცენტს მწერები შეადგენენ.



ამოვლებული სველი ჩვრით. შეგიძლია, სასმელი სოდის ფხვნილიც გამოიყენო.

● აი, კიდევ ერთი ხერხი ეინულზე დაცურების ასაცილებლად: ფეხსაცმლის ლანჩასა და ქუსლს ქსოვილის საფუძვლიანი ზუმფარის ნაჭერი დააწებე (მაგალითად, რეზინის წებოთი).



● თუ შინ მაღალფეხებიანი რადიოლა გიდგას, შეგიძლია იგი დამატებითი თაროთი აღჭურვო. თარო შეიძლება იყოს მინის ან რადიოლას შესაფერისი ფერის ხის ფიცრისა. თაროზე ფირფიტები დაალაგე. გარდა ამ სიკეთისა, თაროს ის ღირსებაც აქვს, რომ მეტ მდგრადობას ანიჭებს რადიოლას.



● გრძელყელიანი ფეხსაცმლის, განსაკუთრებით — სპორტულის — ენა ხშირად გვერდზე ექცევა და ფეხსაცმლის გარეგნული სახე დიდად აგებს ხოლმე, თუ ენას ორგან გახვრეტ და ნახვრეტებში თასმას გაატარებ, ამ უხერხულობას ადვილად აიცილებ.



● ქალის ჩექმების ყელი რომ არ ჩაიკეცოს, შეგიძლია იგი სარეცხის სამაგრით დაამაგრო.



● შეგიძლია, ტუშით რეისფედერის გავსება თან გაიოლო და თან დააჩქარო, თუ სასამედიცინო პიპეტით, რეზინის მილითა და კალმით ისარგებლებ.

● თუ ძველი მოდელის მტვერსასრუტის კორპუსს ავეჯის პაწია ბორბლებზე შემდგარ სადგამზე შეაყენებ, მისი გადაადგილება გაადვილდება და დიასახლისსაც შრომა შეუმსუბუქდება.



● სინთეტიკური ქსოვილების გაუთავების პროცესში ცხელ უთოს ძნელად მოსაცილებელი ყავისფერი ლაქა უჩნდება. ასეთი უთო ოდნავ უნდა შეათბო და გაწმინდო ნიყარების ხაწმენდ ფხვნილში



# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა


საუბარი გია მურღულიასთან . . . გარეკ. 2
ალ. ლორია — ფუძე (მოთხრობა, გაგრძელება) . . 2
ნ. ხარაზიშვილი — „სქაუთი" მეგობარსაც ნიშნავს (ნარკვევი) 7
ზ. ათანელაშვილი — მომავლის იმედი (ლექსი) . . 9
ა. მეგრელიშვილი — ლექსები . . . 9
გ. გეგეჭკორი — აკაკის ცხოვრება . . . 10
ვ. სიდამონიძე — არტურ ლაისტის სიტყვა აკაკისადმი (წერილი) . . . . 12
ა. ივანჩენკო — ხომ არ ვაგვიანებთ? (წერილი) . . 12
ზ. ჭუმბურიძე — „დედა ენის" ბურჯი (წერილი) . . 12
ი. გოგებაშვილი — ბიბლიური ისტორია . . . 16
ე. ქაშიაშვილი — ჭეჭიმი (მოთხრობა) . . . 17
მაღალი ზნეობის გაკვეთილი (წერილი) . . 19
აისი . . . 20
ფ. გევკი — ორი მოთხრობა . . . 21
გ. თაქთაქიშვილი — ფუტკრის პროდუქტების თვისებები 24
სტივ უანდერი (წერილი) . . . 26
დიდი კომპოზიტორის ცხოვრებიდან . . . 27
გამოჩენილი ადამიანების ღიმილი; დანასობია . . 28
ჩვენი სამზარეულო . . . 29
ჯადოსნური სარკე; ბუნების კარი . . . 30
საინტერესო სიახლენი . . . 31
გამოგადგება . . . 32
ცხრაკლიტული . . . გარკ. 3



გარეკანის 1-ლ გვერდზე — კ. ფაჩულიას ნახატი

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა, (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა ბელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, ბაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ბელინსკის ქ. № 2. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ.მგ. მდივნის — 93-97-03, 93-58-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 24. 08. 90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. 10. 90 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 1887. ტირაჟი 117000 ეგზ.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096 თბილისი, ბელინსკის ქ. № 2.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ

«Накадули» журнал для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Белинского, 2.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Белинского, 2.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Белинского, 2.
Формат $60 \times 90^1/_8$, учетно-изд. л. 3, усл. печ. л. 5,85.
Тираж 117.000 экз. Цена 20 коп.


© „ნაკადული", 1990 წ.

## კროსვორდი

თარაზულად: 3. ტექნიკური მცენარე; 5. შავი ფისი; 8. მატყლის მსხვილი



ძაფი; 10. ატმოსფეროს მდგომარეობა განსაზღვრულ დროსა და ადგილზე; 11. უეჭველი, აუცილებელი; 12. სიღნაღის რაიონის სოფელი; 13. მიწაში ჩარჭობილი ჯოხი, რომელსაც ხმარობენ ახალგაზრდა მცენარის საყრდენად; 20. ურემზე დასადგმელი დიდი მოწნული სათავსი; 21. აზიის სახელმწიფო; 22. მოგრძო, წინ წაწვეტებული და ერთგვარი სიღრმის მოწყობილობა წყალში გადასაადგილებლად; 23. მუსიკალური ნაწარმოები ერთი ან ორი საკრავისათვის; 25. ეკლიანი ველური ბუჩქი, ისხამს მოვარდისფრო ან თეთრ ყვავილს; 27. ქარელის რაიონის სოფელი; 28. სპორტის სახეობა.

შვეულად: 1. დაფა, რომელზედაც წარწერილია წარმოების, დაწესებულების სახელწოდება; 2. წონის რუსული საზომი ერთეული; 3. ქსოვილის ვიწრო ნაჭერი; 4. მეავედ შედედებული ნადუღი რძე; 6. ფულადი უზრუნველყოფა წელთა დამსახურებისათვის; 7. მარნეულის რაიონის სოფელი; 9. აზიის სახელმწიფო; 10. მაღალი მარადმწვანე წიწვოვანი მცენარე, ხარობს სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში; 14. დრეკადი მასალისაგან გაკეთებული მრგვალი საგანი, ჰაერით გაბერილი; 15. ადამიანის ან ცხოველის ორგანო შეკუმშვის უნარის მქონე ნაერთი ქსოვილებისა; 16. პურეული მცენარე; 17. ცის სფეროს უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი ამა თუ იმ დამკვირვებლის თავზე; 18. რისამე ცომისებური მასა; 19. ქართული სამარკო ღვინო; 24. გარიყრაყი; 26. კირქვის გამოწვით მიღებული თეთრი ნივთიერება.

შეადგინა
ალ. გორგიშელმა

## გამოცანები

ერთმა უმწეო არსებამ
ციხის კარები გატეხა,
სინათლე რომ დაინახა,
წივილ-კივილი ატეხა.

•

მოვიჩქარი, მოვიმღერი,
არც პირი მაქვს და არც ყელი,
მაქებენ და მადიდებენ
გამვლელი და გამომვლელი.

ე. ხარაზიშვილი

•

წინ თუ გაიჯირითა
ჩუქურთმებს პყრის პირიდან.

ალ. ხუციშვილი

•

თუ ბიჭი ხარ, გამოიცან:
ხესავითა ვდგავარ,
აღმოვცენდი ერთ
მარცვლიდან,
ცხრათვალა მზეს ვგავარ.

ნ. მარიხია

ფეთიანივით მოვარდა,
სტვენა-სტვენით და ბრაზითა,
ზოგი რამ შემოიტანა,
ზოგი რამ გარეთ გაზიდა.

•

დაიბადება თუ არა
ყველა სიმღერით ხვდება,
ხალისით მღაცილებენ
მაშინაც, როცა კვდება.

ნ. გვარიშვილი

### სახალისო ამოცანები

ფასი თხუთმეტი მანეთი
აქვს ამ წიგნს თავის ყდით,
წიგნი კი ყდაზე თორმეტი
მანეთით მეტი ღირს.
ცალ-ცალკე ღირებულებას
მწამს, ამომიხსნი მყის.

•

ბაზარზე გასაყიდად
გამოიტანა კახიმ
ორასი კილოგრამი
კარტოფილი და ხახვი.
ოღონდაც კარტოფილი
აღმოჩნდა სამჯერ მეტი.
ცალ-ცალკე რამდენია,
აბა, ვინ უმალ მეტყვის?



## შარადები

„თუმცა კატა მარდიათ,
ისიც დამბლა როდიათ". —
ხუთი ბგერით ითქმება და
ბოლო მოსაკლებით.
იმ ადგილას უარყოფით
ნაწილაკს თუ დასვამ შერეტალღებს აათამაშებს და
დაუქვება მთებს და ველებს.

•

იმ ვეება ჩაქუჩის
თქმა როდია ძნელი,
ხოლო სქელის ანტონიმს
დასკვნისათვის ველი.
წინა სიტყვას ამცირებ
დასასრული ბგერით. —
აქვს ძვირფასი მერქანი,
მოწითალო ფერის.

შ. ამირანაშვილი

## პასუხი 1990 წლის № 9-ში მოთავსებულ „სხრეკლიზელზე"

### თავსატეხი



13: აბვ, ვდე, ბვდ, ბგდ, ბგზ, ზგდ, ბზვ, ვზდ, ბგვ, ვგდ, აგვ, ვგე, აგე.



8: აბე, ებგ, აედ, დეგ, აბგ, აგდ, აბდ, დბგ

### კროსვორდი

თარაზულად: 3. მალამო; 4. მიმინო; 7. აბორიგენი; 10. ანოდი; 13. კობრა; 14. პიონერი; 15. აბზაცი; 16. გვარლი; 19. სტაფილო; 21. ჩანგი; 22. ეტაპი; 25. ტერიტორია; 26. ისრიმი; 27. აჯაბპი.

შვეულად: 1. ამება; 2. სიონი; 3. მიზანი; 5. ოხკარი; 6. სიმონა; 8. ედინბურგი; 9. კომპლექტი; 11. პინცეტი; 12. კრაველი; 17. ეფექტი; 18. ხარაზი; 20. სპორტი; 23. ფერმა; 24. სინჯი.

### გამოცანები

ზღაპარი, პეპელა.

### შარადები

ნამი, ბჯა, ნამჯა; ქა, ბუკი, ქაბუკი; ვალი, ქამი, ვაკა.

# ყურადღება, ყურადღება: კონკურსი!

**გაცნობებთ, რომ**

ჟურნალი „სოვეტსკაია ჟენშჩინა“, წიგნის გამოფენებისა და ბაზრობების მოსკოვის გენერალური დირექცია და ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების ვოლგოგრადის ცენტრი აცხადებენ ნორჩ მხატვართა მორიგ საერთაშორისო კონკურსს „სამყაროს მთელი მშვენიერება“.

ალბათ გაიფიქრებთ, საუცხოო თემა შეურჩევიათ კონკურსისთვის მის მომწყობთ, მაგრამ ნურას უკაცრავად! თემა თქვენმა თანატოლმა კორეელმა გოგონამ ო ინ ბელმა მოიგონა. იგი წინა კონკურსის ლაურეატი ყოფილა.



„მიმოიხედოთ! რამდენი სილამაზეა გარშემო! მისი დანახვა წვიმის პატარა წვეთშიც შეიძლება, ციცქნა ყვავილშიც და დედის კეთილ ღიმილშიც“, — აი, გოგონას ამ სიტყვებიდან წარმოიშვა მომავალი კონკურსის თემაც და სახელწოდებაც.

ახლა კი კონკურსის პირობების შესახებ გიამბობთ:

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 15 წლამდე ასაკის გოგობიჭებს.

ნახატს უკანა მხარეს გარკვევით უნდა ეწეროს მისი სახელწოდება, თქვენი გვარი, სახელი, ასაკი, სქესი, ბინის მისამართი.

საუკეთესო ნამუშევრები 1991 წლის მაისიდან დაიბეჭდება „სოვეტსკაია ჟენშჩინას“ ფურცლებზე, სექტემბერში კი მათ წიგნის VIII საერთაშორისო ბაზრობის, მოსკოვისა და საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის სხვა ქალაქების საგამოფენო დარბაზებში გამოფენენ.



კონკურსში გამარჯვებულები მიიღებენ პრემიებს:

პირველი პრემია — მოგზაურობა მოსკოვში ერთ-ერთ მშობელთან ერთად;

ის ნორჩი მხატვრები, რომელთა ნამუშევრებსაც ჟიური საუკეთესოთა შორის დაასახელებს, მიიღებენ სამახსოვრო დიპლომებს, წიგნებსა და სუვენირებს; მათ შორის დნეპროპეტროვსკის სათამაშოების ფაბრიკის სპეციალური პრიზიც იქნება.

შეგახსენებთ — ყოველთვიური ჟურნალი „სოვეტსკაია ჟენშჩინა“ თხუთმეტ ენაზე გამოდის.

და კიდევ:

მსურველებმა ნახატები შემდეგ მისამართზე გამოაგზავნეთ:

● ● ● ● ●

**СССР, 125267, г. МОСКВА, МИУССКАЯ ПЛОЩАДЬ, ДОМ 6. РЕДАКЦИЯ ЖУРНАЛА «СОВЕТСКАЯ ЖЕНЩИНА». НА КОНКУРС «ЮНЫХ ХУДОЖНИКОВ».**





